

# დროშა

№ 9 სექტემბერი 1963

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტა-
ტი, მქსოველი თაქაო ლალაძე საამქროში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორი ფოტოსურათი

ვერ ვიტყვით. რომ ამ ოჯახში განსაკუთრებით უყვართ სამახსოვრო ფოტოსურათების გადაღება.

სადად მოწყობილი ოთახის კუთხეში პატარა მაგიდა დგას. მასზე დევს მაგარყდაში ჩასმული ფოტოალბომი. ვათვალიერებთ ალბომს და ჩვენს წინ ცოცხლდება ლალაძეების ოჯახის წევრების, მათი ნათესავებისა და მეგობრების სახეები. ამ პატარა ფოტოალბომში, ისევე როგორც ყველა სხვა საოჯახო ალბომებში, არის ძველებური სურათები გრძელ კაბებში გამოწყობილი ქალებისა და მათ უკან ჩამომდგარი მამაკაცებისა. აქვე შეხვდებით საშუალო სკოლის დამთავრების აღმნიშვნელ და ზღვაზე ყოფნის დამადასტურებელ სურათებს.

ლალაძეების საოჯახო ფოტოალბომზე სულაც არ ჩამოვაგდებდით სიტყვას, რომ პირველ ფურცელზე ერთმანეთის გვერდით ჩაწებებულ ორ ფოტოსურათს არ მიექცია ჩვენი ყურადღება.

პირველი სურათი დროთა მსვლელობისაგან გაცრეცილი და კიდეებშემოცვეთილია. მას არავითარი წარწერა არა აქვს, მაგრამ ძნელი მისახვედრი როდია, რომ იგი რევოლუციამდეა გადაღებული

ფოტოაპარატის ობიექტივში სანახევროდ მოხვედრილა ჩალით დახურული ქოხი. ქოხის წინ ახალგაზრდა ქალი დგას, გატანჯულ სახეზე ატყვია უდროოდ დაისხდარი ღრმა ნაოჭები. სურათი ძალზე სევდიანი და ნაღვლის მომგ[illegible]ლია.

ახლა, როცა თავის სურათს დახედავს ხოლმე ბებია ანა, ყოველთვის წყევლა-კრულვით იხსენიებს „იმ ავსა და უკუღმართად მოსაგონებელ დროს".

ჩვიდმეტი წლისა არც კი იყო ანა დორეული, როცა მშობლებმა წაჯყისიდან წყნეთში გამოათხოვეს. ღვთის წინაშე, ქმარი გამრჯე და ალალმართალი კაცი შეხვდა ანას. სოფელში ისე არავინ ახსენებდა კოლა ლალაძეს, რომ მისი კაიკაცობა და მადლიერი მარჯვენა არ დაელოცა.

მაგრამ რა ბედენა იყო ხალხის დალოცვა როცა ახლად ფუძეჩაყრილ ოჯახს გაჭირვებამ ერთიანად დარია ხელი.

ცხოვრებისაგან გატანჯული ანა მუდამ იმას ნატრობდა, რომ ქალიშვილი არ შესძენოდა. ვაჟის გაჩენა სულ სხვა იმედი იქნებოდა ოჯახისათვის. ვაჟი უკუღმართ წუთისოფელში როგორმე გაიკვლევდა თავის ეკლიან გზას, ქალი კი... ეხ, ქალი ისეთივე უუფლებო და დატანჯული უნდა ყოფილიყო. როგორც ანა იყო, როგორც მისი მეზობლები იყვნენ, როგორც მთელი ქვეყნის ქალები იყვნენ...

— ღმერთსა ვცოდავდი, ღმერთსა, — ამბობს ბებია ანა და თან სათვალის სწორებით დასცქერის გადაშლილ ფოტოალბომს, — აბა ამ მეორე სურათს დახედეთ, შვილებო. ნახეთ, ქვეყნისათვის რა სასახელო ქალი გამეზარდა...

დედის კალთაში



თამარ ლალაძე და ნაზი მაღლაკელიძე
კრემლში, გიორგის დარბაზში.



პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ИНДЕКС 76056

# დროშა

№ 9 (146) სექტემბერი, 1963 წ.

გამოცემის XIII წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

1962 წელი. ასეთი წარწერა აქვს მეორე ფოტოსურათს. მასზე კრემლის დიდი დარბაზია აღბეჭდილი. ზევით, ერთმანეთის მოყოლებით მოჩანს ბროლის უზარმაზარი ჭაღები. წინა პლანზე ორი ახალგაზრდა ქალი დგას. სიხარულის შუქი დაჰფენია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატების — ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის მქსოველის ნაზი მაღლაკელიძისა და თბილისის აბრეშუმის ფაბრიკის მქქოველის თამარ ლალაძის სახეებს.

— შეიძლება არც კი დაიჯეროთ, რომ ამ ორი სურათის ერთად მოთავსების სურვილი კრემლში ყოფნის დროს დამებადა, — გვეუბნება თამარ ლალაძე.

ვუყურებთ სახელოვან ფეიქარს, ყურადღებით ვუსმენთ მის მშვიდსა და გულითად საუბარს, და თითქოს ჩვენი თვალით ვხედავთ ყველაფერს, რასაც ის მოგვითხრობს.

აი კრემლის დიდი სასახლე. ვრცელ დერეფნებში ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილან ხალხის რჩეულები — საბჭოთა პარლამენტის დეპუტატები. ცნობილ ფეიქარს ვალენტინა გაგანოვასა და ივანოველ მქსოველს იულია ვეჩეროვას შუაში ჩაუყენებიათ ქართველი დობილი თამარ ლალაძე და გატაცებით საუბრობენ, თავიანთ გეგმებსა და სურვილებს უზიარებენ ერთმანეთს.

თამარი მოგვითხრობს როგორ იხილავდნენ დეპუტატები სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმას, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც ხალხის კეთილდღეობას, მშვიდობის მტკიცე დაცვას ემსახურება.

სიხარულით ევსება გული თამარს, უხარია და ეამაყება, რომ მთელს მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფოს მართვაში იღებს მონაწილეობას, რომ სხვებთან ერთად თავის ხმასაც ურთებს ჩვენი სამშობლოს აყვავებისათვის მიღებულ ბრძნულ გადაწყვეტილებებს.

# ფეიქარი მართავს სახელმწიფოს

ფოტო გ. თიკანაძისა

უხარია და ეამაყება თამარს, რომ ობლობაში გაზრდილ ქალიშვილს საბჭოთა ეპოქამ საშუალება მისცა ცხოვრების დიდსა და ნათელ გზაზე გამოსულიყო, რომ ქალს შრომა და კაიქალობა დაუფასდა.

## დეპუტატის დღე

თამარ ლალაძემ პირველად ხუთი წლის წინათ შეაღო თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კარი. რას იფიქრებდა მორცხვი ქალიშვილი, რომელმაც ისის იყო დაამთავრა საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელი, რომ მოკლე ხანში მხარში ამოუდგებოდა რესპუბლიკის ცნობილ ფეიქრებს.

სახელი და დიდება არასოდეს უძებნია თამარს, სახელმა და დიდებამ თვითონვე მოაკითხა მუდამ გამრჯე, საქმის ერთგულ მქსოველს.

...ყოველ დილით ღიმილით შედის საამქროში ახალგაზრდა ფეიქარი. დილიდან საღამომდე შეუჩერებლად გუგუნებენ დაზგები. თამარის მადლიანი ხელით შეუფერხებლად იქსოვება აბრეშუმის ძვირფასი ქსოვილები, გეგმის ზევით მოდის და მოდის ლამაზი საკაბეები, სასარჩულეები, სახალათეები.

დეპუტატ ქალს, ამას გარდა, ათასი საზრუნავი, ათასი საქმე აქვს მოსაგვარებელი. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელებმა წისქვილის გაუქმება შესჩივლეს თავიანთ დეპუტატს და ისე როგორ იქნება, რომ არ მოაგვაროს მათი თხოვნა. დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში ახალი წყაროს გაყვანა დაუწყიათ, ჰოდა ახლავე უნდა იზრუნოს თამარმა, რომ კოლმეურნეებს დროზევე მიაწოდონ საჭირო მილები...

ამას წინათ თეთრი წყაროს რაიონიდან ბარათი მიიღო თამარმა. ორბეთელი ქალიშვილი მარიამ გიგაური თავის გულისნადებს უზიარებდა თამარს. თურმე თბილისის აბრეშუმის ფაბრიკაში მუშაობის დაწყება განუზრახავს მარიამს, უფიქრია და ბოლოს დეპუტატისათვის ბარათის გამოგზავნა გადაუწყვეტია.

განა მარტო ორბეთელ ქალიშვილს შეუსრულა თხოვნა თამარმა, განა მარტო დუშეთელ და თეთრწყაროელ კოლმეურნეებს გაუწია დახმარება! დღე ერთია და ვინ მოთვლის რამდენი მთხოვნელი მოსდის დეპუტატს, რამდენ ადამიანს აძლევს კეთილ რჩევას, რამდენს უწევს დახმარებას...


ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მქსოველი თამარ ლალაძე საამქროში.

ისე როგორ იქნება, შინ მობრუნებულ თამარს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მიღებული რამდენიმე ბარათი არ დახვდერონ. დაჯდება თამარი და ივანოველ მეგობარს იულია ვეჩეროვას მოკითხვის ბარათს მისწერს, გორკელ ტატიანა გრეკოვას თხოვნას შეუსრულებს და თბილისის აბრეშუმის ქარხნის მუშაობაზე მოუთხრობს, იეევსკელ ვალია პანკრატოვას თავის მიღწევებზე ესაუბრება.

...ოთახში ნელ-ნელა შემოდის ბინდი. თამარის მეუღლე — თბილისის პირველი მექანიკური ქარხნის მოწინავე ზეინკალი გურამ მინაშვილი ფანჯარასთან ჩამომჯდარა და გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებს შინ მოტანილ ნახაზებს. ბედნიერ ბებია ანას კალთაში ჩაუსვამს პატარა მიშა, „ალუ-ალუს“ ძახილით ართობს ცეროდენა შვილიშვილს.

თამარი ღიმილით ავლებს თვალს ოჯახს, შემდეგ მაგიდაზე ჩამოდებულ ფოტოალბომზე აჩერებს მზერას. ამ ალბომის პირველ გვერდზე ორი ფოტოსურათია ჩაკრული — ორი ეპოქის, ორი ადამიანის სხვადასხვა ბედის ამსახველი სურათი...

და ეს ორი სურათი მარტო დედა-შვილის ცხოვრებაზე კი არა, მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე მოგვითხრობს.

ოთარ ალანიძე

დღე ერთია და წერილი ათასი...





ძეგლი ატომური ბომბის აფეთქებით დაღუპულ ბავშვთა სასაფლაოზე.

მარტოოდენ ეს ერთი სახლია ხიროსიმაში, რომელიც ისეა დაცული, რა სახეც მან 1945 წლის აგვისტოს იმ საშინელ დღეს მიიღო, როცა მისგან ექვსასიოდე მეტრის მანძილზე აფეთქდა ამერიკელების ატომური ბომბი.

დიახ, ახლა სახლი კი არა, ჩონჩხი დგას. ის დგას ხიროსიმას ტრაგედიის მუნჯ მოწმედ, მუნჯ ბრალმდებლად მათ მიმართ, ვინც ის უბედურება მოუტანა ხალხს.

დაე, ამ სახლმა მოაგონოს ყველას, თუ რა მოხდება ატომური ბომბი კვლავ რომ დაეცეს მშვიდობიან ქალაქს.

ხიდს გაღმა დიდი ბაღი იწყება. ის სულ ცოტა ხნის წინათ იქნა გაშენებული. უწინ აქ ქალაქის ყველაზე დასახლებული უბანი ყოფილა, რომლისგანაც, ბომბის აფეთქების შემდეგ, ქვა ქვაზე აღარ დარჩენილა. ყველაფერი აღგავა და დაწვა ჯოჯოხეთურმა ცეცხლმა, მტვრად და ნაცრად გადააქცია. მიწა გაშავდა და ეგონათ აქ ცოცხალი აღარაფერი გაიხარებდა.

სწორედ ამ ადგილზე გადაწყდა ხეების დარგვა, ყვავილების გახარება. სიცოცხლე გრძელდება და არავის შეუძლია მისი გამალებული სრბოლის შეჩერება.

ასე შეიქმნა „ატომური პარკი".

ამ ქალაქში არის „ატომური მუზეუმი", „ატომური სასაფლაო", — უდროოდ დაღუპულთა ძეგლი.

იმ შავბნელი დღის შემდეგ, ერთ და იმავე დროს — 6 აგვისტოს, 8 საათსა და 15 წუთზე — დაღუპულთა საფლავთან ხიროსიმაში ხალხი მიტინგზე იკრიბება. აქ ყოველთვის მგზნებარე მოწოდებები გაისმის მშვიდობის დასაცავად, მსოფლიო ომის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს ხალხებს რომ დაღუპვას უქადის, ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ.

ირაკლი ჩხიკვიშვილი

# შავი ლაქა მშვიდობიან ცაზე

ხალხები სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ მოსკოვში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც კრძალავს ატომური იარაღის გამოცდას ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. საბჭოთა კავშირის წინადადება ატომური გამოცდის შეწყვეტის შესახებ ამოსავალი პუნქტი გახდა სამი სახელმწიფოს: საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მოსკოვის მოლაპარაკებისა, რომელიც წარმატებით დამთავრდა.

კაცობრიობამ შვებით ამოისუნთქა.

მოსკოვის ხელშეკრულებამ ხალხებს იმის იმედი ჩაუსახა, რომ შეიძლება მოწესრიგდეს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემები, რომლებსაც უკავშირდება მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმის განმტკიცება.

მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ უკვე მოაწერა ხელი ამ ხელშეკრულებას, რომელსაც მხურვალედ დაუჭირა მხარი მთელმა კაცობრიობამ. და მხოლოდ თითზე ჩამოსათვლელნი არიან ისინი, ვინც გაბედა და აშკარად გამოაცხადა თავი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის მოწინააღმდეგედ.

როცა ასეთ შეხედულებებს გამოთქვამენ იმპერიალიზმის უალრესად აგრესიული წრეები, ეს სრულებითაც არ არის მოულოდნელი. მაგრამ როცა ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის წინააღმდეგ ილაშქრებენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელები, ამან არ შეიძლება აღშფოთება არ გამოიწვიოს. ჩინეთის ხელმძღვანელები აღმოჩნდნენ ერთ კომპანიაში იმათთან, ვინც იმპერიალისტურ ბლოკში გამოდის ამ ხელშეკრულების წინააღმდეგ.

კაცობრიობამ ხიროსიმასა და ნაგასაკის ტრაგედიის მაგალითზე კარგად იცის, თუ რა უბედურებაა მსოფლიოსთვის ატომური ომის გაჩაღება, კარგად იცის ის მძიმე შედეგები, რაც ასეთი ომის ხანძარს მოჰყვება დედამიწისათვის.

ქვემოთ მკითხველებს ვთავაზობთ ერთ თავს ი. ჩხიკვიშვილის ჩანაწერებიდან, რომელიც მან გააკეთა იაპონიაში მოგზაურობის დროს ქ. ხიროსიმისაგან მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე.

ჰიროსიმასკენ მიმავალმა მშვენიერმა გზამ ერთხანს თვალი მოგვტაცა და გული ცოტა გადაგვიყოლა.

მანამდე კი, როცა შევიტყვეთ, რომ იმ ქალაქში მოგვიხდებოდა ყოფნა, რომლის სახელიც აწ განუყოფელია სიტყვა „ატომისაგან", მძიმე ფიქრები დაგვეუფლა.

ოდესღაც ხიროსიმაში აფეთქებული ატომი „ბოროტი ატომი" იყო, — მიმართული ადამიანთა წინააღმდეგ, სიცოცხლის წინააღმდეგ, და არა „კეთილი ატომი", როგორც იგი ჩვენს ქვეყანაში მონათლეს, სადაც ატომი ადამიანს, მშვიდობას, სიცოცხლესა და პროგრესს ემსახურება.

გზაში მძიმე ფიქრები გაგვეფანტა. მაგრამ, როცა ხიროსიმას მივუახლოვდით, კვლავ შეგვეპყრო წუხილმა, გვზარავდა მასთან შეხვედრა.

ძნელია თქვა, სად თავდება და სად იწყება ხიროსიმა. ჩვენთვის კი ერთი ცხადი გახდა: სიტყვა „ატომი" არა მარტო განუყოფელია ხიროსიმასაგან, ეს სიტყვა თითქოს გადაიქცა ქალაქის მეორე სახელად, მის უცილობელ ნაწილად. ხიროსიმაში არის „ატომური პარკი", „ატომური მუზეუმი", „ატომური ჰოსპიტალი", „ატომური სასაფლაო", და ალბათ კიდევ სხვა ბევრი „ატომური დაწესებულება", რაც ჩვენ არ ვიცოდით.

სადგურიდან არსად არ შევუხვიეთ, გავემართეთ პირდაპირ „ატომური პარკისაკენ". მანქანით მივდიოდით ლამაზი, მრავალსართულიანი სახლებით გაშენებულ პროსპექტზე. აქ არაფერი არ გვაგონებდა თვრამეტი წლის წინათ მომხდარ ტრაგედიას. ირგვლივ ბრწყინავენ მაღაზიები, რეკლამები, კაფეები და რესტორნები. ახალი სახლები თანამედროვე სტილზეა აგებული, პროსპექტი ძველის ადგილზეა, მაგრამ ორჯერ უფრო განიერია.

მიუხედავად ამისა, მთელი ქალაქის სახეს მაინც ეტყობა ტრაგედიის ბეჭედი.

იმისათვის, რომ ბაღში მოხვდეთ, მდინარე ოტაზე გადადებული ხიდი უნდა გადაიაროთ. ხიდის ყურეში, მარცხენა მხარეს, აღმართულია დანგრეული შენობის ჩონჩხი.

ძნელია სიტყვით იმ შეგრძნების გადმოცემა, რომელიც იპყრობს კაცს ატომური ბომბის მსხვერპლთა საფლავთან მიახლოვებისას. კაცმა რომ თქვას, საფლავიც არ არის. ეს ადგილი ასე იწოდება სიმბოლიურად. ქვის დიდი ფილის ქვეშ დამარხული როდია ხიროსიმაში ატომური ბომბით განწირულთა გვამები; აქ შენახულია დაღუპულთა სიები. ჩვეულებრივი სიები, ქაღალდზე ჩამოწერილი. სიები განსაკუთრებულ ყუთში ინახება.

როცა უნდათ სიას მიუმატონ კაცის გვარი, რომელიც დაღუპული იყო და ახლა გაიგეს, ანდა გამოსხივებით დაავადებული ვინმე გარდაიცვლება, ქვის ფილა აიხდება.

ქვის ფილას გარშემო თეთრი კენჭები აქვს მოყრილი, ეს კენჭები ძალზე ბევრია. ვიღაცას დაუთვლია და იმაზე ნაკლები აღმოჩენილა, ვიდრე ფილის ქვეშ შენახულ სიებში ჩამოწერილი გვარები.

ამ ფილაზე კარვისებური ქვის თაღია.

თუ ფილასთან მიხვალ დაღუპულთა პატივსაცემად, საფლავზე დასადებად მიიტან ყვავილებს, თაღიდან შორს დაინახავ სწორედ იმ დანგრეული სახლის ჩონჩხს, რომელსაც „ატომური პარკისაკენ" მიმავალმა გამოუარე.

სახლის ჩონჩხი მთლიანად მოჩანს. მტრედისფერ ცაზე ის მკვეთრად, შავ ლაქასავით არის მიხატული. ჩვენს თვალწინ თითქოს იაპონური გრავიურაა, შავი ტუშით მტრედისფერ აბრეშუმზე შესრულებული. ის უნდა დაინახოს აქ ყოველმა მომსვლელმა, მან ყველას უნდა მოაგონოს ატომური აფეთქების საშინელება.

• • •

იმ დროს, როცა ჩვენ ქვის ფილასთან ვიდექით, ძეგლს მოუახლოვდა მოხუცი ქალი. თან ახლდა გოგონა, იგი ათი-თორმეტი წლისა იქნებოდა. ბავშვს ხელში ქალის სურათი ეჭირა და გულში მაგრად იკრავდა.

თურმე, სურათზე გამოსახული ქალი ნანაკა სეტა, ამ გოგონას დედა, როგორც სხვა ათასი ადამიანი, მოკვდა „ატომურ ჰოსპიტალში". მისი გვარი ქვის ფილის ქვეშ საერთო სიაში იყო შეტანილი.

ბებია და შვილიშვილი დიდხანს ჩუმად იდგნენ. ჩვენ, ნანაკა სეტას, იაპონელი დედის „საფლავზე" გვირგვინი დავდეთ.

გოგონამ უსიტყვოდ შემოგვხედა და მის თვალებში წავიკითხეთ დიდი მწუხარება და მადლიერების გრძნობა. ასევე მდუმარედ შეტრიალდა და წავიდა იგი. კვლავ გულში იკრავდა დედის სურათს. კარგა ხანს ჩანდა „ატომური პარკის" ხეივანში ნელი ნაბიჯით მიმავალი პატარა გოგონა.

ამ პარკის მეზობელ ხეივანში დავინახეთ მეორე ძეგლი — „ატომური ბომბის ბავშვები". აგვიხსნეს, რომ ეს ძეგლი დადგმულია „ატომური ბომბისა" და სხივური დაავადებისაგან დაღუპულ ბავშვთა მოსაგონებლად; ერთ მათგანს, პატარა გოგონას სადაკო სასაკი ერქვა. ის იწვა „ატომურ ჰოსპიტალში" და აკეთებდა ქაღალდის წეროებს.

იაპონიაში არის ასეთი რწმენა: ადამიანი, რომელსაც უბედურება ეწვევა, უსათუოდ გადარჩება, თუ მოასწრებს ათი ათასი ქაღალდის წეროს გაკეთებას.

სადაკო ჩქარობდა. რადაც არ უნდა დაჯდომოდა, უნდა მოესწრო. მთელი დღეები ფერად-ფერად ქაღალდებისაგან აკეთებდა წეროებს, ხანდახან გაიღვიძებდა ღამით და ბავშვის პატარა თითებით ჯიუტად აკოწიწებდა ფრინველებს — წითელს, ყვითელს, მწვანეს...

მაგრამ სადაკო სასაკიმ ვერ მოასწრო გაეკეთებინა ათი ათასი ფერადი წერო...

„ატომური ბომბის ბავშვთა" ძეგლზე შემაღლებულია მოზარდის ფიგურა, რომელსაც ხელთ რკინის კარკასი უპყრია. კარკასს წეროს სახე აქვს, რომელსაც ფრთები ბავშვის გაშლილ ხელებზე გადაუფენია.

ახლა ხიროსიმაში არის „წეროების საზოგადოება", რომელშიც მოსწავლე ახალგაზრდობაა გაერთიანებული. მოსწავლეები აგროვებენ სახსრებს ატომური აფეთქებით დაღუპულთა ოჯახების დასახმარებლად.

ჩვენ გავეცანით „პატარა წეროებს". როცა გაიგეს ბავშვებმა, რომ ხიროსიმაში საბჭოთა ჟურნალისტები ჩამოვიდნენო, ისინი სასტუმროში მოვიდნენ ჩვენთან. მათ მოიტანეს იმ ახლობლების, ნათესავებისა და მეგობრების სურათები, რომლებიც დაიღუპნენ ხიროსიმაში, გვიამბეს თავიანთი საზოგადოების მუშაობაზე.

ქალაქში ხშირად იმართება დემონსტრაციები ატომური იარაღის გამოცდის წინააღმდეგ. „წეროების საზოგადოება" ერთ-ერთი ორგანიზატორთაგანია ამ დემონსტრაციებისა. მოწაფეებს გამოაქვთ სხვადასხვა ქვეყნის დროშები, რითაც ხაზს უსვამენ იმას, რომ მშვიდობა მსოფლიოს ყველა ხალხს უნდა; მაგრამ მათ თურმე არ ჰქონდათ საბჭოთა დროშა და მოწაფეებმა გვთხოვეს გაგვეგზავნა ჩვენი წითელი ალამი.

„პატარა წეროებმა" გადმოგვცეს პაკეტი, რომელშიც სუვენირები იყო. ეს საჩუქარი ვოლგოგრადელებსო, გვითხრეს ბავშვებმა.

ხიროსიმას მოზარდები ვოლგოგრადელ თანატოლებს უგზავნიდნენ საჩუქარს.

— ჩვენ ვიცით, რომ ვოლგის ქალაქის თავზე არ გამსკდარა ატომური ბომბი, მაგრამ ვოლგოგრადი ხომ სულ დაინგრა ომის დროს, — გვითხრეს ხიროსიმელმა მოსწავლეებმა, — დაე, ეს აღარასოდეს არ განმეორდეს!

• • •

ჩვენ ვეწვიეთ „ატომურ ჰოსპიტალს". ბევრი, ვინც აქ წევს, სასიკვდილოდაა განწირული. მათ არაფერი არ იხსნის, მიუხედავად იმისა, რომ ექიმები ძალ-ღონეს და ცოდნას არ იშურებენ. ვიყავით პალატებში, ვნახეთ ეს ხალხი, ყოველ საწოლზე ქაღალდის წეროა მიმაგრებული.

პალატიდან პალატაში გავდიოდით, ვესაუბრებოდით ავადმყოფებს, მათ მკურნალებს და ჩვენ ისევ და ისევ გვაგონდებოდა ხიროსიმაში დაღუპულთა ძეგლზე ამოკვეთილი სიტყვები:

იძინეთ მშვიდად.
ეს აღარ განმეორდება!
ეს ჩვენი მოწოდებაა.
ეს ჩვენი ლოცვაა.
მშვიდობა მთელს მსოფლიოს!

როგორც ჰოსპიტლის უფროსმა ბატონმა სიგეტამ გვითხრა, იმ დროს ჰოსპიტალში ას ოცი კაცი იწვა. მათი მდგომარეობა ძალზე სავალალო იყო.

სულ ხიროსიმაში სხივური დაავადებით შეპყრობილია 100.000 კაცი. ყოველ დაავადებულ ადამიანზე გახსნილია სამედიცინო ბარათი. მერედა, რას უშველის ეს მათ ტანჯვას?

ბატონ სიგეტას სასახელოდ უნდა ითქვას: ის ყველაფერს აკეთებს, რაც კი შეუძლია, რომ ადამიანებს დაეხმაროს, შეუნარჩუნოს ძალა და დაუბრუნოს ჯანმრთელობა.

ახლა ლეიკემია აღმოაჩნდა ბევრ ისეთ ადამიანს, ვინც აფეთქების ადგილიდან შორს იყო და უკანასკნელ დრომდე თავი ჯანმრთელი ეგონა. დადგენილია, რომ სისხლის გათეთრებით გამოწვეული სიკვდილიანობა ყველაზე დიდი რაოდენობით ხიროსიმაშია.

„ატომური ჰოსპიტალის" ყოველი სტუმარი თავს ვალდებულად თვლის ორიოდე სიტყვა ჩაწეროს ბატონ სიგეტას კაბინეტში დაცულ ჩანაწერების წიგნში. ჰოსპიტლის უფროსმა გვთხოვა ჩვენც გაგვეკეთებინა ეს.

რამდენ ენაზე და რანაირ ჩანაწერს არ შეხვდებით ამ წიგნში. ეს არის სიტყვები ხიროსიმაში მომხდარი ტრაგედიის მრისხანე პროტესტისა. კეთილი ნების ადამიანები ხმამაღლა, ერთად აცხადებენ: ეს აღარ უნდა განმეორდეს!

წიგნში შევხვდი რამდენიმე ჩანაწერს ქართულ ენაზე. ერთი მათგანი 1962 წელსაა დაწერილი, ბერიძის მიერ. მეორე მოკლედ იტყობინება: „მეგობრული სალამი თბილისიდან!" ხელს აწერს უცნობი ბელა.

ხიროსიმას გადმოჰყურებს გორაკი ხეძიამა. აქედან კარგად ჩანს ლამაზი ქალაქის სანახები. ქალაქს მდინარე შუაზე ჰყოფს. ხიროსიმაში შეჭრილია ზღვის ცხრა ყურე და ქალაქი თითქმის ნახევარკუნძულზეა გაშენებული.

ხეძიამაზე მეორე „ატომური ჰოსპიტალია", ამერიკული.

ბატონმა სიგეტამ გვითხრა, რომ იქ ავადმყოფებს კი არ კურნავენ, არამედ მათზე დაკვირვებებს ახდენენ, როგორც გამოსაცდელ ცხოველებზე. ყველაზე შემაზრზენი ის არის, რომ თავიანთ სამეცნიერო-გამოკვლევით სამუშაოს ამერიკელები საიდუმლოდ ინახავენ. იქნებ საზოგადოების მიერ მათი სამედიცინო მიღწევების გამოყენებამ იხსნას ასობით ტანჯული ადამიანი?

დიახ, ვერაფერს იტყვი: რა ჰუმანიურობა უნდა მოჰკითხო ამერიკელ იმპერიალისტთა მსახურებს!

„ატომურ პარკში" არის „ატომური მუზეუმი".

ვიყავით მუზეუმში — გრძელ სწორკუთხა რკინა-ბეტონის ყუთში, რომელიც ბეტონის საყრდენებზე დგას.

მსოფლიოს არც ერთ მუზეუმში არ არის ისეთი ექსპონატები, როგორიც აქ: ადამიანის დანახშირებული სხეულის ნაწილები, გამდნარი საოჯახო ნივთები, ძლივს რომ გამოიცნობ — ქვაბია, ავზი თუ ტაშტი; გამდნარი ბოთლი, გამდნარი, დაგრეხილი კრამიტები და შუშა.

თუ თქვენ გსურთ დაწვრილებით გაიგოთ რა მოხდა ქალაქში აგვისტოს იმ ტრაგიკულ დღეს, უნდა შეხვიდეთ დარბაზში, სადაც ხიროსიმას პანორამაა.

თვალწინ ბრწყინვალე ქალაქია: ნათელი, მზიური, საუცხოო სახლებით, ლამაზი ხიდებით. ეს არის ხიროსიმა აფეთქებამდე.

აი, გაისმის სირენების ხმა. მოისმის მოახლოებული თვითმფრინავის ზუზუნი. თვითმფრინავი ქალაქის თავზეა. ელვასავით გაანათა დამაბრმავებელმა აფეთქებამ. გაისმა ყურის ბარაბნის გამხვრეტი გრგვინვა. ჩაქრა შუქი. დიდხანს კიდევ გაისმის მკაცრი ექო... ექვს აგვისტოს დილაადრიან ქალაქს მიუახლოვდნენ თვითმფრინავები. მათთვის არავის არ მიუქცევია ყურადღება, საზენიტო არტილერიასაც



ამ თაღს ქვეშ ინახება ატომური ბომბის მსხვერპლთა სია.

კი. ერთი თვითმფრინავი ლივლივით წამოვიდა და ჩამოაგდო ატომური ბომბი. „ატომის სოკოს" სიმაღლე ცხრა კილომეტრამდე ავიდა.

მაშინვე წამოვიდა კოკისპირული წვიმა. მალე გადაიღო, მაგრამ ორი საათის შემდეგ უფრო ძლიერ დაუშვა და არ გადაუღია რამდენიმე საათის განმავლობაში.

შუქი ხელახლა ინთება და თქვენ ხედავთ ხიროსიმას აფეთქების შემდეგ.

ეს არის საზარელი სანახაობა. ქალაქი აღარ არის. ნანგრევები, სახლების მცირე ნარჩენები... და ამ ნანგრევებს შორის რაღაც სასწაულით გადარჩენილი სახლის ქვის ჩონჩხი, რომელსაც რკინის თაღი აქვს.

დიახ, ეს ის სახლია, რომელიც ჩვენ ვნახეთ „ატომურ პარკში" შესვლისას და შემდეგ ხიროსიმაში დაღუპულთა ძეგლის თაღიდან.

ახლა ეს ქვის ჩონჩხი თოვლივით თეთრი სახლების გვერდით დგას, გაბოროტებული გამოიყურება და გვაგონებს ხიროსიმას ტრაგედიას.

აფეთქების შემდეგ ნაცარტუტად ქცეულ ქალაქში ეს სახლი „გადარჩენილი" ჩანდა. აქ იყო ხიროსიმას ყველაზე მსხვილი ბანკი.

როცა ქალაქის მცხოვრებნი კვლავ მოვიდნენ ხუმრობის გუნებაზე, ვიღაცამ შენიშნა, რომ სახლი შემთხვევით არ გადარჩა, შიგ ომის გამჩაღებელი ადამიანები ისხდნენო.

ამ შენობაში რომ ომის გამჩაღებლები ისხდნენ, ეს სიმართლეა.

სახლი გარეგნულად თითქოს „გადარჩა", შიგანი კი სიკვდილს დაუდალავს.

ქალაქში დარჩა ყველაზე შემაზრზენი „ექსპონატი". შენობაში არის მაღალი კიბე, მთლად გაშავებული. დააკვირდით საფეხურებს, ზედ ეტყობა ადამიანის სხეულის კვალი. ის ცოტა უფრო ბაცია შენობის დანახშირებულ შავ ფონთან შედარებით.

თურმე აფეთქებისას მარმარილოს ქვის საფეხურზე იჯდა კაცი. იქნებ დასასვენებლად დაჯდა, ანდა ცუდად გახდა, ვინ იცის. ცხელმა ტალღამ დაფერფლა იგი და მარმარილოს ფილას მიაბეჭდა. მისგან დარჩა მხოლოდ სილუეტი.

ამ კიბის საფეხურების ფოტოგრაფიული სურათი „ატომურ მუზეუმში" ვნახე. წარმომიდგენია, რა შთაბეჭდილებას დასტოვებდა ჩაფერფლილი კაცის სილუეტიანი დანახშირებული კიბის ნახვა, როცა ფოტოსურათი ასე შემზარავია.



პატარა გოგონა, ბებიას თანხლებით, დედისაც მოვიდა დედის საფლავზე.



ერთადერთი სახლი მთელ ქალაქში, რომელიც „გადარჩა" ატომური ბომბის აფეთქების დროს.

# შუქმოფენილია მათი სახელით

Სექტემბრის ბნელი, უკუნეთი ღამეა. სპეციალური დანიშნულების მატარებელი, რომელსაც ფარები ჩამქრალი ჰქონდა, სადგურ ახჩა-კუიმსა და პერევალს შორის 207-ე ვერსზე გაჩერდა. ირგვლივ უსაზღვრო ქვიშიანი სტეპი გაშლილიყო. არსად სიცოცხლის ნატამალიც არ იგრძნობოდა. მატარებლიდან გადმოიყვანეს ნაწამები ადამიანები და თავით ფეხთამდე შეიარაღებული მრავალრიცხოვანი ბადრაგით გარშემორტყმულნი სტეპისკენ წაიყვანეს. ისინი ოცდაექვსი იყვნენ და თვითეულმა კარგად იცოდა, რომ მტერმა ეს ხრიოკი ადგილი მათი სამარისათვის აირჩია.

ინგლისელი კაპიტანი ტიგ ჯონსი და იმიერკასპიის სახელმწიფოს „მთავრობის" წევრები — ფუნტიკოვი, დრუჟკინი და სხვები ჩუმი გაოცებით შესცქეროდნენ დამიზნებული შაშხანების წინ ამაყად მდგომ კომუნარებს. სულ ცოტა ხნის წინ ისინი არაადამიანურად აწამეს, მაგრამ ვერც ერთი სიტყვა ვერ ათქმევინეს, ქედი ვერ მოადრეკინეს. ახლა მათ ხვრეტდნენ აქ, უდაბნოს ამ მიყრუებულ კუთხეში, ჩუმად, ქურდულად, და თვითონვე რაღაც განწირულ, ავისმომასწავებელ წინათგრძნობას განიცდიდნენ.

ბათქი ბათქს მოსდევდა. მცირდებოდა ჯალათების წინ მდგომი ადამიანების რიცხვიც. ბოლოს მძიმე, სულისშემხუთველი დუმილი ჩამოწვა ირგვლივ. თავჩაქინდრული უხმოდ მოაბიჯებდა უკან კაპიტანი ტიგ ჯონსი, უხმოდ მოდიოდნენ იმიერკასპიის სახელმწიფოს „მთავრობის" წევრებიც.

ისინი 26 იყვნენ — შაუმიანი, ჯაფარიძე, აზიზბეკოვი, ფიოლეტოვი, ყორღანოვი, ნიკოლაიშვილი და მათი ამხანაგები, ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებმაც უყოყმანოდ დასდეს თავი ადამიანების ნათელი მომავლისათვის, მათი ბედნიერებისათვის.

იმავე დღეს, 1918 წლის 20 სექტემბერს აშხაბადის გაზეთ „შუა აზიის ხმაში" გამოქვეყნდა თავისი ბოროტი გულახდილობით უმაგალითო სტრიქონები:

„ჩვენ კვლავ გაგვიღიმა ბედმა. ხელში ჩაგვივარდა ბაქოს ბედ-იღბლის ყოფილი გამგებლები. ჩვენს მსხვერპლთა შორის არის ერთ-ერთი ცნობილი გმირი შაუმიანი, რომელსაც დიდი ხანია, რაც „კავკასიის ლენინი" შეარქვეს.

...ამიერიდან პასუხს გაგვცემენ შაუმიანის, პეტროვის, ჯაფარიძის, ყორღანოვისა და სხვათა თავები. ჩვენ უკან არ დავიხევთ არაფრის წინაშე, გამოვიყენებთ საშინელ წამებას, შიმშილით სიკვდილსა და ოთხად განკვეთასაც კი".

ეს სტრიქონები იწერებოდა მაშინ, როცა უდაბნოს ქვიშიან სტეპში უკვე ხოცავდნენ ბაქოელ კომისრებს.

ამ სისხლიანმა ამბავმა შეაძრწუნა მილიონობით ადამიანი. მამაცი ბაქოელი კომისრები გადაიქცნენ ინტერნაციონალიზმის, პროლეტარიატის საქმისათვის ერთგული ბრძოლის, სიმტკიცისა და თავდადების სიმბოლოდ.

თანამედროვე საფრანგეთის პროგრესული მწერალი, კომუნისტი ლუი არაგონი 26 კომისრის დახვრეტის შესახებ წერდა: „როგორ გვაგონებს ეს ამბავი ზოგიერთი თავისი მომენტით ჩვენს უახლოეს ისტორიას!.. მათში ყველაზე უფრო გვაღელვებს და გვხიბლავს სწორედ ხალხთა მეგობრობა, რომელიც შუქმოფენილია სამი კომისრის სახელით: აზერბაიჯანელი აზიზბეკოვის, სომეხი შაუმიანისა და ქართველი ჯაფარიძის სახელით".

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ დაიწყო რევოლუციის ჭეშმარიტად ტრიუმფალური სვლა ჩვენს ქვეყანაში. ექვსი დღის შემდეგ საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდა ქ. ბაქოშიც. ეს იყო სოციალისტური რევოლუციის დასაწყისი ამიერკავკასიაში. რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინი ყურადღებით ადევნებდა თვალს ბაქოში შექმნილ მდგომარეობას, მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული ბაქოელ ბოლშევიკებთან.

1918 წლის 25 აპრილს ბაქოს საბჭომ აირჩია ბაქოს გუბერნიის სახალხო კომისართა საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ კომუნისტები — ს. შაუმიანი, პ. ჯაფარიძე, ნ. ნარიმანოვი, მ. აზიზბეკოვი, ი. ფიოლეტოვი, გ. ყორღანოვი, ი. ზევინი და სხვები.

ბაქოს სახალხო კომისართა საბჭომ მოკლე დროში განახორციელა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სოციალური ღონისძიებანი: ჩატარდა ნავთობისა და თევზის მრეწველობის, ბანკებისა და კასპიის სავაჭრო ფლოტის ნაციონალიზაცია, გამოიცა დეკრეტი ბეგებისა და ხანების მიწათა კონფისკაციისა და ამ მიწების მშრომელი გლეხობისათვის გადაცემის შესახებ, შემოღებულ იქნა 8 საათიანი სამუშაო დღე.

1918 წლის მაისში გერმანელი იმპერიალისტების მითითებით თურქეთის ჯარები შეტევას იწყებენ ბაქოს მიმართულებით. ირანიდან ბაქოს ემუქრებოდნენ ინგლისელი დამპყრობლები. საბჭოთა ბაქო მტრის რკალში მოექცა. ოთხი თვის განმავლობაში ბაქოელი მუშები და მშრომელი გლეხობა კომუნისტების ხელმძღვანელობით მძიმე თავდაცვით ბრძოლებს ეწეოდნენ გერმანია-თურქეთის ჯარების წინააღმდეგ.

ბაქოს აკლდა პური, სურსათი, წყალი. ხალხი მძიმე მდგომარეობაში იყო. და აი, სწორედ ასეთ დროს ინგლისელი იმპერიალისტების აგენტებმა — ესერებმა, მენშევიკებმა და დაშნაკებმა — გააჩაღეს ძირგამომთხრელი, მოღალატური აგიტაცია. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ბაქოს მხოლოდ ინგლისის ჯარების მოწვევა გადაარჩენსო. 25 ივლისს ესერებისა და მენშევიკების ძალდატანებით ბაქოს საბჭოს სხდომაზე 258 ხმის უმრავლესობით 236 წინააღმდეგ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ბაქოში ინგლისელთა მოწვევის შესახებ. 4 აგვისტოს ბაქოში შემოვიდნენ ინგლისის ჯარები. მათი მთავარი მიზანი და დანიშნულება მშვენივრად გამოხატა ამერიკულმა გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა": „მოკავშირეთა უმთავრესი ამოცანა არის, რომ დაიკავონ კავკასიის ნავთობის უმნიშვნელოვანესი რაიონები".

ბაქოს ოკუპაციის შემდეგ ინგლისელი ინტერვენტები სასტიკად გაუსწორდნენ ბაქოს რევოლუციურ პროლეტარიატს. ხალხის თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანები საპყრობილეში ჩაყარეს. მალე დაიწყო თურქების შეტევა ბაქოზე. ინგლისელებმა დატოვეს ბაქო. თავის თურქ ბატონებთან ერთად ქალაქში შემოვიდა მუსავატისტების მარიონეტული „მთავრობაც". თურქი ოკუპანტების ქალაქში შემოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე ბაქოელმა კომისრებმა განახორციელეს მეტად გაბედული და სახიფათო გაქცევა. იმავე ღამეს გემ „თურქმენით" 26 კომისარი საიდუმლოდ გაემგზავრა საბჭოთა ასტრახანისკენ. მაგრამ ორი ინგლისელი ოფიცრის ბრძანებით გემმა კურსი იცვალა კრასნოვოდსკისაკენ, სადაც არსებობდა ესერების იმიერკასპიის კონტრრევოლუციური „მთავრობა". კომისრები კვლავ დააპატიმრეს...

1920 წელს ბაქოს პროლეტარიატმა და აზერბაიჯანის მშრომელმა გლეხობამ კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და მოძმე რუსი ხალხის დახმარებით დაამხეს ბურჟუაზიულ-მემამულური მუსავატისტური „მთავრობა" და დაამყარეს საბჭოთა ხელისუფლება. დიდმა საქმემ, რომლისთვისაც იბრძოდა და თავი დასდო 26 ბაქოელმა კომისარმა, გაიმარჯვა.

მიხეილ აგაჯანოვი



# მარჯვენას უქებს...

ვასილ გვეტაძე

ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია...

გალღვა მღვიმეთა დუმილი მკაცრი
და მოიჭედა ცა ბროლის ჭიქით...
შეხედე, ელვად გამოკრთა კაცი
სურომოხვეულ ნანგრევის იქით.

ლიცლიცებს შუქი კოშკების ქიმზე,
თვლემს ძველი ზღუდე, მკვიდრად ნაგები,
ჩუქურთმებიდან ოსტატი მიმზერს,
ხელმოკვეთილი რაღაც განგებით.

უჭვრიტე: ნისლი გამოჭრა სქელი,
დადგა და ცხადად იქცა ზმანება,
და მოუღლელი ოსტატის ხელი,
ძახილის ნიშანს დაემგვანება.

თითქოს კედელზე მოწვეთავს სისხლი,
წითლდება, იწვის ცის დასავალი,
და თვალწინ მსხვრევით, ხმაურით, რისხვით,
გადიგრუხუნებს წელი მრავალი.

ის კი მტკვრის ნაცნობ ხეობით მიდის,
ფეხის ხმაც, თითქოს, შორით მოისმა.
მიაცილებენ ჩვეული რიდით
აღმშენებლები ჩვენი დროისა.

მიაცილებენ ნაწამებს, დაღლილს,
კაცს, ვინც საჭრეთლით ღმერთებს ედავა.
მზადაა ზეცის მაღალი თაღი,
მისთა საქმეთა დასახედავად.

დღემ ჩამოშალა სხივების ფოჩი,
ვით დიდებული რამ სანახავი,
და სიცოცხლეში მარჯვენამოჭრილს,
მარჯვენას უქებს ქართლი ახალი.

შეიკრა, დაცხრა ყველა იარა,
ფრთა შეუმაგრდათ ამხდარ ზმანებებს.
დღეს ოსტატს, შუქად რომ ჩაიარა,
ხელიხელ ხდიან საგოგმანებელს...

მოვიდეს, თვალი შეავლოს კიდევ,
ჩათლილ სვეტებში შემართულ ქალაქს,
განჭვრიტოს მიწის განი და კიდე
და შემოქმედი მარჯვენის ძალა.

სივრცეს გახედოს ზვიადი მზერით,
გუმბათებად თუ აფრებად აშლილს...
სიცოცხლისა და რიჟრაჟის ფერი
უხვად ილვრება უბრალო ქვაშიც.

ხაზავს ლაჟვარდებს კვლავ გამრჯე ხელი,
მცხეთის, რუსთავის, თბილისის კართან,
და მშენებელთა ოცნება ძველი,
ხარაჩოებად ამოიმართა.

ეს ქვა შეძრული სულია მათი,
კრძოლის, კრუანტლის გულზე მომდები.
თეთრ ჩუქურთმებში ჯეჯილი დათრთის
და მღვრიე ტალღებს ჰგვანან ლოდები.

კედლებზე ვაზი ზიმზიმებს გზნებით,
გადაჭდობია ჩაქუჩს ნამგალი.
აღუბეჭდია ქვას პურის ძნები
და თავთავების ქარში კანკალი.

ნეტა, რამ მისცა ასეთი სითბო
მარმარილოზე აპრილ არშიას.
აგერ კახური რთველია თითქოს
და მთელი ქართლი შუა მკაშია.

ფერი ხორბლისა და ფერი მარჯნის,
ღებავს თაღებს და სინათლედ ახლავს.
ხარაჩოები მარცხნივ და მარჯვნივ!..
ხარაჩოები დაბლა და მაღლა!..

წლებში ქვის ფეთქვაც გულისთქმად ივლის,
განათებული ცისკრის კანდელით,
და სართულებში მხრებჩადგმულ თბილისს,
ხვალ უფრო გაზრდის დღე დღევანდელი.

# ლოპოტის საგანძური





მარმარილო ამ მთების გულში.

## ფშაველი ლეგას თეთრი ქვა

ვიწრო ხეობას ლოდებზე აქაფებული მდინარის ღრიალი აყრუებს. ქვემოთ ეს მდინარე წიფლის ჭალაში იჭრება და დაშოშმინებული, ბუტბუტით მისდევს კატაბარდებითა და გვიმრით დაფარულ დაბალ ნაპირს. ტყით დაბურულ ფერდობებს ზემოთ კი, ულრანების თავზე ვეებერთელა მწვერვალები ღრუბლებს შებჯენიან და ამაყად გაჰყურებენ ცისა და მიწის დასალიერს. აქედან, ამ ხეობიდან, არც თუ აგრე ადვილია მათი თავტიტველა კენწეროების დანახვა, სადაც ზამთარ-ზაფხულ აუღებლად დევს თოვლი და სადაც კარგა ხნის მანძილზე მარტო მწყემსებსა და მონადირეებს თუ აესვლებოდათ.

მაგრამ ერთხელ ლაფანყურეში უცხო ადამიანები მოვიდნენ. ზურგზე ჩანთები ეკიდათ, ხელში კი წერაყინები ეჭირათ. აქაურმა ფშაველებმა შინ მიიპატიჟეს სტუმრები. მთამსვლელები აღმოჩნდნენ. ფშაველებს შორის კაცს ეძებდნენ — მთაში გამყოლი გვჭირდებაო. ლაფანყურელებმა ალიოშა ჯაფარიძეს მეგზურად ლეგა მონადირე დაუსახელეს.

ფშაველი ლეგა უთენია გაუძღვა მთამსვლელებს. შუადღისას კი სწორედ იმ თეთრი კლდეების ძირში გაუშალა მათ პურმარილი, სადაც ნადირობის შემდეგ ყოველთვის მუხლში ქარის ამოღება იცოდა ხოლმე. პურობის დროს ლეგამ ამ მთების საიდუმლოც გაუმხილა ჯაფარიძეს, ქვის რამდენიმე ნატეხიც უჩვენა, ქალაქში მინდოდა წამომეღო, იქნებ გამოსდგომოდათ რამეშიო. ალიოშამ დიდხანს ატრიალა ხელში თეთრი ქვის ნატეხები, მთის თეთრ ფერდობებსაც დიდხანს უყურა და მერე თვალებგაბრწყინებული გადაეხვია ლეგა მონადირეს.

— ბიჭო, ლეგა, ეს ხომ მარმარილოს მთებია, თეთრი მარმარილოსი!...

რამდენიმე ხნის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძე ხელმეორედ ეწვია ლაფანყურეს. ახლა მას თან ახლდნენ პროფესორი ა. კომპანიონი, ინჟინერ-გეოლოგი ი. მონცელიძე და კიდევ რამდენიმე სპეციალისტი. ალიოშამ ლოპოტის ხეობით წაიყვანა ისინი მთებისკენ, წაიყვანა ლეგა მონადირის ბილიკებით, და მალე არა მარტო ლაფანყურეს, მთელს ქვეყანას მოედო ლოპოტის მარმარილოს დიდი საბადოების აღმოჩენის ამბავი...

სოფლის ბოლოში, ძველისძველი სასაფლაოს მიყრილ-მოყრილ ქვებს შორის თვალისმომჭრელად ლაპლაპებს თეთრი მარმარილოს ვეება ლოდი. ეს ლოდი გეოლოგებს მოუტანიათ აქ და ლეგა მონადირის ხსოვნის უკვდავსაყოფად მის საფლავზე დაუდგამთ. ლოდზე წარწერაა: „აქ განისვენებს ლეგა ნარუსლიშვილი, ლოპოტის მარმარილოს აღმომჩენი"...

* * *

ადვილი როდი იყო იმ თეთრ მთებზე ასვლა, ზოგჯერ მონადირეებსაც უჭირდათ იქ სიარული, ზოგჯერ მთამსვლელის წრიაპებიც ვერას ხდებოდნენ ამ კლდეებთან, მაგრამ ადამიანები მაინც არაფერს არ ეპუებოდნენ. თავდაპირველად ისევ ფშაველებმა აიყვანეს ლოპოტის მთებში ხარ-კამეჩი, წინ კისისხეველი დათა დაღლაშვილი მიუძღოდათ, მერე გოგია დომელაშვილი. ამოვიდნენ პირველი ქვისმთლელებიც: ანდრო ჩოფიკაშვილი, ანდრეი მელნიკოვი და კულიბაბა. მარმარილოს პირველი ლოდი მარხილით დააცურეს, პირველს მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე...

ენა ადვილად იტყვის, ყურიც ადვილად მოისმენს, მაგრამ ნამდვილად თუ გაინტერესებთ ლოპოტის საგანძურის ამბავი, საკუთარი თვალით უნდა გენახათ იგი, უნდა გენახათ და განცვიფრებულიყავით.

ვინ მოთვლის რამდენ ხიფათსა და ფათერაკს აწყდებოდნენ მემარხილეები. რამდენი პირუტყვი გადაჩეხილა უფსკრულებში, რამდენი ვაჟკაცი დაუტანია ზვავსა და მეწყერს. მაინც ადიოდნენ მგლის ბილიკებით, მაინც სტეხდნენ ქათქათა ლოდებს და დიდი ვაი-ვაგლახით უშვებდნენ ქვემოთ.

მერე ლაფანყურეში ფიცრის პატარა კანტორაც გახსნეს; მემარხილეებმა ბრიგადირად ფშაველი მიშა წიქარაძე აირჩიეს. მაშინ ის თვრამეტი წლის ჭაბუკი იყო, მაგრამ იმ ციცაბო ფერდობებზე ხარ-კამეჩის აყვანა-ჩამოყვანაში ბადალი არ ყავდა.

იმ ხანებში პირველად გაიგეს სასიხარულო ამბავიც — მოსკოვიდან კაცი ჩამოსულა, მთავრობის სასწრაფო დავალება ჩამოუტანიაო, წოპიგორიდან დედაქალაქში შვიდტონიანი მარმარილოს ლოდი უნდა გავგზავნოთო. დაწინაურდნენ ქვისმთლელები, გარიჟრაჟზევე მიაშურეს ლოპოტის მთებს, და როცა მიშა წიქარაძე და მოსკოველი ზლატინი კარიერზე ავიდნენ, მათ იქ უკვე გამზადებული დახვდათ კლდიდან ამოჭრილი მარმარილო.



— აბა ვნახოთ ეს ლოდიც...



მნგრეველები უტევენ კლდეს.

მემარხილეებმა რცხილის ხეები წამოაწვინეს, გასხიპეს და მარხილებად შეკრეს. ზედ ის ლოდი დააკრეს, კამეჩები შეაბეს და თავქვეზე მძიმედ დააცურეს.

ლაფანყურეში ბიჭებს ზეიმით შემოეგებნენ. ბრიგადის წევრების სიმამაცით აღფრთოვანებული ზლატინი მარმარილოს იმ უშველებელ ლოდზე შეხტა და ცეკვა დაიწყო, მერე სათითაოდ გადაეხვია ყველას, გადაკოცნა და მოსკოვში სტუმრად მიიპატიჟა.

## მანქანები მწვერვალებს უტევენ

ლაფანყურეში ახლად ჩამოსული ახალგაზრდა ინჟინერი თენგიზ ბახსოლიანი და ლოპოტის გოროზი მთა ერთმანეთს დიდხანს ზვერავდნენ, უკანასკნელი შერკინებისათვის ემზადებოდნენ. როცა თენგიზმა ფშაველებს თავისი გულისწადილი გაუმხილა, ბევრი მათგანი გაოცდა — ჩვენი ახალი ინჟინერი არაკებს გვიყვებაო.

— რას ამბობ, ბალღო, წოპიგორაზე ავტომობილი ავიყვანოთო? იქნებ ხალხის დაღუპვა გწადია?

— რატომაც არა, ძია შიო, ვცადოთ...—და ბახსოლიანმა ისეთი თვალით ახედა წოპიგორას, თითქოს ეს არის ზურგზე უნდა მოიგდოსო.

და აი, მთის ფერდობებს ჭიანჭველებივით მოედნენ ადამიანები. პირველმა აფეთქებამ შეაზანზარა ლოპოტის მწვერვალები. აფეთქებას აფეთქება მოსდევდა. მიწისა და დამსხვრეული ლოდების ზვავები ხრიალით ეშვებოდნენ უფსკრულებში. ზამთარს გაზაფხული ცვლიდა, ზაფხულს შემოდგომა, და ერთ მშვენიერ დღეს ლაფანყურელმა ფშაველებმა პირველად დაინახეს ენაგადმოგდებული ბულდოზერები, გრძელხორთუმიანი ექსკავატორები. ლოპოტის გზა ნელ-ნელა მიიწევდა მთებში. სამ წელიწადში ცხრა კილომეტრი გაიარეს. ცხრა კილომეტრი! და მერე წოპიგორაზე მძლავრი გუგუნით ავიდა პირველი ავტომობილი.

ახლა ანდრო ჩოფიკაშვილი, ანდრეი მელნიკოვი და კულიბაბა ჩაქუჩითა და სატეხელით კი არ ჭრიან მარმარილოს, არამედ მძლავრი ბურღებით ჰკვეთენ კლდეებს. მემარხილეებმა ექსკავატორების მართვა შეისწავლეს, ხოლო ბრიგადირი შოთა წიქარაძე სამთო საქმის ოსტატი გახდა.

ლოპოტის თეთრ-ნაცრისფერმა მარმარილომ დაამშვენა ჩვენი ქვეყნის მრავალი ქალაქი და არა მარტო ჩვენი ქვეყნის. ლაიპციგში გამართულ მსოფლიო ბაზრობაზე ლოპოტის მარმარილომ საქვეყნოდ გაითქვა სახელი. იგი მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მარმარილოდ იქნა აღიარებული. დაკვეთები დაკვეთებს მოსდევს. მას მოითხოვს ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, პოლონეთი და მრავალი სხვა ქვეყანა. ამ ორი წლის წინათ კახეთს იაპონელები ესტუმრნენ. უცხო სტუმრები მოიხიბლნენ ქართული მარმარილოს ფერთა სინარნარითა და სიმტკიცით. მალე იაპონიიდანაც მივიღეთ თხოვნა 1000 კუბომეტრი მარმარილოს შესყიდვის შესახებ.

გეოლოგები კვლავ გაცხოველებით მუშაობენ მარმარილოს ახალი საბადოების აღმოსაჩენად. ასეთი საბადოებია ვაკეგორზე, ნაყორღანალზე, სასანთლიაზე: მარტო წოპიგორაზე 40.000 კუბომეტრი მარმარილოს საბადოა. ჯერ-ჯერობით აქ მხოლოდ 500-600 კუბომეტრის ამოღებას ახერხებენ ყოველწლიურად. ახლო მომავალში კი გათვალისწინებულია 2.500 კუბომეტრი მარმარილოს ამოღება. ამ მიზნით კაპიტალურად შეკეთდება ლოპოტის მთებისკენ მიმავალი გზა, გაიზრდება კარიერების რიცხვი, ფართოდ დაინერგება მექანიზაცია, გადიდდება ტრანსპორტი.

მარმარილოს დიდმა მარაგმა დღის წესრიგში დააყენა მისი წარმოების გადიდებაც. თელავის ბოლოს, რკინიგზის მახლობლად შეიქმნა ფიქალ-მარმარილოს დამმუშავებელი დიდი კომბინატი, სადაც მუშაობენ მარმარილოს საუკეთესო ოსტატები. კომბინატი ამზადებს არა მარტო მარმარილოს მოსაპირკეთებელ ფილებს, დაფებსა და ფართო მოხმარების საგნებს, არამედ საბუეს ფიქალების ფხვნილსაც, რომელიც სოფლის მეურნეობაში მავნებლების წინააღმდეგ გამოიყენება. წელს ლოპოტის მარმარილოს კომბინატის კოლექტივმა ვალდებულებად აიღო გამოუშვას 48.000 ტონა მარმარილოს ნამცეცი — ძვირფასი მოზაიკური პროდუქციის დასამზადებლად, 10.000 ტონა მარმარილოს დაფა — ელექტრო წარმოებისთვის და ფართო მოხმარების საგნების დასამზადებლად, 15.000 ტონა ფიქალის ფქვილი — ქიმიური მრეწველობისთვის.

კომბინატის მუშებს შორის თავიანთი შრომით სახელი გაითქვეს მარმარილოს მხერხავმა შოთა სუხიტაშვილმა, მჩარხავმა არჩილ ყარაულაშვილმა, გამპრიალებელმა ნოდარ ბასილაშვილმა და სხვებმა. ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის წარმოების ყოფილ ხელმძღვანელს ა. ვარდოშვილსა და კომბინატის ახლანდელ დირექტორს თ. ბახსოლიანს, რომელიც მრავალი წელია მთელს თავის ცოდნასა და ენერგიას აქსოვს ამ საშვილიშვილო საქმეს.



სალი კლდეები გულს იხსნიან...

## ლოპოტელთა გულისტკივილი

ამას წინათ ლოპოტელებს ვესტუმრეთ, თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატის ჭიშკართან მუშებს მოეყარათ თავი. ჯერ შუადღეც არ გადასულიყო, ისინი კი უკვე მოღლილიყვნენ უსაქმურობისაგან.



აქ კი ახალ საამქროს აგებენ.

როგორც გავიგეთ, ერთ თვეზე მეტი ყოფილა, რაც საქმეს დანატრებულნი გულხელდაკრეფილი ელოდებიან ლოპოტიდან მარმარილოს ჩამოტანას. მარმარილო კი არ მოაქვთ. ამისათვის მანქანებია საჭირო. თელავის ავტოსატრანსპორტო კანტორა კი ზოგჯერ მთელი კვირეების განმავლობაში არც ერთ ავტომანქანას არ გზავნის. ყოველდღიურად სამოცდაოთხ ავტომანქანაზე მეტი გვჭირდება, საშუალოდ კი მხოლოდ ორ-სამ ავტომანქანას გვიგზავნიანო.

იმავე დღეს სატვირთო ავტომანქანით ლოპოტის მთებში ავედით. წოპიგორაზეც უსაქმოდ მჯდომი მუშები შემოგვეგებნენ. შემოგვჩივლეს: უამრავი მარმარილოს ბლოკი და ბუტი (ფლეთილი ქვა) გვაქვს დამზადებული, ავტომანქანები კი არსად ჩანან, რომ წაიღონო. ლოპოტელმა მუშებმა გულისტკივილით გვითხრეს, რომ რაიკავშირიდანაც ცუდად გვამარაგებენ საჭირო პროდუქტებითა და პირველი მოთხოვნილების საგნებითო, პაპიროსები რა არის, იმასაც კი ზოგჯერ დაობებულს გვიგზავნიანო, და იქვე გვიჩვენეს ობმოდებული, ჩაყვითლებულ-ჩაშავებული „პამირის“ კოლოფები.

ასეთი რამ, მართლაც, შეუწყნარებელია და ამას კარგად უნდა დაუფიქრდნენ ის ამხანაგები, ვისი მოვალეობაცაა ლოპოტელებზე ზრუნვა და მათი დახმარება.

ისინი ხომ საქვეყნო საქმეს აკეთებენ!

ე. გოგინაშვილი

# ᲛᲘᲕᲘᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ





თეატრის ისტორიის მკვლევარებმა საფუძვლიანად შეისწავლეს უბრწყინვალესი რუსი მსახიობის მიხეილ სიმონის-ძე შჩეპკინის ბიოგრაფია და შემოქმედებითი გზა, აღნუსხეს ყველა მასალა, რაც ამ შესანიშნავი ადამიანის ცხოვრებას ეხებოდა, მაგრამ არც ბახრუშინის სახელობის სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის მიერ გამოცემულ კატალოგში („ბახრუშინის სახ. სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის შრომები, 1941 წ.“ რუს. ენაზე) და არც შჩეპკინის ბიოგრაფიის მკვლევართა ნაშრომებში მოხსენებული არ არის ერთი საინტერესო რეცენზია, რომელიც გამოქვეყნებული იყო „კოსტრომსკიე გუბერნსკიე ვედომოსტის“ ფურცლებზე 1858 წლის № 17-ის დამატებაში.

ხსენებული რეცენზია ეკუთვნის ჩვენს თანამემამულეს — პავლე ივანეს-ძე ანდრონიკაშვილს (1885-1888 წ.); ეს იყო ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი, რომელიც კოსტრომაში სათავეში ჩაუდგა სტამბის დაარსების საქმეს. აქვე მან დაბეჭდა არა ერთი საინტერესო წიგნი რუსული კულტურის ისტორიიდან.

პ. ანდრონიკაშვილის რეცენზია საინტერესოა განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ ავტორი აქ ახასიათებს შჩეპკინის იმ წლების თამაშს, როცა მსახიობი უკვე მოხუცი იყო; 70 წლის შჩეპკინი კვლავ დაუცხრომელი სულის შემოქმედად მოევლინა კოსტრომელ მაყურებლებს, რომლებისთვისაც ეს უდიდესი სიხარული იყო.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ რეცენზიას.

ტ. ᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

* * *

კოსტრომის თეატრს დიდიხანია არ უცხოვრია ასე სისხლსავსედ, როგორც დროის ამ პატარა მონაკვეთში, 14-დან 21 აპრილამდე. მართალია, ამ პატარა დროში ბევრი წარმოდგენა არ დადგმულა, სულ ხუთი იყო, მაგრამ ამ წარმოდგენებს თითქმის ყველა კოსტრომელი დაესწრო, ვისაც ჯიბეში ზედმეტი მანეთი ჰქონდა. სპექტაკლების დროს თეატრი მუდამ სავსე იყო მაყურებლებით, თუმცა ფასები ჩვეულებრივზე ძვირი იყო. თეატრის შესასვლელ კართან ვერ გაივლიდით, იმდენი ხალხი აწყდებოდა მას და ყველგან მხოლოდ თეატრზე ლაპარაკობდნენ. ყოველივე ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, კოსტრომელი მსახიობები არ იყვნენ. ისინი ძალიან მორიდებული ადამიანები არიან და ეს ხმაურიც მათს გამო არ ატეხილა. ეს ამბები გამოიწვია მიხეილ სიმონის-ძე შჩეპკინის ჩამოსვლამ, რომელიც ოთხ სპექტაკლში გამოვიდა. შჩეპკინის თამაშის ღირსებაზე აქ არ ვილაპარაკებთ: ვინ არ იცის, ან ყოველ შემთხვევაში არ გაუგია მის თამაშზე. ვიტყვით მხოლოდ, რომ მიუხედავად ხანდაზმულობისა, მსახიობმა ღირსეულად გვიჩვენა სიდიადე თავისი ხელოვნებისა. შეუდარებელი იყო იგი „მატროსსა“ და „ძუნწში“, მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პიესას თვით მსახიობის კომპლექცია სრულიად არ შეეფერებოდა. შჩეპკინი ამ ორ პიესაში ისეთი დიდებული იყო, რომ მაყურებლები ტიროდნენ სპექტაკლის დროს. მსახიობმა სახეები გამოჰკვეთა ღრმა და გულამდე ჩამწვდენი სიმართლით. სცენის ეფექტების დიდი ცოდნის გარდა, მიხეილ სიმონის-ძეს ეხმარებოდა მისი განსაცვიფრებელი მიმიკა, რომლის საშუალებითაც ის ესოდენ პლასტიკურად ხატავდა სულის იმ მოძრაობას, რომლის გადმოცემაშიც ადამიანის სიტყვა უძლურია.

მაგრამ რაოდენ დიდი არ უნდა იყოს შჩეპკინის ტალანტი, საჭიროა ერთი რამ ითქვას: ფიზიკურ მოუძლურებას ერთგვარი კვალი დაუჩნევია მისი ნიჭისათვის. ჩვენ ვიცნობთ ორ-სამ კაცს, რომლებსაც მიხეილ სიმონის-ძის თამაში უნახავთ დაახლოებით ოცი წლის წინათ, მისი ცხოვრების საუკეთესო წლებში. იმის შიშით, რომ ვაითუ ველარ ვიცნოთ ადრინდელი შჩეპკინიო, ახლა მათ ვერ გაბედეს ეყურებიათ მისი თამაშისათვის. მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი სწორად მოიქცნენ.

ჩვენთვისაც მძიმე იყო იმის შეგრძნება, რომ ხანდახან მსახიობის სხეული თითქოს ველარ მისდევდა მისი სულის მღელვარებას, ხმაც ხანდახან ძველებურად ველარ ჟღერდა, მაგრამ მაინც დიდებული იყო ახლანდელი თამაშიც და თუ წარსულსაც გავიხსენებთ, უკეთესი იქნება თუ მის სიბერეზე არაფერს ვიტყვით.

ჩვენმა სტუმარმა კოსტრომა დატოვა 22 აპრილს ღამით, თავისი ბენეფისის შემდეგ, რომელშიც ითამაშა ლუბიმ ტორცოვი კომედიაში „სიღარიბე დასაძრახისი არ არის“. ჩვენ კი ალბათ დიდხანს აღარ გვეღირსება მსგავსი სიამოვნების განცდა, რადგან ასეთი მსახიობები ჩვენს მხარეში იშვიათად შემოვლენ ხოლმე.

# ᲔᲠᲗᲘ ᲤᲘᲜᲯᲐᲜᲘ ᲧᲐᲕᲐ

ᲐᲜᲐᲢᲝᲚᲘ ᲡᲝᲑᲝᲚᲔᲕᲘ

თქვენ იცით სად ხარობს ყავის ხე? მაშინ, შესაძლოა თქვენ ყავის მოდუღებაც იცოდეთ. მე შემიძლია ყავის მოდუღება ვენური, თურქული და ვარშავული წესითაც კი. არა, მე საყავეში არ ვმუშაობ, არც გაიფიქროთ; ისე კი, ყავა ძალიან მიყვარს. ხანდისხან ასე მგონია? ეს სიყვარული ჩემთან ერთად დაიბადა. მაგრამ არა, ეს ასე არ არის. შავ ყავას მხოლოდ ორი წელია, რაც გეახლებით.

სამსახურიდან მოვდიოდი... ბოდიშს ვიხდი და ცხენივით დაღლილი, გვარიანად გაბრაზებულიც გახლდით. რატომ ვიყავი გაბრაზებული, აღარ მახსოვს. შევედი „ნახევარფაბრიკატების“ მაღაზიაში. ვახშმად — ბიფშტექსი, საუზმეზე —ორი კატლეტი... ვხედავ — მაღაზიაში რაღაც სიახლეა. დახლზე დგას მონიკელებული აგრეგატი. იმის იქით შესანიშნავი ქალიშვილი, ახალი გამყიდველი. კედელზე რეკლამა ჰკიდია: „დალიეთ შავი ყავა! ის გააძლიერებს თქვენი გულის მოქმედებას, გააუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას, კარგ განწყობილებას შეგიქმნით“.

— სდექ-მეთქი, ვუთხარი ჩემს თავს და მერე ქალიშვილს შევეკითხე:

— გარანტიას იძლევით?

— მთლიანად არა... ბოდიში, თქვენ რაზე მეკითხებით? — შეცბუნდა იგი.

— კარგ განწყობილებაზე, რასაკვირველია, — ვუპასუხე, — კარგ განწყობილებაზე ყავის დალევის შემდეგ. ეს მართლა ასე მოხდება?

— თქვენც აიღეთ და სინჯეთ, — მიპასუხა ქალიშვილმა, — შესაძლოა ყველაფერი მოხდეს.

ქალიშვილმა ჩართო წისქვილი, დაფქვა ყავის მარცვალი და მომიდუღა ერთი ფინჯანი ყავა. ყოველივე ეს მან ძალზე კოხტად გააკეთა. მე ვსვამ, ქალიშვილი კი მიცქერის და იღიმება. „კარგი გოგონა ჩანს, ეს ახალი გამყიდველი, — გავიფიქრე ჩემთვის, — ძალზე სასიამოვნო ვინმეა“. და რატომღაც მომესურვა მისთვის კომპლიმენტი მეთქვა ექსპრომტად, მაგრამ შესაფერი სიტყვა ვერ მოვძებნე.

— თქვენ თავად გიცდიათ კარგ განწყობილებაზე დადგომა? — შევეკითხე ქალიშვილს.

— ვცადე, — მიპასუხა მან, —მაგრამ, იცით, მე არ მშველის. თქვენ შესაძლოა, მოგიხდეთ, — აჩქარებით მიპასუხა ქალიშვილმა.

შესანიშნავი ყავა იყო, მაშინვე მომეწონა ეს სასმელი. სურნელოვანი, გემრიელი. დავლიე ერთი ფინჯანი. მადლობა გადავუხადე, გამოვემშვიდობე და ქუჩაში გამოვედი. მივდივარ და უეცრად შევამჩნიე, რომ ვღიღინებ, როგორც პატარა ბიჭი.



მას შემდეგ, სამსახურიდან დაბრუნებისას, ყოველდღე შევდიოდი „ნახევარფაბრიკატებში“ ყავის დასალევად. გავიცანი გამყიდველი ქალიშვილი. ყავის სმის დროს ვლაპარაკობდით სხვადასხვა ამბებზე. ფინჯანი ყავა არაჩვეულებრივი რამ არის... შესაძლოა მისი სმა ნახევარი საათის განმავლობაში. და ეს სრულიად მისაღებია. ათი წუთის განმავლობაში შეგიძლიათ ურიოთ კოვზით ფინჯანში და ეს არავის არ მოეჩვენება უცნაურ ამბად. ურევთ, სვამთ და საუბრობთ. საუბრობთ, სვამთ და ურევთ. სვამთ ყავას, დგებით კარგ გუნებაზე. თუ საუბარი არ მოხერხდა ერთი ფინჯანის დალევისას, საშიში არაფერია, დალევთ მეორე ფინჯანს. ორი ფინჯანი — ეს უკვე საუბრისათვის უსასრულო დროა. ხანდისხან მე ასედაც ვიქცეოდი, თვის ბოლოსათვის კი ორ ფინჯანზე გადავედი. ტონიასთან გამომშვიდობებისას, გულის საამო ძგერას ვგრძნობდი. არა, რეკლამა არ ტყუოდა!

მეორე თვის შემდეგ „ნახევარფაბრიკატებში“ შინაური კაცი ვიყავი, როგორც კი გადავაბიჯებდი კარის ზღურბლს, მოლარე იმწამსვე ორი ფინჯანი ყავის ქვითარს წერდა.

მაგრამ ერთხელ ველარ გავიგონე სალაროს ჩვეულებრივი ხმაური. ტონიას სახის გამომეტყველებით მივხვდი, რომ საშინელება მომხდარიყო. ასეც იყო — ყავის საფქვავი გასტეხოდათ. გამოვემშვიდობე მათ და ძალზე უგუნებოდ გამოვედი ქუჩაში.

სამი დღის შემდეგ ჩემთვის საბოლოოდ ნათელი გახდა, რომ ყავის გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო. დავიწყე მაღაზიებში სიარული. ბედმა გამიღიმა. პოლონურ ყავის საფქვავი ვიშოვე. მაღაზიაში ვიყიდე „არაბიკოს“ მარცვლები. საღამოს მოვადუღე ყავა. ყველაფერი იყო: სურნელებაც, გემოც. მაგრამ არ იყო მთავარი, არ იყო განწყობილება. სამი ფინჯანი ყავის დალევის შემდეგაც ცუდ ხასიათზე ვიყავ. ღამე სულ არ მძინებია. გული მტკიოდა.

გავიდა ერთი კვირა. ვისწავლე ყავის მოდუღება თურქული, ვარშავული და ვენური წესით. საოცარ შენარევებს ვაკეთებდი „არაბიკოს“, „სანტოსის“ და „ხარარის“ მარცვლებისაგან. მარილსაც ვუმატებდი ნარევში. მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. კარგი განწყობილება მაინც არ დამბრუნებია. ყველაფერზე ხელი ჩავიქნიე და ყავის საფქვავი საკუჭნაოში მივაგდე შესანახად.

თარგმანი ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲐᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ

# მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის კონგრესი



ნიკო ნიკოლაძე.

მომავალ კვირას, ბერნში შეიკრიბება „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის“ მეორე კონგრესი. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ამ კონგრესის ორატორთა მჭევრმეტყველებას არც საზღვარი ექნება და არც დასასრული. ხელახლა მოვისმენთ საძულველი დესპოტიზმის წინააღმდეგ შეძახილებს, მშვიდობისა და თავისუფლებისაკენ მოწოდებებს, მსჯელობებს ომებისა და მუდმივ არმიათა მავნებლობაზე, კამათს სინათლის სარგებლობაზე და, უკაცრავად პასუხია, ღრმააზროვან მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ არ ღირს თავდაყირა სიარული.

ყველაფერი ეს ვიცით, ო, დიდნო მხსნელნო ყველა შესაძლებელი სამშობლოისა! თქვენი მკითხველებისთვისაც თქვენზე ნაკლებ როდია ცნობილი, რომ ომი მავნებელია, სუფთა ჰაერი კი — სასარგებლო რამ. უკეთესი იქნებოდა გაგვარკვევდეთ თუ რის გაკეთებაა საჭირო, რომ ომები აუცილებელი აღარ იყოს, როგორ მოვიცილოთ თავიდან მუდმივი არმიები, რითი აღვადგინოთ წარმოება, რომელსაც განიარაღებისაგან გაკოტრება მოელის. მოგვეცით პრაქტიკული რჩევანი, საერთო ფრაზები კი თქვენზე და თქვენს მეგობრებზე უკეთესად ვიცით, ღმერთმანი! თქვენში დუღს მოქმედების წყურვილი, სურვილი—მოუტანოთ ხალხს სარგებლობა, იხსნათ იგი სიმძიმეთაგან, რომლებიც მას კისერზე აწევება; მაშ შესძელით გადადგათ ნაბიჯი მათი განხორციელებისათვის. თქვენგან მოელიან არა უაზრო შეძახილებს, არა კომპრომისებს, არამედ საზოგადოების დაშოშმინების საკითხის სერიოზულ, ღრმააზროვან და ყოველმხრივ პრაქტიკულ დამუშავებას. არ არსებობს ქვეყნად ამაზე უფრო მნიშვნელოვანი და სახელოვანი ამოცანა. მაშ ეცადეთ, რაც რამ წმინდა გაქვთ, იმის გულისათვის, მოაახლოვოთ ოდნავ მაინც მისი გადაწყვეტა, და ერიდეთ როგორც შავ ჭირს, არაფრის მთქმელს, არაფრისშემძლე საერთო ფორმულებსა და ფრაზებს. ჭკვიანი ხალხის თვალში ეს ფორმულები და ფრაზები არაფერს არ მოგიტანთ, სახელის გატეხის მეტს. მასებზე გავლენას კი, მატერიალურსა და მორალურ ძალას მიაღწევთ მხოლოდ მაშინ, როცა შეძლებთ მოამზადოთ და საზოგადოებას შესთავაზოთ საყოველთაო დაშოშმინების სრულ დეტალებამდე, წვრილმანებამდე ყოველმხრივ მოფიქრებული პროექტი.

და როცა გამოიმუშავებთ ამ პროექტს, ნუ მოელოდებით მის დაუყოვნებლივ გამარჯვებას: თვალი ადევნეთ ცხოვრებას და ისარგებლეთ თქვენს მოწინააღმდეგეთა შეცდომებითა და უსუსურობით, რომ წვეთწვეთად, სიტყვის სიტყვაზე მიყოლებით დაარწმუნოთ საზოგადოება თქვენი პროექტის გამოყენების სარგებლიანობასა და აუცილებლობაში. ძნელია ეს სამუშაო, მაგრამ თუ თქვენ შეძლებთ მის განხორციელებას, კაცობრიობა დაგაყენებთ თავის უდიდეს კეთილისმყოფელთა რიგებში. შეიგნეთ ეს და ნუ ჰკარგავთ დროს იმის მოლოდინში, რომ ტაშს დაგიკრავენ: ეს წუთიერი მოწონება ბოლივით გაიფანტება და მეორე დღეს მისგან აღარაფერი შეგრჩებათ.

თუმცა რა საჭიროა ეს შეგონებანი? განა ვინმე მიაქცევს ყურადღებას ჩვენს სიტყვებს? განა გაიგებენ მას „თავისუფლებისა და მშვიდობის“ ლიგის მუდმივი კომიტეტის წევრები? და ვინა ვართ ჩვენ, რომ თავს ნება დავრთოთ ასეთი სიტყვის წარმოსათქმელად? ვინ გვცნო ჩვენ, ვინ აღგვჭურვა რწმუნებებით საამისოდ? და რისთვისღა გვინდა ეს გულწრფელობა, როცა, არაფერს, მხრების აჩეჩვის მეტს იგი არ გამოიწვევს და ვერც შეძლებს გამოწვევას? განა უმჯობესი არ იქნებოდა შევჩერებულიყავით და ნახევარ გზაზე შეგვეწყვიტა გულწრფელობის მოზღვავება?

ამას მოსდევს ავტორის შენიშვნა, სადაც იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ წერილები განიარაღების შესახებ მას ეკუთვნის:

„სოვრემენნოსტის“ № 1 ჩვენ წარმოგიდგინეთ ნარკვევი განიარაღების შესახებ. ვთხოვთ მკითხველებს, რომლებსაც ეს ნომერი შეუნახავთ, გადაათვალიერონ „ევროპის ცხოვრების“ პირველი სტატიის შინაარსი; მაშინ ისინი შეძლებენ კონგრესის კამათიდან სრულიად სხვაგვარი შთაბეჭდილების გამოტანას და შესაძლებელია, გაამართლონ კიდეც „სოვრემენნოსტში“ ამ წერილის მოთავსება, რომელიც უამისოდ სრულიად უსარგებლოა.

## შ ე ნ ი შ ვ ნ ა

„მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის კონგრესი“ რომ ნიკო ნიკოლაძის კალამს ეკუთვნის, აქამდე ცნობილი არ იყო. თავის დროზე ეს წერილი დაბეჭდილი იყო ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ უკანასკნელ მეშვიდე ნომერში, „ევროპის ცხოვრების“ განყოფილებაში.

„სოვრემენნოსტი“ 1868 წლის აპრილ-სექტემბერში იბეჭდებოდა ჟენევაში, მისი რედაქტორები იყვნენ ნ. ნიკოლაძე და ლ. მეჩნიკოვი.

წერილი „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის კონგრესი“ არსებითად წარმოადგენს გაგრძელებას განიარაღების შესახებ ნიკოლაძის ფართოდ ცნობილი სამი ნარკვევისას, რომლებიც ამავე ჟურნალის პირველ სამ ნომერში დაიბეჭდა.

უკანასკნელად ეს სამი ნარკვევი, „ევროპის ცხოვრების“ სახელწოდებით, გადაიბეჭდა პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით გამოცემულ ნიკო ნიკოლაძის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომში. ქრონოლოგიის მიხედვით „მშვიდობისა და თავისუფლების ლიგის კონგრესი“ უნდა შეტანილიყო ამავე ტომში.

ნიკო ნიკოლაძის პატარა წერილი განიარაღების შესახებ, ხსენებულ სამ ნარკვევთან ერთად (მათს საფუძველზე დაიწერა ავტორის ცნობილი სადისერტაციო ნაშრომი „განიარაღება და მისი სოციალ-ეკონომიური შედეგები“) მეტად ღირსშესანიშნავ მოვლენას წარმოადგენს ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში. ნ. ნიკოლაძის ეს წერილები დღესაც აქტუალურად ჟღერს და კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის — ეს იყო და არის მარადიული სწრაფვა ადამიანისა; სახელოვანი მწერალი შორიდან, წარსულიდან ეხმაურება და ხელს უწვდის საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მტკიცედ და ფხიზლად დგანან მსოფლიო მშვიდობის სადარაჯოზე.

გივი კაპანაძე

# [illegible] ნევის სანაპიროზე

ЛЕНИНГРАДСКИЙ УНИВЕРСИТЕТ В ВОСПОМИНАНИЯХ СОВРЕМЕННИКОВ

პეტერბურგის უნივერსიტეტმა რუსეთის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულა. ამ უნივერსიტეტში მიიღეს განათლება იმ ადამიანებმა, ვინც შემდგომში მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხის განთავისუფლების საქმეს შესწირეს.

1883 წელს სტუდენტმა დ. ბლაგოევმა აქ ჩამოაყალიბა ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი, რომელიც აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ და სტუდენტებში ავრცელებდა მოწინავე რევოლუციურ იდეებს.

პეტერბურგის უნივერსიტეტში 1891 წელს ვ. ი. ლენინმა ექსტერნად წარმატებით ჩააბარა გამოცდა იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს თარიღი პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიის ყველაზე სასახელო თარიღია.

განუზომლად დიდი ამაგი დასდო უნივერსიტეტმა რუსულ ლიტერატურას, რომელსაც მან აღუზარდა მხატვრული და პუბლიცისტური სიტყვის ბრწყინვალე ოსტატები. ამას გარდა, 60-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე და სხვები.

ლენინგრადის უნივერსიტეტმა თავისი არსებობის ასორმოცდაათი წლისთავის აღსანიშნავად გამოსცა საიუბილეო კრებული, რომ[...]ის პირველ ტომში მოთავსებულია მრავალი საინტერესო მოგონება; ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მშფოთვარე და დაუვიწყარი წლები, როცა ახალგაზრდობას მძაფრი იერიში მიჰქონდა ძველი სამყაროს წინააღმდეგ. კრებულის პირველ ტომში, სხვა მასალებთან ერთად, მოთავსებულია გამოჩენილი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ნიკო ნიკოლაძის საინტერესო „მოგონება სამოციან წლებზე“. ამას გარდა, კრებულში მოთავსებულია ფოტოსურათები — ილია ჭავჭავაძე ქართველ და პოლონელ სტუდენტებთან, დაპატიმრებული რუსი და ქართველი სტუდენტები კრონშტადტის ციხეში.

პეტერბურგის, შემდგომში ლენინგრადის უნივერსიტეტი — ეს იყო და არის დიადი შუქურა, საიდანაც კულტურისა და განათლების სხივი ეფინება მთელს ჩვენს სამშობლოს; ამიტომ ამ წიგნს მკითხველი ღრმა ინტერესით წაიკითხავს.

სიმონ ჩიქოვანი

# უკანასკნელი შეხვედრა და [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ მაიაკოვსკი, თბილისიდან მისი მეორე გამგზავრების შემდეგ, კარგა ხანს აღარსად შემხვედრია. მისი ფეხის ხმა მიწყდა და დროგამოშვებით შორიდან მესმოდა „მარცხენა მარშის“ ავტორის ლექსების წკრიალი. ოცდაშვიდი წლის ზაფხულში ოცი დღე მოსკოვში გავატარე: მეგონა მაიაკოვსკის სადმე წავაწყდებოდი ან მოვინახულებდი... მაგრამ იგი პარიზში წასული აღმოჩნდა და ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. მოგვიანებით, იმავე წლის შვიდ დეკემბერს, თბილისის ქუჩებში ისევე მოულოდნელად შევამჩნიე მისი ჩამოსვლის მაუწყებელი აფიშები. ამჯერად პოეტის მოხსენებას ეწოდებოდა: „გვსურს შნოიანი ცხოვრება“. მოხსენებასთან ერთად იგი კითხულობდა ოქტომბრის რევოლუციის ათი წლის თავისადმი მიძღვნილ პოემას: „კარგია“. როგორც ცნობილია, ასეთივე სათაურით, დიდი ხნით ადრე, ევროპაში მოხსენებას აკეთებდა ცნობილი ინგლისელი პოეტი და პროზაიკოსი ოსკარ უაილდი. ვლადიმერ მაიაკოვსკი „სალომეას“ ავტორის ლექციის სათაურს პოლემიკურად იმეორებდა, იგი ებრძოდა ყოფაცხოვრებაში ზედმეტი ფუფუნებით გატაცებას და სინამდვილის გარდაქმნის საბჭოურ პროგრამას ქადაგებდა. პოემა „კარგიას“ ნაწყვეტები მე უკვე წაკითხული მქონდა და ძლიერ მინდოდა მომესმინა მისი ავტორისეული კითხვა.

რვა დეკემბერს, დაახლოებით დღის პირველ საათზე, მთაწმინდიდან რუსთაველის პროსპექტზე ჩამოვედი. ქუჩაში გავიგე მაიაკოვსკის ჩამოსვლის ამბავი და შევიტყე, რომ იგი ძველებურად ისევ მე დამეძებდა. რატომღაც ოპერის თეატრისაკენ გავწიე და პოეტს თვალი მოვკარი თითქმის ადრინდელი შეხვედრის ადგილას. შორიდან ხელი ავწიე და მისკენ გავეშურე. შემნიშნა, მანაც ხელი აღმართა და შემეგება. საზამთრო პალტო ეცვა, უფრო ახოვანი და წარმოსადეგი მომეჩვენა.

— გასუქებული ჩანხართ-მეთქი, — ვუთხარი მისალმების შემდეგ.

— მოხუცებულობა მიახლოვდება, შევბერდი,—მიპასუხა მაიაკოვსკიმ,—სიჭაბუკე ხელიდან მეცლება. მოხუცისათვის კი პოეტობა მძიმე ტვირთია, ლექსის წერას სიჭაბუკე სჭირდება. აქ თქვენთან ბევრი რამ გამოცვლილა — წელს უანგო თბილისის ნაცვლად პარიზში ცხოვრობს, ნიკოლოზ შენგელაია ცნობილი კინორეჟისორი გამხდარა, პოეზიას ცოტანი შევრჩით. თბილისიც გამოცვლილა — ძლიერ დამშვენებულა, მაღაზიებიც სავსეა საქონლით.

მერე დასძინა: — მუშტაიდის ბაღთან ჩემი ნათესავები ცხოვრობენ, შინ დამავალეს უსათუოდ მოვინახულო, ამიტომ ახლა დიდუბისკენ მივდივარ, თუ გცალია მცირე მანძილზე გამაცილეო.

ვერის ხიდამდე ჩავაცილე. გზაში მაიაკოვსკიმ მითხრა: — თურმე ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის გარშემო დიდი მითქმა-მოთქმაა თბილისში, მართალია? მოვნახოთ ისინი და ხვალ ერთად ვისადილოთ. მერე მკითხა, როგორ ფიქრობ, საღამოზე ხალხი იქნებაო? — „უამრავი ხალხი იქნება-მეთქი“. მშვიდად გაიცინა — „შენი წინასწარმეტყველება არ მართლდებაო“ და წავიდა.

მეორე დღეს ნატო ვაჩნაძე, ვლადიმერ მაიაკოვსკი, ნიკოლოზ შენგელაია, აკაკი ბელიაშვილი და მე, როგორც წელიწადნახევრის წინათ, ჩავედით ავეტიკას სარდაფში ე. წ. „ოლიმპიაში“. ავეტიკას გაეხარდა ძველი მეგობრების სტუმრობა, დაფაცურდა, დახლის პირდაპირ, ცალკე ოთახში შეგვიყვანა და გაწყობილ სუფრასთან დაგვსხა. მოიტანა ნახერხი და იატაკზე დაყარა — ფეხებზე არ შეგცივდეთო. ამ ოთახში მეორე მაგიდაც იდგა და მის გარშემო რამდენიმე მამაკაცი იჯდა, ჩუმად სადილობდნენ. ეტყობოდა, მათ ვერც ნატო ვაჩნაძე და ვერც ვლადიმერ მაიაკოვსკი ვერ შეიცნეს. თამადად ჩვენს სუფრაზე ნატო ავირჩიეთ, წარმოითქვა სადღეგრძელოები, ავეტიკა ჩვენს სუფრას ფარვანასავით დასტრიალებდა. მეზობელი სუფრის წევრები მალე შეზარხოშდნენ, ავეტიკას ყურადღება ჩვენდამი შეშურდათ, თუ ნატოსთან თავის გამოჩენა უნდოდათ, დაიწყეს ჩვენი გაკილვა, სამასხროდ აგდება. ნიკოლოზ შენგელაიას გული მოუვიდა, მიუბრუნდა მათ და უთხრა: „სათითაოდ გაგტყეპავთო“, მაგრამ შევაჩერეთ. მაიაკოვსკის ხასიათში ბევრი ბავშვური უშუალობა იყო, ის აჰყვა მეზობლების შემოტევას, თითქო ასპარეზი იშოვა, მიიღო გამოწვევა და სხარტული პასუხებით პირდაპირ მოსხიპა ისინი. მეზობლებმა ერთხანს გაუწიეს წინააღმდეგობა, მაგრამ როცა გაიგეს ჩვენი ვინაობა, იარაღი დაყარეს, ბოდიში მოიხადეს და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ. თავისუფლად ამოვისუნთქეთ, ჩვენს სუფრას ინტიმი მოემატა. სადღეგრძელოები ლექსების კითხვამ შეცვალა.

პოეზიაზე საუბარი გაგრძელდა. მაიაკოვსკიმ განაცხადა: პოემა „კარგია“ ჩემთვის ახალი საფეხურია, იგი დიდად განსხვავდება ადრინდელი პოემებიდან, იგი თითქო ერთი სულის მოთქმით დავწერე, რამდენიმე თვეში, აქ ლექსის ფორმა ძალზე დახვეწილი და ზუსტიაო. მერე პოემიდან რამდენიმე ნაწყვეტი წაიკითხა. თამადამ განმეორებით შესვა მისი დაუბერებელი ტალანტის სადღეგრძელო. სტუმარს მოეწონა ნატოს თამადობა, თქვა: „ნატო ვაჩნაძე მხოლოდ ლამაზი მსახიობი ქალი მეგონა, ის კი დიდად სამეგობრო პიროვნება ყოფილა, პოეზიაც შესანიშნავად სცოდნიაო“.

მაიაკოვსკის საღამო რვა საათზე იყო დანიშნული რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში, იგი ღელავდა, გვაჩქარებდა, წავიდეთო.

მაგრამ ნატომ განაცხადა, ერთი სადღეგრძელო დამრჩა უთქმელიო, ერთი ჭიქა კიდევ და მერე წავიდეთო... და თამადამ წამოიწყო ახალგაზრდობის სადღეგრძელო: ეს ჩვენ სიჭაბუკეს გაუმარჯოსო, იმ სიჭაბუკეს, რომელსაც სულის სიჭაბუკე ეწოდებაო. ახალგაზრდული ხალისი დიდხანს უნდა შევინახოთ, სიბერე გულს არ მივაკაროთო.

განაგრძო და განაგრძო. ყველანი გატაცებით ვუსმენდით ნატოს მჭევრმეტყველებას. როცა მან სადღეგრძელო დაასრულა, მაიაკოვსკიმ უთხრა:

— შესანიშნავი იყო თქვენი სიტყვა ძვირფასო ნატო, მაგრამ პოეტმა ეს აზრი უფრო მოკლედ გამოსთქვაო, მერე წაიკითხა „კარგიას“ დასასრული:

Жизнь прекрасна
и удивительна.
Лет до ста
расти
Нам без старости.
Год от года
расти
Нашей бодрости.
Славьте
молот и стих,
Землю молодости.

— ეს სტრიქონები უნდა წაგეკითხათ და ყველაფერი ნათელი იქნებოდაო.

მერმე ჩემსკენ მობრუნდა და მითხრა: „ლექსი იმისთვის იწერება, რომ აზრი მოკლედ და მკაფიოდ გამოითქვას და დროის ეკონომიაც დაცული იქნესო“. მე ვუპასუხე, რუსთაველიც ასეთი შეხედულებისაა ლექსზე-მეთქი... ავიშალეთ სუფრიდან, ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია შინ წავიდნენ, „ტანსაცმელს გამოვიცვლითო და პირდაპირ საღამოზე მოვალთო“. ჩვენ კი თეატრისაკენ გამოვწიეთ.

ავედით საკონცერტო დარბაზში და ვიხილეთ მოზღვავებული ხალხი. დარბაზი გაჭედილი დაგვხვდა. საკონცერტო დარბაზს მაშინ არც კულისები და არც ფოიე ჰქონდა და ხალხი თითქმის ორჯერ მეტი ეტეოდა, ვიდრე ახლა. ჩვენი სტუმარი კარგ გუნებაზე დადგა. მაშინვე სცენისაკენ გაეშურა. მე დარბაზში შევედი, ლევან ასათიანს ჩემთვის შეენახა ადგილი და მასთან დავჯექი. ხალხი ხმაურობდა და ახალი ლექსების სტრიქონები დარბაზში იფანტებოდა. ამ ხმაურში და ღელვაში ღია სცენაზე მაიაკოვსკი შემოვიდა, ტაშმა იგრიალა და მალე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. სცენაზე შემართულმა პოეტმა ასე დაიწყო:

— ამდენი ხალხის მოსვლა ჩემს საღამოზე — პოეზიის გამარჯვებაა. მე ვარ ხელოვნების ამ უძველესი დარგის—სიტყვის ხელოვნების მსახური და გამავრცელებელი. პოეზია უძველესი ხელოვნებაა, მაგრამ იგი თითქოს დაკნინდა და მოყვარულები შემოაკლდა... ჩემი მიზანია პოეზიას თავისი ადრინდელი ღირსება აღვუდგინო და სიტყვის ხელოვნების მეშვეობით ახალი ცხოვრება ვადიდო. ხუთი წუთის წინ ცნობა მივიღეთ, რომ გარდაიცვალა ცნობილი რუსი პოეტი და პროზაიკოსი ფედორ სოლოგუბი. დოსტოევსკის შესანიშნავი რომანების შემდეგ მისი „წვრილფეხა ეშმაკი“ მართლაც თვალსაჩინო ქმნილება იყო. მაგრამ ეს დიდი მწერალი მეტად მიამიტი კაცი გახლდათ და მას რევოლუცია ერთი ასპარეზობა, ერთი დღის ხელჩართული შეტაკება ეგონა. რევოლუცია ხანგრძლივი, ხელჩართული ბრძოლაც არის და ყოფაცხოვრებითი კულტურის თავისებური გარდაქმნაც, რევოლუცია ახლაც გრძელდება, სინამდვილის გარდაქმნა, მისი ახლებურად აშენება არის გადაუდებელი ამოცანა, ცხოვრება ჯერ უნდა გარდავქმნათ და მერმე უნდა ავამღეროთ იგი.

და ასე განაგრძო პოეტმა თავისი სიტყვა. იგი თვითეულ მოსაზრებას თავისივე სტრიქონებით ასაბუთებდა. მე გაკვირვებული ვისმენდი პოეტის გამოსვლაში გამოთქმულ მოსაზრებას მწერლობაზე და ცხოვრების რაობაზე.

ჩემთვის მოულოდნელი იყო დოსტოევსკის შემოქმედების მაღალი შეფასება, რომელიც მის სიტყვაში გამოვლინდა. ასევე გამაოცა ფედორ სოლოგუბის ზემოხსენებული რომანით მისმა აღტაცებამ. არ ვიცოდი თუ დოსტოევსკი მისი საყვარელი პროზაიკოსი იყო; თითქმის ოცდაათი წლის შემდეგ, მისი ახალგაზრდობის ერთი მეგობარი მიმტკიცებდა ვლადიმერ მაიაკოვსკის ადრინდელ შემოქმედებაზე დოსტოევსკის რომანებმა დიდი გავლენა მოახდინესო. მაგრამ 1927 წელს ამ საკითხში გარკვევა არ შემეძლო, პოეტის სულში არც ნიკოლოზ სტავროგინის და არც დიმიტრი კარამაზოვის ხასიათის ანარეკლი მე არ შემიმჩნევია. იგი უფრო სიჭაბუკის მოტრფიალე, ცხოვრების გარდაქმნის და სამშობლოს გაზაფხულის მომღერალი იყო.

პოემაში „კარგია“ თანდათან შემუშავდა და ამოიზარდა ახალი სამშობლოს წარმოსახვის სურვილი. სიტყვა მამული ხორცშესხმული არსება შეიქმნა, იგი დაიბადა შრომაში და ბრძოლაში და მან საკუთარი იერი და ახალი თვისებები გამოავლინა. მიწა, რომელთანაც ერთად ავტორი შიმშილობდა, მიწა, რომელზეც ახლა შრომას ეწეოდა, და რომლის დავიწყება არ შეიძლება, თურმე ნამდვილი მამული ყოფილა. იგი შეემჭვალა პოეტის პიროვნულ ცხოვრებას და აგრე ჩამოყალიბდა მამულის დაუვიწყარი სახე:

И я,
как весну человечества,
Рожденную
в трудах и бою
Пою мое отечество,
Республику мою!

როდესაც იგი სცენაზე იდგა, ხმალამოწვდილს ჰგავდა, წინდახედული და ფრთხილი უნდა ყოფილიყო მოკამათე, რომ თავი არ წაეგო მასთან ბრძოლაში. ამ საღამოს იგი კარგ გუნებაზე იყო. შესანიშნავად წაიკითხა „კარგიას“ ნაწყვეტები, მერმე „მარცხენა მარშიც“ დასჭექა და Товарищ маузер-ის ნაცვლად ქართულად წამოიძახა „ამხანაგო მაუზერ“. ამან მთელი დარბაზის აღტაცება გამოიწვია.

დაგვიანებით შემოვიდნენ ნატო ვაჩნაძე და ნიკოლოზ შენგელაია; როგორც ვთქვი, დარბაზში ტევა არ იყო, ადგილი ვერსად იპოვეს და სცენისკენ გაემართნენ. ვლადიმერ მაიაკოვსკიმ შესწყვიტა სიტყვა და მათ დაუწყო ცქერა. მერმე გაიღიმა და მიმართა:

— სად მოდიხართ... ჩემგან ჯვარის წერას ხომ არ ელითო! — მთელმა დარბაზმა გაიცინა. მაიაკოვსკის სიტყვებმა მაინც თავისი საქმე გააკეთა. ნიკოლოზ შენგელაიას და ნატო ვაჩნაძის შეუღლება საჯაროდ იქნა გამოცხადებული.

# გურამ თიკანაძე



ჩვენს რიგებს უდროოდ გამოაკლდა გურამ თიკანაძე, მხატვრული ფოტოს ნიჭიერი ოსტატი, ჩვენი ჟურნალის საუკეთესო მუშაკი, შესანიშნავი ადამიანი და გულისხმიერი ამხანაგი. ტრაგიკულმა შემთხვევამ ხელიდან გამოგვაცალა ჭაბუკობით სავსე, კეთილშობილური მისწრაფებებით გამსჭვალული ახალგაზრდა მეგობარი, რომელიც ნათელი თვალებით შესცქეროდა ცხოვრებასაც და ადამიანებსაც.

გურამს იცნობდა ყველა. მისი ხელოვნებით მოხიბლული იყვნენ როგორც საბჭოთა, ისე უცხოური ჟურნალების მკითხველები, მას პატივს სცემდნენ და უყვარდათ არა მარტო ორიგინალური ნიჭისათვის, არამედ მისი ჭაბუკურად დაუცხრომელი, კეთილი გულისა და ვაჟკაცური პირდაპირობისათვის.

რედაქციაში იგი მუდამ პირმცინარი შემოდიოდა, შემოდიოდა მაღალი, ახოვანი, ძალითა და ენერგიით აღსავსე, და თან უჩვეულო სიცოცხლე და ხალისი შემოჰქონდა. აქ მას ყოველთვის მოუთმენლად ელოდნენ, მოუთმენლად ელოდნენ მისი ტყავის საქაღალდის გახსნას, რომლითაც, ჩვეულებრივ, თავისი ნამუშევრები მიჰქონდა; და როცა ამ ნამუშევრების მიმართ ამხანაგები აღტაცებას გამოთქვამდნენ, მას მხოლოდ ცისფერ თვალებში ჩამდგარ ღიმილზე შეეტყობოდა ხოლმე სიხარული.

გურამმა მხოლოდ ოცდაათი წელი იცოცხლა და ამ ხნის მანძილზე უკვე შეძლო თვალსაჩინო ადგილი დაეჭირა ქართველ ფოტოხელოვანთა შორის. იგი იყო ქართული მხატვრული ფოტოს ერთ-ერთი ფუძემდებელი. მას კარგად იცნობდნენ უცხოეთშიც. მისი ფოტოები ხშირად იბეჭდებოდა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების ილუსტრირებულ ჟურნალებში. მისმა ნამუშევრებმა პრემიები დაიმსახურა ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას" და მსოფლიო ახალგაზრდობის ჟურნალ „მოლოდიოჟ მირას" კონკურსებში. მისი ფოტოები წარდგენილი იყო ბრიუსელის საერთაშორისო გამოფენაზე. სულ ცოტა ხნის წინათ კი იტალიის ქალაქ მოდენაში გამართულ დიდ საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც მონაწილეობას იღებდა 45 ქვეყნის 1.200-ზე მეტი ოსტატი, გურამს ბრინჯაოს მედალი მიანიჭეს.

მისი, როგორც ხელოვანის, შემოქმედებითი თემატიკა მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო. იგი უმღეროდა სიცოცხლესა და სილამაზეს, უმღეროდა საბჭოთა ადამიანის ძალასა და სულიერ სიდიადეს. მისი ფოტოები გამსჭვალული იყო მშობლიური ხალხისა და ქვეყნის უსაზღვრო სიყვარულით, გამსჭვალული იყო იმ სინათლით, სისპეტაკითა და სიჯანსაღით, რაც ასე ახასიათებდა მის ბუნებას.

გურამ თიკანაძე სპეციალობით გეოლოგი იყო. მისი უშუალო მონაწილეობით აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა საქართველოს მრავალი გამოქვაბული და ღრმული. მაგრამ მას უფრო მეტად მთები იტაცებდა. ალპინიზმი მისთვის სპორტის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სახე იყო. ჯერ კიდევ 1957 წელს პამირის ალპიურ ექსპედიციაში მონაწილეობისათვის მას მიღებული ჰქონდა საქართველოსა და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოების დიპლომები, იგი უშუალო მონაწილე იყო აგრეთვე უშბას, შხარასა და კავკასიონის სხვა მწვერვალების დაპყრობისა. მთები და მყინვარები მისი სტიქია იყო და აკი მათ შეიწირეს კიდეც მისი სიცოცხლე.

ძნელია შეურიგდე იმ ფიქრს, რომ ეს შესანიშნავი ახალგაზრდა ოსტატი აღარ არის ჩვენს შორის.

ვლადიმერ მაიაკოვსკი თავის საღამოებზე უამრავ წერილობით შეკითხვებს ღებულობდა, იგი ხმამაღლა კითხულობდა ამ შეკითხვებს და ძლიერ გონებამახვილური პასუხებით კენწლავდა საოცარი შეკითხვების ავტორებს. შეიძლება, რამდენიმე პასუხი ადრე თქმულის განმეორებას წარმოადგენდა, მაგრამ შეკითხვების ერთგვარობა აიძულებდა პოეტს ასეთი შეცოდება ჩაედინა. ჩემი მეგობარი ლევან ასათიანი წერილობით შეეკითხა: დიდ რუსულ მწერლობაში თავს როგორ გრძნობთო, მაიაკოვსკიმ საჯაროდ წაიკითხა ეს შეკითხვა და დამშვიდებული კილოთი უპასუხა: თავს კარგად ვგრძნობ, სრულიად არ მევიწროებაო. დარბაზმა გულიანად გაიცინა. ვიღაც შეეკითხა, როგორ ცხოვრობსო ლილი ბრიკი. გმადლობთო,—უპასუხა,—ჯანმრთელადაა, არ ავადმყოფობსო. თქვენ ხლებნიკოვის მოწაფე ხართ? — ჰკითხეს. რა არის ცუდი იმაში, რომ კარგი მასწავლებელი გყავდესო და ასე შემდეგ... საოცარი წარმატება ჰქონდა. ტაშით ინგრეოდა იქაურობა.

როცა საღამო დასრულდა, ხალხი დაიშალა, ქუჩაში ერთად გამოვედით ვლადიმერ მაიაკოვსკი, აკაკი ბელიაშვილი და მე. უცებ ჩვენი სტუმარი შეჩერდა და შეგვეკითხა:

— მაინც კარგად არ ვიცი, ეს ყველაფერი ხალხისათვის საჭიროა თუ არაო.

ჩემს ყურს არ დავუჯერე, მეგონა დამახინჯებულად მომესმა მისი ნათქვამი. შევეკითხე, ვერ გავიგე რა თქვით-მეთქი. გამიმეორა: „ხალხს სჭირია თუ არა ჩემი ნამუშევრები, მინდა ისე ვიმუშაო, როგორც მკითხველს სჭირდებაო". მაშინ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ როცა სიმწიფეში შევედი, მივხვდი, რომ დაეჭვება ყველა ჭეშმარიტი და დიდი ტალანტის განუყრელი თვისებაა, თვითკმაყოფილება მხოლოდ უგუნურთა ხვედრია. შთაგონებული ეჭვი მასაც ეწვეოდა ზოგჯერ და ასეთ წუთებში გული ეთანაღრებოდა. მაშინ კი მომაგონდა მისი სტრიქონები და ვუთხარი: **«Это было с бойцами или страной или в сердце было в моем».**

ამ სიტყვების ავტორს დაეჭვება არ უხდება-მეთქი. შევატყე ესიამოვნა, გაიღიმა და მითხრა, უნდა ვიმუშაოთ, ხალხი მეგობრობას და სიმღერას ელის ჩვენგან. სწორედ ასეთი განწყობილების ჟამს დავშორდით ერთმანეთს.

ორი დღის შემდეგ ავად გავხდი და ერთი კვირა სიცხიანი ვიწექი. თავადაც შეუძლოდ გამხდარიყო და მოულოდნელად დაეტოვებინა თბილისი.



# თამარ აბაკელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ აბაკელიამ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა უმნიშვნელოვანესი ადგილი საბჭოთა საქართველოს მოწინავე ხელოვანთა შორის. მას ჰქონდა თავისებური მხატვრული ხედვა და მანერა, რომელიც გამოირჩეოდა ქართული ხელოვნების ხალხური ნაკადისათვის დამახასიათებელი დეკორატიულობითა და ესთეტიკური სილამაზით. სწორედ ამიტომ მისი შემოქმედება მუდამ შეინარჩუნებს სიახლის სურნელებას.

თამარ აბაკელიას მრავალფეროვანი მხატვრული მემკვიდრეობა ააშკარავებს ხელოვანი ქალის მეტად რთულსა და წინააღმდეგობებით სავსე ბუნებას — მებრძოლსა და მეოცნებეს, ნებისყოფიანსა და ლირიკულს, და სწორედ ამიტომ, მეტად საინტერესოსა და ღრმად ადამიანურს.

შრომისმოყვარე და ჭარბი ემოციების მხატვარი, იგი გატაცებითა და კანონზომიერი თანამიმდევრობით მიმართავდა გრაფიკულ-ფერწერულ დაზგურ ფურცლებსა და ილუსტრაციებს, თეატრალურ- დეკორატიულ ესკიზებსა და ქანდაკებებს — კამერულს, მრავალფიგურიანსა და მონუმენტურსაც.

თამარ აბაკელიას მხატვრულ ნამუშევართა ხალისიანი, პლასტიკური ხაზი თუ რიტმით სავსე კომპოზიცია, მსუყე, ინტენსიური ფერი თუ კეთილშობილი კოლორიტი, მაყურებელს მუდამ სიხარულს ანიჭებს და ოპტიმისტურად განაწყობს.

მხატვრისათვის მთავარი გმირი ყოველთვის ადამიანია, ადამიანი—ბუნებისა და გარემოს დამმორჩილებელი, მისი გარდამქმნელი და დამამშვენებელი. ამიტომაც, ხელოვანი პეიზაჟს თავისთავად, ადამიანისაგან დამოუკიდებლად ნაკლებად აღიქვამს. პეიზაჟი მისთვის მხოლოდ დამხმარე ფონია, ნაწარმოების განწყობის ხაზგამსმელი; უკვე ადრეული ნამუშევრები — „ჩაის კრეფა" (1929 წ.), „ბროწეულის კრეფა" (1930 წ.), „ნარინჯის კრეფა" (1932 წ.), „შემოდგომა იმერეთში" (1937 წ.) ააშკარავებენ თამარ აბაკელიას ცხოველ ინტერესს სოციალიზმის მშენებელი უბრალო ადამიანისადმი.

დაზგურ გრაფიკაში, თამარ აბაკელია, უმთავრესად თანამედროვე თემატიკას მიმართავს; აქ საილუსტრაციოდ უნდა დავასახელოთ მისი „ბედნიერი ოჯახი" (1936 წ.), „პირველი ტრაქტორი" (1940 წ.), „სასიხარულო ამბები ფრონტიდან" (1943 წ.), „შემოდგომა" (1943 წ.), „სიმღერა გმირზე" (1945 წ.), „რთველი" (1946 წ.).

თამარ აბაკელიას ნამუშევართა შორის ყურადღებას იპყრობენ „ვეფხისტყაოსნის", „დავითიანის", ვაჟა-ფშაველას პოემების, ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობების, ნიკოლოზ ტიხონოვის ლექსების წიგნის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკრისა" და სომხური ხალხური ეპოსის „დავით სასუნცის" ილუსტრაციები, თვითეულისათვის შესატყვისი და დამახასიათებელი.

თამარ აბაკელიას ჰეროიკული პათოსით აღსავსე შინაგანი მხატვრული სამყარო მკაფიოდ შეესიტყვება ვაჟა-ფშაველას ეპიკურ და, ამავე დროს, ლირიზმით სავსე ფართო ტილოებს. ამიტომ, დღესაც კი, როდესაც უკვე არა ერთმა მხატვარმა შეიტანა გარკვეული წვლილი ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებთა დასურათებაში, თამარ აბაკელიას ილუსტრაციებს უპირველესი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ, როგორც ვაჟას სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველებს.

თუ გადავხედავთ თამარ აბაკელიას ცალკეულ გრაფიკულ ფურცლებსა და ესკიზებს კინოფილმებისათვის („არსენა" — 1935, „გიორგი სააკაძე" — 1941, „დავით გურამიშვილი" — 1946) და თეატრალური დადგმებისათვის („ორჯონიკიძის ხმალი" — 1942, „ირმის ხევი" — 1944, „ხევისბერი გოჩა" — 1945 და სხვ.), გარკვევით დავინახავთ, თუ რარიგ იტაცებს მხატვარს გმირული ეპოსი, რა კარგად იცნობს იგი თავის ხალხს, მის წარსულსა და აწმყოს, მის გულისცემას, რა ნათლადა აქვს წარმოდგენილი ქართველი ხალხის წიაღში დაბადებულ გმირთა კეთილშობილი, რომანტიკული და მკვეთრი ნაციონალური სახეები და რარიგ ღრმად სწვდება მხატვარი ნაწარმოების დედააზრს.

თუმცა ქანდაკებებში თამარ აბაკელიას არ დასცალდა თავისი საბოლოო სიტყვის თქმა, იგი ქართველი საბჭოთა მოქანდაკეების პირველ ათეულს მიეკუთვნება და მის გარეშე ქართული საბჭოთა ქანდაკების ისტორიისა და განვითარების დასრულებული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია.

თამარ აბაკელიას ქანდაკებები, ზოგ შემთხვევაში მათი შედარებით მცირე ზომის მიუხედავადაც კი („დაჭრილი მეომარი" — 1942, „შურს ვიძიებთ" — 1944, „კოლმეურნის ოჯახი" — 1949), არ ატარებენ კამერულ ხასიათს და მონუმენტურობით გამოირჩევიან. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ქანდაკება „კავკასიის დაცვა" (1944 წ.), რომელიც, თუმცა ჯერ კიდევ არ არის ძეგლად განხორციელებული, პირველ ქართულ მონუმენტურ-სიმბოლურ ქანდაკებათა რიცხვს მიეკუთვნება, როგორც თემატიკური, ისე კომპოზიციური თუ სივრცობრივი გადაწყვეტის მხრივ.

მხატვარმა ამ ნაწარმოებით გვერდი აუქცია მარტივ თხრობით კილოს და თამამად, ერთი შემართებით შესძლო რთული თემის დაძლევა, ერთფიგურიანი, მეტყველი კომპოზიციის საშუალებით. ამიტომაც იოლად წარმოსადგენი ხდება მაღლობზე გადმომდგარი, ამირანივით კლდესთან შერკინებული, განზოგადებული და, ამავე დროს, მეტად ტიპიური ფიგურა ახალგაზრდა ვაჟკაცისა, წინ მტკიცედ გადადგმული ფართო ნაბიჯით და მაღლა აწვდილი მარჯვენით; ის, როგორც შემოსეულ მტერზე გამარჯვების სიმბოლო, მონუმენტურ სილუეტადაა ჩაწერილი კავკასიონის ლალი ცის ფონზე.

მონუმენტურ სილუეტსა ჰქმნის ლესია უკრაინკას ძეგლი სურამში, რომელიც ჯერ კიდევ 1952 წელს აღიმართა, როგორც უკრაინელი და ქართველი ხალხების ურყევი და მარადიული მეგობრობის საწინდარი.

დიდი ამაგი დასდო თამარ აბაკელიამ ქართული საბჭოთა რელიეფური ქანდაკების განვითარების საქმეს. შენობის ფასადებს საქართველოში ძველთაგან ამკობდნენ რელიეფური ქანდაკებებით. თამარ აბაკელიას, იაკობ ნიკოლაძის მხარდამხარ, წილად ხვდა ეს საუკუნეობრივი ტრადიცია საბჭოთა პერიოდში აღეორძინებინა.

თამარ აბაკელია ათი წლის წინ გარდაიცვალა. მისი ქმნილებანი კი მუდამ იცოცხლებენ და ჩვენ, მისი ხელოვნების დღევანდელ შემფასებელთ, ჭეშმარიტ სიხარულს გვანიჭებს და სიამაყეს გვგვრის ამ შესანიშნავი შემოქმედის სახელის ხსენება.

გულნარა ჯაფარიძე





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ესკიზი კინოფილმისათვის „გიორგი სააკაძე"

რთველი.

ოჩისე.



# თამარ აბაკელია

შემოდგომა. ფრაგმენტი.





ნაზილიკი მწვერვალზე, ვინ იცის, მეშვიდე თუ მეცხრე საუკუნისა — გულდინჯად ხვდება მეოცე საუკუნის საოცრებებს.

— მობრძანდით, ვახშმადაც დაგვეწვიეთ.





ეს პატარა მეცხვარე საუკეთესო მოწაფეც არის

— სად უნდა წახვიდე, რომ ფოტორეპორტიორს დაემალო, — ქის თავზეც მოგნახავს!

ნახეთ რა ყველია. ყველი კი არა, სიმღერაა!



# ლაჟვარდები ახლო

აქ მანქანა ვერ გაივლის...



ფოტო-მოთხრობა
ე. კესოევისა

გადაღებულია მთა-თუშეთში, ალვანის საბჭოთა მეურნეობის საძოვრებზე.



ისინი მთაში მიდიან.







— გაიმარჯვა როსტომ აბაშიძემ

ფოტო თ. არჩვაძისა

# წუთები საჭიდაო ხალიჩაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ამბავი 1957 წლის 2 აგვისტოს მოხდა.

მოსკოვში მსოფლიოს მესამე სპორტული თამაშები მიმდინარეობდა. დილით, ჭიდაობის მთავარ მსაჯს აცნობეს, რომ საბჭოთა კავშირის გუნდის წევრი როსტომ აბაშიძე მოულოდნელად ავად გახდა და დღევანდელ შეხვედრაში მონაწილეობას ველარ მიიღებს. ჭიდაობის დაწყების წინ აბაშიძის მწვრთნელმა არკადი ლენცმა ახალი სამწუხარო ამბავი მოიტანა: „როსტომი ძალიან ცუდად არის, სიცხემ ოცდაცხრამეტ გრადუსამდე აუწია!“

სპორტის ყოველ სახეობას თავისი წესი და ტრადიცია აქვს: საჭიდაო ხალიჩაზე მარტოდმარტო გამოვიდა ნახევარმძიმე წონის რუმინელი მოჭიდავე პოპოვიჩი. მოწინააღმდეგის გამოუცხადებლობის გამო ის-ის იყო გამარჯვება უნდა მიეკუთვნებინათ მისთვის, რომ დარბაზში მოულოდნელად როსტომი შემოვიდა.

ხალხმა ჩოჩქოლი დაიწყო. ვიდრე გაოგნებული მწვრთნელი და შეჯიბრების ექიმი რაიმეს მოფიქრებას მოასწრებდნენ, ყველაფერი უკვე დამთავრებული იყო.

„სუფთა გამარჯვება. დრო — 30 წამი“, — ასე ჩაიწერა საერთაშორისო შეჯიბრების ოქმში როსტომ აბაშიძის სენსაციური გამარჯვება.

დარბაზში ისევ გრიალებდა ტაში, როცა ძალაგამოლეული როსტომი მეგობრებმა სასწრაფო დახმარების მანქანაში ჩასვეს და მახლობელ საავადმყოფოში გააქანეს.

მეორე საღამოს, იმავე დარბაზში, გამარჯვებულ სპორტსმენებს საზეიმოდ გადაეცათ ჯილდოები. საპატიო კვარცხლბეკზე პირველი შედგა ბულგარელი მოჭიდავე ბიბალოვი, რომელმაც ასპარეზობაში მეორე ადგილი აიღო. კვარცხლბეკის მესამე საფეხური რუმინელმა პოპოვიჩმა დაიკავა, შეჯიბრების ჩემპიონის პირველი ადგილი კი თავისუფალი იყო.

მართალია, როსტომ აბაშიძე ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ამ საზეიმო ცერემონიალს, მაგრამ ჩემპიონის პატივსაცემად დარბაზში აგუგუნდა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

საღამოს, შეჯიბრების მსაჯმა და ახლობელმა მეგობრებმა საავადმყოფოში მოინახულეს როსტომი.

გახარებულმა მწვრთნელმა თვითნებობისა და ურჩობისათვის ჯერ ცალყბად გალანძღა როსტომი, მერე მხურვალედ ჩაეხვია მკერდში ოცდასამი წლის გოლიათს და მიულოცა პირველი ოქროს მედლის მოპოვება...

ეს წელი როსტომ აბაშიძის სპორტულ ბიოგრაფიაში ბრწყინვალე გამარჯვებათა დასაწყისის წელი იყო. რამდენიმე თვის შემდეგ ის ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი გახდა.

1958 წელი... როსტომი ბუდაპეშტშია, სადაც მსოფლიო პირველობის ბედი წყდებოდა. ქვემძიმე წონის საბჭოთა მოჭიდავემ როსტომ აბაშიძემ უკვე შეძლო მაყურებელთა სიმპათიის დამსახურება. მის ყოველ ილეთს, ყოველ გამარჯვებას დარბაზში მყოფნი მქუხარე ტაშით ხვდებოდნენ.

ფინალურ ბრძოლაში როსტომ აბაშიძეს მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდავესთან უნგრელ გურიჩთან მოუხდა შერკინება. მაყურებელთა სიმპათიები, რა თქმა უნდა, ახლა უკვე გურიჩის მხარეზე იყო, რომელსაც თანამემამულენი გამაყრუებელი ყიჟინით ამხნევებდნენ.

მაგრამ საბჭოთა ფალავანი გულს არ იტეხდა.

ხუთწუთიანი ბრძოლის შემდეგ, როდესაც მსაჯებმა წუთნახევრიანი შესვენების ნიშანი მისცეს, გურიჩთან მიიჭრა აღელვებული მწვრთნელი და ბავშვივით ყელისაწევით სთხოვდა როგორმე მოეკრიბა ძალ-ღონე, როგორმე ყაიმით მაინც დაემთავრებინა ბრძოლა ამ „პიტალო ლოდივით გაუტეხელ ვაჟკაცთან“.

ყველაფერი ამაო იყო. გურიჩმა ვერ გაუძლო საბჭოთა ფალავანის სისწრაფესა და ტექნიკას, მის ძალასა და გამძლეობას.

ტოლედოში გამართული მსოფლიოს საუკეთესო ფალავანთა შეჯიბრება თავიდან უიღბლოდ წარიმართა აბაშიძისათვის. ორი გამარჯვების შემდეგ როსტომმა „თარსი კენჭი“ ამოიღო და ერთ დღეში ზედიზედ ოთხი ჭიდაობის ჩატარება მოუხდა.

თითქმის ყველა, ვინც კი გაიგო როსტომის „უიღბლობა“, მის ბედს უკვე გადაწყვეტილად თვლიდა. „აბაშიძე ველარ გაუძლებს ასეთ ზეადამიანურ დატვირთვას, იგი აღარ იქნება მსოფლიოს ჩემპიონი!“ — გაიძახოდნენ უცხოელი კორესპონდენტები და მწვრთნელები; მაგრამ ასე როდი ფიქრობდა სახელოვანი ფალავანი.

შვედი იანსონის დამარცხების შემდეგ როსტომმა რუმინელი მარტინესკუ ერთ წუთსა და თხუთმეტ წამში გააკრა ბეჭებზე. ოცი წუთის შემდეგ მსაჯებმა როსტომი კვლავ საჭიდაო ხალიჩაზე გაიწვიეს. საბჭოთა ფალავანმა ცნობილი თურქი მოჭიდავე ათლი მეექვსე წუთზე ორივე ბეჭით დასცა ძირს. დასვენება ვერც კი მოასწრო როსტომმა, რომ მსაჯებმა იგი კვლავ საჭიდაო ხალიჩაზე გაიხმეს.

უკანასკნელი ბრძოლა მართლაც „ზეადამიანური“ იყო როსტომისათვის. მხოლოდ საუკეთესო მომზადების, ბრწყინვალე ტექნიკისა და გასაოცარი გამძლეობის მეოხებით შეძლო მან მეორეჯერ გამხდარიყო მსოფლიოს ჩემპიონი.

მომდევნო 1963 წელს როსტომ აბაშიძე საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის წევრებთან ერთად შვეციის ქალაქ ჰელსინგბორეში იბრძვის კლასიკური სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო პირველობაზე.

უზარმაზარი დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. შეჯიბრებაზე დასასწრებად თითქმის მსოფლიოს ყოველი კუთხიდან ჩამოსულან გულშემატკივრები, მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციის წევრები, რადიოს, ჟურნალ-გაზეთების კორესპონდენტები და ფოტორეპორტიორები...

ნახევარმძიმე წონაში, რომელშიც როსტომ აბაშიძე გამოდის, მსოფლიოს ოცზე მეტი უძლიერესი მოჭიდავე ეცილება ერთმანეთს ოქროს მედალს.

ამ შერკინებაში როსტომმა სამი შეხვედრა მოიგო, ორი ფრედ დაამთავრა და ფინალურ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

მსოფლიო ჩემპიონობის ბედი აბაშიძისა და რუმინელი მოჭიდავის მარტინესკუს შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. ქართველი ფალავნის მდგომარეობა მეტად რთული იყო: მას უკვე ხუთი საჯარიმო ქულა ჰქონდა მიღებული, რუმინელ მოჭიდავეს — მხოლოდ სამი. როსტომისათვის აუცილებელი იყო გამარჯვება, მარტინესკუს კი ჩემპიონობისათვის შეხვედრის ფრედ დამთავრებაც ჰყოფნიდა.

ის იყო მსაჯებმა მოჭიდავეები სასასპარეზოდ გაიხმეს, რომ საჭიდაო ხალიჩისაკენ მიმავალი როსტომი საბჭოთა კავშირის ნაკრების მწვრთნელმა ვიაჩესლავ კოქარსკიმ შეაჩერა.

— როსტომ, თბილისიდან რეკავენ, გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მუშაკები ახალ წარმატებას გისურვებენ... მითხარით, რა გადავცე თბილისს?

— გადაეცით, რომ ათიოდე წუთის შემდეგ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ვიქნები!

არა, ეს არ იყო ჰაერზე ნათქვამი სიტყვები. როსტომს ღრმად სწამდა თავისი ძალა, იმედი ჰქონდა თავისი შესაძლებლობის და გადამწყვეტ ბრძოლაში გამარჯვების მტკიცე რწმენით მიეშურებოდა.

რუმინელი მოჭიდავე პირველი წუთებიდანვე აშკარად გაურბოდა ბრძოლის გამწვავებას. მალ-მალე ხალიჩიდან გაქცევით შველოდა თავს. გააფთრებული როსტომი კი მთელი ძალით, მთელი შესაძლებლობით იბრძოდა და ზოგჯერ რისკზე წასვლასაც არ ერიდებოდა.

მეორე წუთზე როსტომი შეეცადა ხელზე ტრიალი გაეკეთებინა მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ ფანდი არ გამოუვიდა და მარტინესკუმ იგი ილეთზე დაიჭირა. რუმინელმა მოჭიდავემ კონტრილეთით ორი ქულის მოპოვება შეძლო.

რამდენიმე წამის შემდეგ როსტომმა მეტოქეს ოსტატური მოგვერდი გაუკეთა. ანგარიში გახდა 2:2; მაგრამ იმავე წამს მარტინესკუმ შეძლო საჭირო ქულა წაერთმია როსტომისათვის. ანგარიშია 3:2 რუმინელი მოჭიდავის სასარგებლოდ.

უპირატესობის მოპოვების შემდეგ მარტინესკუ კვლავ ბრძოლის მშვიდობიან გზას დაადგა. იგი ყოველგვარი შესაძლებლობით ცდილობდა შეენარჩუნებინა ანგარიში: ახლოს არ უშვებდა როსტომს, მალ-მალე გარბოდა ხალიჩიდან, უშედეგო ძიძგილაობით ცდილობდა რწმენა და ძალა გამოელია მისთვის.

შეჯიბრების დამთავრებას მხოლოდ ორიოდე წუთიღა აკლდა. თითქმის ყველაფერი უკვე დაკარგული იყო, მაგრამ სწორედ აქ იჩინა თავი სახელოვანი ფალავნის მთელმა ოსტატობამ.

როსტომ აბაშიძე უცბად გასაოცარი სისწრაფით ეძგერა მოწინააღმდეგეს და ჩოქბჯენში გადაიყვანა. როსტომის დახვეწილ და მოქნილ ფანდს ზედიზედ ახალი და ახალი ფანდი მოსდევდა... გაოგნებული მარტინესკუ იძულებული გახდა უკანასკნელი იმედისათვის მიემართა და... ხალიჩიდან გაქცევას შეეცადა. როსტომმა ფეხი გადაუგდო მოწინააღმდეგეს, უკანიდან, მთელი ტანით აიქნია, გადააგდო და ხიდურზე დაიჭირა...

ჭიდაობის გამოცდილი სპეციალისტები ერთხმად აღიარებდნენ, რომ მარტო ეს ბრწყინვალე ილეთი ღირდა იმათ, რომ როსტომ აბაშიძისათვის მსოფლიო ჩემპიონის საპატიო ტიტული მიენიჭებინათ.

მსოფლიო ჭიდაობის ფედერაციამ აშშ-ში გამართული მსოფლიო შეჯიბრების დროს ერთხმად აღნიშნა, რომ ქვემძიმე წონით კატეგორიაში როსტომ აბაშიძისთანა სპორტსმენი კარგა ხანია არ ჰყოლია მსოფლიოს, რომ მისი სახელი ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს კლასიკური ჭიდაობის ისტორიაში...

როსტომ აბაშიძეს დღემდე 200-ზე მეტი შეხვედრა აქვს ჩატარებული. მან 60-მდე საერთაშორისო შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ერთხელაც არ დამარცხებულა.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონი როსტომ აბაშიძე შვიდი ოქროს, სამი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლის მფლობელია.

კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის საბჭოთა კავშირში მხოლოდ ორი სპორტსმენია, რომლებმაც სამჯერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება; ესენი არიან — გივი კარტოზია და როსტომ აბაშიძე.

ინჟინერი როსტომ აბაშიძე ახლა ასპირანტურაში შესასვლელად ემზადება, მაგრამ ერთი წუთითაც არ ივიწყებს ჭიდაობას.

ყოველდღიურად იგი ჩვეული მონდომებითა და გატაცებით ვარჯიშობს, უფრო სრულყოფს ჭიდაობის ტექნიკას.

მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი ჯერ არავინ ყოფილა! ათასობით გულშემატკივრები არნახული წარმატების მოპოვებას უსურვებენ სახელოვან ფალავანს — ჩვენს როსტომ აბაშიძეს.

ტ. ჯანიაშვილი



გამარჯვებული როსტომი თავჩაღუნული მიდის, დამარცხებული იაპონელი კი, რატომღაც, გახარებულია.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ღამის თორმეტი საათია. თბილისის ზოოლოგიური პარკი სიჩუმეს მოუცავს. ფრინველები და ცხოველები ღრმა ძილს მისცემიან.

ამ სიჩუმეში ზოოპარკის მორიგემ რაღაც ხმაური გაიგონა და ოთახიდან გამოვიდა. იმ მხრიდან, საითკენაც მას სპილოს ვოლიერი ეგულებოდა, მტვრევისა და ლაწალუწის ხმა მოისმა. მორიგე დაუყოვნებლივ იქით გაეშურა, იქვე უეცრად გაჩნდნენ გუშაგი მილიციელები, რომლებსაც შემოვლა დაემთავრებინათ.

ვინ იცის რა წამოელანდა, რამ გააბრაზა ინდური სპილო, რომელსაც აქ მალკას ეძახიან. აბორგებული მალკა გააფთრებით ამტვრევდა საზაფხულო ვოლიერის რკინის მოაჯირს. ზოოპარკის მორიგე და მილიციელები საალერსო სიტყვებს გასძახოდნენ, ამშვიდებდნენ მძვინვარე სპილოს, მაგრამ ყველაფერი ამაო იყო. მალკამ ის იყო მოათავა მოაჯირის მტვრევა და გარეთ უნდა გამოვარდნილიყო, რომ თითქოს ბედზე, ზოოპარკის ავტომანქანა გამოჩნდა, რაიონიდან დაბრუნებულიყო და სპილოს ვოლიერისაკენ ანთებული ფარებით მოდიოდა. მანქანის თვალისმომჭრელმა შუქმა და საყვირის მჭახე ხმამ შეაშინა მალკა, მან უკან დაიხია, ვოლიერში მიიმალა და თითქოს დაწყნარდა კიდეც.

მაგრამ მორიგემ იფიქრა, სიფრთხილეს თავი არა სტკივაო და, ყოველ შემთხვევისათვის, მანქანა გატეხილი მოაჯირის წინ დააყენა. ახლა ყველა ფხიზლად უთვალთვალებდა სპილოს. ათიოდე წუთის შემდეგ ის კვლავ აბორგდა და გამოექანა მოაჯირისაკენ. სწრაფად ჩართეს მოტორი, აანთეს ფარები, მილიციელებმა გამაყრუებელი სტვენა ატეხეს, მორიგემ ყვირილი დაიწყო, შოფერმა სიგნალი მისცა. ერთი სიტყვით, ნამდვილი განგაში ატყდა.

# ზოოპარკის მოუსვენარი მობინადრენი

და აი, სპილოს ნერვებმა ველარ გაუძლეს ამ „ფსიქიურ იერიშს“. დამფრთხალი გიგანტი კვლავ ვოლიერის სიღრმეში დაბრუნდა და გაინაბა.

იმ ღამეს ადამიანებს თვალი არ მოუხუჭავთ; კიდევ ბევრჯერ სცადა სპილომ გარეთ გამოსვლა, მაგრამ ყოველთვის აიძულეს უკან შებრუნებულიყო.

ამასობაში კიდეც გათენდა. მზის სინათლე რომ დაინახა, სპილო დამშვიდდა. დილით ხელოსანი მიიყვანეს და მოაჯირი ავტოგენური დანადგარით მკვრივად შეადუღეს.

* * *

გათენებას ზოოპარკში უჩვეულო გამოცოცხლება მოსდევს, ისმის ბატების, იხვების, ფარშავანგების, ყარყატების, ციცრების, წეროების ჭყივილ-ხივილი, მაგრამ ყველა ფრთოსანი როდი ილვიძებს დილით; ზოგი ახლა ემზადება საძილედ. აი, ჭოტი... როგორც კი ირიჟრაჟა, მაშინვე მიეგდო გალიის კუთხეში და ღრმა ძილს მიეცა. „უი, მომკვდარა საწყალი“, ხშირად გაიგონებთ ზოოპარკის იმ სტუმრებისაგან, რომელთაც არ იციან, რომ ჭოტი სწორედ ასე, მთვრალი კაცივით მიეგდება ხოლმე დასაძინებლად.

დილის ცხრა საათზე სამორიგეო ოთახში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. მორიგემ მილს დასტაცა ხელი. „ზოოპარკია?“ — ჩაესმა მას ბრაზიანი ხმა.

— დიახ.

— სამკურნალო კომბინატის მორიგი ექიმი გელაპარაკებით. რომელიღაც თქვენი ცხოველი შემოიჭრა საავადმყოფოში, ახლავე მოგვაშორეთ ეს მხეცი...

ზოოპარკის თანამშრომლები დაუყოვნებლივ გაეშურნენ საავადმყოფოსაკენ. აფორიაქებული დაუხვდათ იქაურობა. თურმე ამიერკავკასიური მაჩვი, რომელსაც თოფიხალთას ეძახიან, საავადმყოფოში შესულიყო, მეორე სართულამდე მიეღწია და იქ, ერთ პალატაში, თეთრად გაქათქათებულ ლოგინზე ისე არხეინად წამოწოლილიყო, თითქოს მისი წინაპარიც ასეთ საწოლში გარდაიცვალაო. ზოოპარკის თანამშრომლებმა ბევრი სდიეს მაჩვს, ბოლოს, როგორც იყო, ერთმა მათგანმა ტომარა გადააფარა თავზე და ასე დატყვევებული, დიდი ამბით წამოიყვანეს პარკში.

ალბათ, იკითხავთ, როგორ მოახერხა თოფიხალთამ გამოპარვა?

გალიაში, სადაც ის ზის იატაკი მოასფალტებულია. ერთ ადგილზე ასფალტი ავარდნილიყო და სწორედ ეს ადგილი შეემჩნია მაჩვს. რამდენიმე დღე ემუშავა ხვრელის გასაკეთებლად. იგი მეტად მოხერხებულად მუშაობდა და, წარმოიდგინეთ, იმდენი ეშმაკობა გამოიჩინა, რომ როცა ადამიანები მიუახლოვდებოდნენ — განზე გადგებოდა და უწყინარ სახეს მიიღებდა. ყოველდღე ალაგებდნენ გალიას, მაგრამ ის საიდუმლო ხვრელი ისე შენიღბული ჰქონდა, ვერ შეამჩნიეს. როდესაც მაჩვმა დაამთავრა ხვრელის გათხრა, მდინარე ვერის სანაპიროზე გავიდა, ადვილად გადასცურა იგი და პირდაპირ სამკურნალო კომბინატისაკენ გასწია, თითქოს საგზური ხელში უჭირავსო.

* * *

უცებ კვლავ აურ-ზაური იწყება ზოოპარკში: ღრიალებენ ლომები, მათ ბანს აძლევენ ვეფხვები, გაისმის ტურების კივილი, მგლების ღმუილი...

რა მოხდა? თურმე ხორცით დატვირთული ფორანი ახლოვდება და ცხოველებმა სუნი აიღეს.

კვება რამდენიმე საათს გრძელდება, თუმცა ზოგიერთი ცხოველი მეტად სწრაფად ჭამს. ასე, მაგალითად, აფთარი ექვს კილოგრამ ხორცს ძვლებიანად 1-2 წუთში გადასანსლავს ხოლმე. როგორც წესი, ცხოველთა კვებას ესწრებიან პარკის ზოოტექნიკოსები და ვეტექიმები. თუ ცხოველი არ სჭამს, მაშასადამე, ცუდად არის და საჭიროა ვეტექიმმა გასინჯოს.

ცხოველთა მკურნალობა გარკვეულ სიფრთხილეს მოითხოვს. რაც არ უნდა მოშინაურებული იყოს მხეცი, იგი მაინც დაუნდობელია, როცა ტკივილი აწუხებს. განსაკუთრებით საძნელო საქმეა მათთვის მედიკამენტების მიცემა, რადგან წამალს ზოგჯერ მწარე გემო და არასასიამოვნო სუნი აქვს. ამიტომ არის, რომ ექიმები ეშმაკობას მიმართავენ: მტაცებელ ცხოველებს ხორცის ნაჭერში ჩაუდებენ ტაბლეტს ან ფხვნილს, მაიმუნებისათვის კი წამალს მათ საყვარელ სასმელში შეურევენ ხოლმე.

ა. ივარდავა

## როგორ ერთობიან ისინი

ნიუ-იორკის სასტუმრო „დელმონიკოს“ პატრონმა ჯოზეფ ტაკლოსმა გადაწყვიტა ერთი ახალი სასტუმრო კიდევ აეგო. ამ ამბის აღსანიშნავად მან გამართა დიდი წვეულება, რომელზეც მთელი ქალაქის არისტოკრატია მოიწვია. მაგრამ „დელმონიკოს“ პატრონმა, ბანკეტის დროს, კინაღამ თავისი ძველი სასტუმროც დაკარგა.

ნიუ-იორკის მაღალი საზოგადოების სამასმა წარმომადგენელმა, მას შემდეგ, რაც საკმაოდ მაგრად გამოთვრნენ, განიზრახეს მოეწყოთ მეტად ორიგინალური არისტოკრატული შეჯიბრება: ვინ შეძლებს ყველაზე უფრო ექსტრავაგანტური, ყველაზე უფრო უცნაური რამ ჩაიდინოს!

მსახიობმა ქალმა ანიტა ლუუზმა ხელი მიჰყო ლანგარების სროლას. ქალბატონმა პერკორტ არმორიმ, რომელსაც ეკუთვნის ქალის ყველაზე მოდური ტანსაცმელის ატელიე, ასკინკილათი გაიარა ათმეტრიან მოაჯირზე. ქალბატონი ჯეკობ ჯავოტსი ცდილობდა, რაც შეიძლება შორს ეტყორცნა ჭიქები. მისი მეუღლე სენატორი ჯავოტსი სასოებით ადევნებდა თვალს ცოლის მოქმედებას.

მაგრამ ყველას მაინც ჩან კაი-შის ცოლისდამ — ველინგტონ კუმ აჯობა. მან ხელი სტაცა ნაჯახს და მეინახეთა აღფრთოვანებული შეძახილებით გამხნევებულმა ნაფოტებად აქცია კედლები, სავარძლები, დივნები „საიმპერიო ოთახისა“, რომელშიც „ერთობოდნენ“ მაღალი წრის მოქეიფენი.

ასე ატარებს დროს ნიუ-იორკის არისტოკრატია.

* * *

ფულ-რივერის მონასტრის (აშშ) „წმინდა დებმა“ მორწმუნეთა მისაზიდად საკუთარი ჯაზი ჩამოაყალიბეს. წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ მონასტერში მასობრივი ცეკვები იმართება. განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობს ლირიკული როკ-ნროლი — „მოსემ გაგვიყვანა ჭეშმარიტების გზაზე“ და ბიბლიური ტანგო — „როცა ჩვენ სამოთხეში ვიყავით“.

სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ საქსაფონზე დამკვრელი წმ. დაი მერი და მებარაბანე წმ. დაი მარგარიტა თავისუფლად გაუწევენ კონკურენციას საუკეთესო პროფესიულ მუსიკოსებს და შესაძლოა უახლოეს ხანში მიწვევა მიიღონ ყველაზე პოპულარულ კაფეშანტანებში.

## კაშალოტი და სუნამო

ამბარი — სუნნელია. ზღვისაგან გამოიღებენ. რომელიმე ფუტკართა ფიტსა იტყვიან, სხვანი თევზთა შავასა და სხვანი სხვასა.

ს ა ბ ა

ვეშაპზე სანადირო გემის „სტოიკის“ მებარჯემ კაბალნიკოვმა, მიმდინარე წლის იანვარში, საოცარი სიმარჯვე გამოიჩინა: მან ორი გასროლით მოჰკლა ბებერი კაშალოტი, რომლის კუჭ-ნაწლავში აღმოჩნდა ას კილოგრამზე მეტი ამბარი. სწორედ ის ამბარი, რომელსაც სუნამოს დასამზადებლად ხმარობენ.

ჩვენს დროში თითქმის ყველაფერს აქვს შემცვლელი, სინთეზირებულია ბუნებრივი ამბარიც, მაგრამ ვეშაპისეული ჯერ კიდევ ძვირად ფასობს და მას „მცურავ ოქროს“ უწოდებენ. ვეშაპზე მონადირენი ხშირად ერთ კილოგრამ ამბარსაც ვერ იშოვნიან ხოლმე მთელი სეზონის განმავლობაში. ერთბაშად ასი კილოგრამი ხომ ძალზე იშვიათი შემთხვევაა. ამბარი წარმოიქმნება კაშალოტის კუჭ-ნაწლავის სისტემის იშვიათი დაავადების შედეგად. შეიძლება ასეულობით ვეშაპი მოჰკლან, მაგრამ ყველა ჯანმრთელი აღმოჩნდეს. ვის ეყოფა ხუთი სარეწაო თვის განმავლობაში ამბარის ძებნის მოთმინება, რომ ჯილდო არ იყოს დაწესებული! მებარჯეს ერთი კილოგრამი ამბარის მოპოვებისათვის ეძლევა 40 მანეთი პრემია.

ძველ დროში ამბარი მედიცინაშიც იხმარებოდა, როგორც კუჭის შემკვრელი და კრუნჩხვების საწინააღმდეგო საშუალება. ახლა კი მხოლოდ პარფიუმერიაში იყენებენ. სწორედ ამბარი აძლევს სუნამოს ნაზ და ადვილად აქროლვად არომატს, უფრო თანაბარ და მდგრად ხასიათს.

ამერიკელი მწერლის, პროფესიული ვეშაპთმონადირის გერმან მელვილის შესანიშნავ წიგნში „მობი დიკი, ანუ თეთრი ვეშაპი“ (რომელიც ახლახან გამოიცა მოსკოვში როკუელ კენტის ილუსტრაციებით), მთელი თავია სათაურით — „რუხი ამბარი“. ავტორი წერს, რომ გარდა სუნამოსი, ამბარს ხმარობენ პუდრისა და პომადის დასამზადებლად, ხოლო თურქები საჭმლის შესაკმაზადაც იყენებენ, ზოგიერთნი კი ამბარის ნამცეცებს წითელ ღვინოში ჰყრიან ბუკეტის გასაუმჯობესებლად. „და ვინ იფიქრებდა, რომ ყველა ეს თავმომწონე ლედები და ჯენტლმენები სარგებლობენ იმ ნივთიერებით, რომელსაც ნახულობენ ავადმყოფი ვეშაპის საზიზღარ სტომაქში!“ — წერს გ. მელვილი და, მართლაც, რა უცნაურია ხანდახან ბუნების კანონები!



მამია ასათიანი

მოთხრობა

# კაცის გული

მხატვარი თ. სამსონაძე

ჩვენს ძროხას შუბლი თეთრი ჰქონდა, გეგონებოდათ დედაჩემის ხელით გაქათქათებული თავსაფრის ნაფლეთი მიუკერებიათო. სარეცხის გამოყვანა კი დედაჩემივით ჩვენს ქუჩაზე არავინ იცოდა. მთელი ჩვენი უბნის ქალები ოხრავდნენ.

— დედა, დედა, რა ხელი აქვს ამ ქალს, რით ათეთრებს ამ სარეცხს ასეო.

მართლაც, დედა ეზოში, ბაწარზე რომ გაფენდა სარეცხს, გეგონებოდათ თოვლი მოვიდა და აქაურობა გადაათეთრაო.

ახლა დაუთოებას არ იკითხავთ? სამ დღეს შქერის ფოთოლივით უნაოჭოდ იდგა კისერზე პერანგის საყელო.

ჩვენს ძროხას კი შუბლი დაუთოებული კი არა, აბურძგნული ჰქონდა. რამდენი არ ვეცადე, რამდენჯერ დავუვარცხნე, მაინც არაფერი ეშველა. შუბლის შუა ადგილას ისე იყო დახვეული, თითქოს რიონის მბრუნავმა ტალღამ გადაუარაო. არ სწორდებოდა, ბოლოს ცხენის საურველი ვთხოვე ბიძაჩემს; ჯერ მინდოდა ჩუმად წამომეღო, მაგრამ იმას ვერაფერს მოპარავდი. თვალჭრელი კაცი იყო და მაშინვე შეამჩნევდა. უცნაური კაციაო, ართვალი,— ქვეყანა ასე ამბობდა.

ქვეყნის რა მოგახსენოთ და მე და მის შვილობილს კი ძალზე გვეშინოდა მისი. რაიმე მაკვარანცხს რომ გავიფიქრებდით, ის დალოცვილი წინასწარ გვეტყოდა:

— აბა, ბიჭუნებო, ფრთხილად. იცით რამსიგრძე შოლტი მაქვს თქვენი ზურგის ასაჭრელებლად?

მართალი რომ ვთქვათ, თავის დღეში ხელი არ დაუკარებია ჩვენთვის, მაგრამ რატომღაც შიში კი მაინც დიდი გვქონდა მისი.

ერთ საღამოს მე და მისმა შვილობილმა პირობა დავდეთ... ჰო, მართლა, მის შვილობილს გედო ერქვა (თვითონ ბიძაჩემი მას გედეონს ეძახდა), ლამაზი ბიჭი იყო, მაგრამ ქართველს არ ჰგავდა, საიდან ემგვანებოდა, არც იყო ქართველი. ომის დროს ჩვილი ყრმა ეპოვნა ბიძაჩემს რომელიღაც დამწვარ ქალაქში და თან წამოეყვანა.

წარმოგიდგენიათ ასეთი ამბავი! კაცი თვითონ მოხავლელი იყო, ჰოსპიტლიდან ჭრილობის მოშუშების შემდეგ სახლში გამოეშვათ. გზად ერთ ქალაქზე გამოევლო, რომელიც ფაშისტებს თურმე ისე დაებომბათ, სულ მოეფშვნიტათ. ეს ბავშვიც თურმე ნანგრევებს შუა ეგდო და ღნაოდა.

ადგა ეს ნაჭრილობევი კაცი და ათას კილომეტრზე ათრია ეს ბავშვი. თავის ლუკმას იმას აჭმევდა. მეზობლები ჩუმჩუმად ქირქილობდნენ, ხომ ვთქვი, ბიძაჩემს მისი ჭროლა თვალების გამო ნავსს ეძახოდნენ, ახლაც ასე ამბობდნენ:

— იმიტომ მოიყვანა ეს ბავშვი, რომ კარგი კაცობა უნდა დაიმტკიცოსო.

ასეთ სიტყვას ბიძიას აბა როგორ გააგონებდნენ. ისე კი, მართლა ჰინკასავით კაცი იყო.

იმას ვამბობდი, მე და გედიამ პირობა დავდევით ხვალისთვის ერთი მეზობლის ვენახში გადავპარულიყავით. ჩვენი ქალაქის გარეუბანში ბევრ მოსახლეს პატარა ვენახი ჰქონდა გაშენებული.

ყურძენი ახლად შემწიფებული იყო. აივანზე ვიყავით და ჩვენთვის ვჩურჩულებდით. საკვირველია, ბიძაჩემმა როგორ მოკრა ყური ჩვენს სიტყვებს.

მეორე დღეს ვითომ ძროხა წავიყვანეთ საბალახოდ. თან ბაღის მაკრატელი გვქონდა წაღებული. ძროხა იქვე მივაბით და ნელ-ნელა დავიწყეთ მაკრატლით მუშაობა. ვენახს ეკლის ღობე ერტყა და შუადღემდე კარგი გასაძრომი ხვრელი გავაკეთეთ.

შუადღისას ძროხას მივხედეთ, თუ სადმე ახლომახლო მაღალი და რძიანი ბალახი იყო, გამოვბდღვენით და წინ დავუყარეთ. ფერდები უსათუოდ ამოვსებული უნდა ჰქონებოდა, თორემ ბიძაჩემი გუმანს აიღებდა. და თუკი რამეზე ეჭვს მიიტანდა, მერე მშვიდობით... სადილობისას სახლში მოვედით. ჭიდან წყალი ამოვიღეთ. ძროხას ქვის როფში ჩავუსხით და ჩვენ კი სადილს მივუჯექით.

დედაჩემი აივანზე ფუსფუსებდა. უცებ ბიძაჩემის ხმა გავიგონეთ.

— რძალო, ძალიან კი მოუნდომებიათ მაგ ეშმაკებს დღეს ამ ძროხის დაპურება. ფერდები გახეთქვაზე აქვს.

ჩვენ გავისუსეთ, გედიას ფერი წაუვიდა. თუმცა, მას რომ ჰკითხო, მეც ბაიასავით გაყვითლებულვარ. მერე ბიძაჩემმა სახხლავი მიაჩეჩა დედაჩემს ხელში და თავის ალაგეს გადააბიჯა. იქვე ცხოვრობდა, ჩვენს გვერდით. შუაზე დაბალი ღობე იყო გადასასვლელი.

ჩვენ ფაცაფუცით გამოვცვივდით ეზოში.

— რამ გადაგრიათ, სად მიიჩქარით ასე! — მოგვაყვირა დედამ.

— ბურჩხა ბალახი დაგვრჩა შეკონილი და არავინ მოგვპაროს...

დედამ ხელი ჩაიქნია და თავი მიგვანება. ჭიშკარი რომ გავაღეთ, მაშინ მოგვესმა ბიძაჩემის ხმა.

— ბიჭებო, ბაღის მაკრატელი ხომ არ გინახავთ!

ორივეს მუხლი მოგვეკვეთა.

— ვერ გაიგონეთ, — ისევ გაისმა მისი ხმა. — მაკრატელი მივაგდე სადღაც და ვეღარ მივაგენი.

გედოს თვალით ვანიშნე, ვითომ არ გაგვიგონიამეთქი და მოვკურცხლეთ. ჩვენმა ძროხამაც ფეხი აგვაყოლა. ძლივივით გამოგვეკიდა.

სული მეზობლის ვენახთან მოვითქვით. საღამომდე სულ გამოვასუფთავეთ ხვრელი. ახლა თავისუფლად შეიძლებოდა გაძრომა.

მზე ჩადიოდა, როცა ფორთხვით გავედით ჩვენს გვირაბში და მავთულზე დაკიდებულ მტევნებს შევეჩეხეთ. უბეები კარგად რომ დავიზიზინეთ, ვენახის ბოლოდან ფეხის ხმა მოგვესმა.

მაშინვე ხვრელს მივაწყდით. გედიამ მიმასწრო და გაძვრა. მე ის იყო თავი შევყავი, რომ მეხივით გავარდა თოფი. თოფის ხმის გაგონებისთანავე შიშველ ფეხებზე ცხელ-ცხელი ნაკვერცხლები მეცა და მივხვდი, რომ საფანტი მომაყარეს. ერთი მოღიალებულ გულისპირზე მომხვდა და რატომღაც უბეში ჩაგორდა. როგორც იქნა, ეკლებიდან გამოვძვერი და გავიქეცი. მივრბივარ და მიკვირს. ვიცი დაჭრილი ვარ, მაგრამ არ ვეცემი. მხოლოდ შიშველ მუცელზე, პერანგის შიგნით ცხელი საფანტი მეხება და კანს მწვავს. ყველაზე ძალიან ის მაოცებს, რომ საფანტმა ხორცი ვერ გაჭრა და პერანგქვეშ ჩამიცვივდა.

გედიას ემარჯვნა და ძროხაც აეშვა. ისიც ოთხით მოგვდევდა ფეხდაფეხ.

სასაფლაოსთან შევჩერდი, მინდორზე წავიქეცი, გედიაც მოვარდა.

— დამჭრეს, — ამოვიკვნესე.

— ჰა, — გაშეშდა გედია.

— გულზე, მუცელზე და ფეხებზე ცეცხლი მედება.

მომვარდა, ჩამხედა და ხარხარი აუტყდა. წვრილი თეთრი ლობიოს მარცვლები, შავშავი, საფანტის ფერი ჭიპი რომ დაყვება, ჩემი პერანგის კალთაში ცივცივად ეყარა.

— აი საფანტიც ამას ჰქვია, — ჭყიპინებდა გედია.

მეც დავხედე. ყურებამდე გავწითლდი. ხედავთ, რა უსროლიათ ჩვენთვის?

ნაპარევი ყურძენი იქვე მივატოვეთ და გალახული ლეკვებივით წამოვედით სახლისკენ.

ჭიშკართან ბიძაჩემი იდგა. ხელში ბაღის მაკრატელი ეჭირა, სწორედ ის მაკრატელი, რომელიც ჩვენ ვენახში დაგვრჩა.

— აბა, ყაჩაღებო, სად იყო ეს მაკრატელი?

ბიძაჩემს შევატყე, მე უფრო მაკვირდებოდა. მერე მივხვდი, ალბათ შეშინებული იყო, თვალში ხომ არ მოვახვედრეო.

— ასეა ბიძიებო, თქვენ მე ვერაფერს გამომაპარებთ.

მერე გავიგეთ, მეზობელი და ბიძაჩემი ორივენი თურმე მთელი დღე გვითვალთვალებდნენ.

მეორეჯერ უარესი დაგვემართა. მე და გედიამ გადავწყვიტეთ ჩვენი მეზობლის შვილი მოგვეჩეჩქვა. ჩვენი ტოლი იყო. შესახედავად ლამაზი ბიჭი ჩანდა. ჩვენს ახლოს, მეორე სკოლაში სწავლობდა და ჩვენ კარგად ვიცოდით, რომ არასდროს მისი დედა მასწავლებელს არ დაუბარებია სკოლაში. ლამაზად აცმევდნენ. ჩვენ კი სულ დაკერებული ტანსაცმელი გვეცვა. დილით ერთ დროს მივდიოდით სკოლაში. სულ თავჩაღუნული გაგვივლი-



და გვერდით, თვალში ერთხელაც არ შემოუხედავს.

— ხედავ, როგორ იპრანჭება ეგ ლაწირაკი? — მითხრა გედიამ ერთხელ.

— მოდი და ერთი მივბეგოთ-მეთქი. — დაუფიქრებლად დავაყოლე მის ნათქვამს. გედიას გაუკვირდა ჩემი სიტყვა. იგი ჩაფიქრდა.

— იცი რა, მგონი ავად უნდა იყოს.

— ხომ არ გადაირიე! ავად კი არა, ის არ გინდა, ვერ ხედავ ბურვაკივით ბიჭია!

ასე იყო თუ ისე, მისი მიბეგვა გადაწყდა. ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, ბიძაჩემი დაგვადგა თავს.



რაღაც უცნაურად და დაჟინებით აგვათვალიერჩაგვათვალიერა, მაგრამ სიტყვა არ დაძრა, ისე გაგვშორდა.

წავიდა თუ არა ბიძაჩემი, ჩვენ ერთმანეთს შევაშტერდით.

— დავანებოთ თავი, სჯობია ნაციხვართან წავიდეთ საბანაოდ.

ეს გედიამ მითხრა და მეც გავჩუმდი. ორივე დავყაბულდით, რომ აღარ ვიჩხუბებდით, მაგრამ რაღაც ეშმაკად, ჭიშკარი გამოვაღე თუ არა, სწორედ ის ბიჭი დავინახე. ჩვენი სახლის წინ, ქუჩაზე, მოდიოდა იმ გოგოსთან ერთად, რომელიც მე და გედიას სკოლის ეზოში გვხვდებოდა ხოლმე. ხელიხელ გაყრილი მოდიოდნენ, თითქოს დიდი ვინმეები ბრძანდებოდნენ.

— ერთი ამათ დამიხედეთ! — გაიოცა გედიამ.

— ბიჭოს! — აღმომხდა მეც უნებლიეთ.

ორივემ გაიგონეს ჩვენი წამოძახილები, ოდნავ შეჩერდნენ, თითქოს გაგვილიმეს კიდეც, მერე ალბათ ჩვენს ბრიალა, მტრულ თვალებს, რომ წააწყდნენ, ჩქარი ნაბიჯით გაგვშორდნენ და წავიდნენ.

— აქეთ აღარ გამოივლით? — მივაძახე ქადილით. უცებ გედიამ სახელო ჩამომწია. მივიხედე. ბიძაჩემი მოჭუტული თვალებით გვიცქეროდა. ხმა არ ამოუღია, არაფერი უთქვამს.

მთელი დღე ვუდარაჯეთ. ასე, საათის ოთხი იქნებოდა, როცა ხელგაყრილებმა ჩვენ შესახვევში შემოალაჯეს.

ჩვენ წინ წავიწიეთ. გოგონამ რაღაც გადაულაპარაკა ბიჭს და ამან კიდევ უფრო გაგვაბრაზა.

— გამარჯობათ თქვენი, — წყნარად გვითხრა მეზობლის ბიჭმა.

გოგონა დაკვირვებით მოგვშტერებოდა.

— უყურე, როგორ დაგვცინის კიდეც. — ეს გედიამ ჩამჩურჩულა. და მეზობლის ბიჭს კი არა, როგორც დათქმული ვიყავით, რატომღაც გოგონას გამკრა მხარი.

გოგო აიმრიზა, გაწითლდა. ტუჩები აუკანკალდა.

— მე რა კარგი ბიჭები მეგონეთ, თქვენ კი ცუდები ყოფილხართ. — ეს გოგომ თქვა.

— რაო, უყურე შენ ამას, შენ თითონ არ იყავ, რომ სკოლაში ამრეზილად გადმოგვხედე, ეგებ არც კი გახსოვს.

— მე?! — გაოცდა გოგო, — მე თქვენი სახელებიც კი მომწონს, ისიც ვიცი, კარგადაც რომ სწავლობთ.

— დაანებე თავი, — შეუწყრა მეზობლის ბიჭი. — ესენი ამდენი ხანია ჩვენ ქუჩაზე არიან და ჯერ ხმაც არ გაუციათ ჩემთვის.

— რისთვის დამეტაკა, რას მერჩოდა!

— ფაცურა, გაჩერდი ახლა! — ისევ გააფრთხილა მეზობლის ბიჭმა.

ფაცურა რქმევია სახელად. ბიჭს რაღას ეძახიან ნეტავი?

— ზურიკო, იცი როგორ მეტკინა?! — თითქოს ჩემი ფიქრი გაიგოო, ისე შეეპაექრა გოგონა.

ისევ გედიამ მომქაჩა სახელოზე. გავიხედე და ელდა მეცა. ჭიშკართან ბიძაჩემი იდგა. შორს იყო, მაგრამ მაინც ვიგრძენი, რომ მოჭუტული ჭროღა თვალები უბრიალებდა. მალე ჩვენსკენ წამოვიდა.

— გამარჯობა ზურიკო, — მიესალმა ბიძია ბიჭს და გოგონას დააცქერდა: — ნუთუ შენ ფაცურია ხარ! — გაიკვირვა მან, — ჰოი, რამხელა გაზრდილა ჩემი გოგო! — მოდი შვილო, მოდი! — და ფაცურას გადაეხვია.

— იცით ვინ არიან, ესენი, თქვე ონავრებო! — მოგვმართა ბიძაჩემმა.

ხმას ვერცერთი ვერ ვიღებდით. მერე ადგილიდან მოვწყდით და ეზოში შევცვივდით.

სწორედ ამ დროს ბიძაჩემიც შემოვიდა, თან ზურიკო და ფაცურია შემოიყვანა და მოგვმართა:

— აბა, გაიცანით ერთიმეორე. მე და ამათი მამები ერთად წავედით ფრონტზე. ერთი წლის თავზე მძიმედ დავიჭერი და აი, ზურიკოს მამამ უგრძნობელი გამომიყვანა ცეცხლიდან. ორ კილომეტრზე მათრია, არ მიმატოვა. სამი თვის შემდეგ ისევ ერთად მოვხვდით. ფაცურას მამა ბრძოლაში დაგველუპა, მეორე დღეს კი ყუმბარამ მამაშენი დაფლითა, — ეს მე მომმართა ბიძაჩემმა, — ორივენი იქ დავასაფლავეთ. ახლა ამ გოგონას ზურიკოს მამა ეხმარება, მე კი, თქვენ თვითონ ხედავთ... ასე შევთქვით მე და ზურიკოს მამამ და ძალღონეს არ ვიშურებთ თქვენთვის. ზურიკო ცოტა ავად არის. მცირე ხანიც და სრულიად განიკურნება. თქვენ კი რას ჩადიხართ?

მეც და გედიასაც თავზარი დაგვეცა, თვალთ დაგვიბნელდა. ახლა ყველაფერს მივხვდით, მაგრამ ამის შემდეგ მოსვენება არ გინდოდა?! მთელ კვირას ძილი მქონდა დამფრთხალი. გედიაც გამომიტყდა, ღამით არ მეძინებაო. ორივე ისე დავდიოდით, თითქოს ბურანში არიან წასულიო.

მერე, გვიან, საშუალო სკოლა რომ დავამთავრეთ, მხოლოდ მაშინ გავიხსენეთ ეს ამბავი, მანამდე არც ერთს ხმა არ ამოგვიღია. ალბათ ვერიდებოდით ჩვენ ბავშვურ საქციელს და კიდევ იმ ჭრილობის გახსნას, რომელიც ფაცურას და მე უმამობამ გვარგუნა.

მაგრამ გედიას ბედი უფრო მწარე აღმოჩნდა. თუმცა არაფერიც არ მოხდებოდა, ისევ ბიძაჩემის უცნაური ხასიათი რომ არა.

თურმე დანაცრებული ქალაქიდან ეს ბავშვი რომ წამოიყვანა, ყველაფერი გამოჰკითხა, რაც ბავშვს არ ახსოვდა, ძლივსძლივობით თვითონაც რაღაც გაიგო, ყველა ცნობა ჩაიწერა. ქალაქის სახელი, ქუჩა და თქვენ წარმოიდგინეთ ახლომახლო შენობების სახლის ნომრებიც კი ჩაინიშნა. ჩვენს კითხვაზე, თუ რად უნდოდა ყველაფერი ეს, ბიძაჩემმა გვითხრა.

— ბავშვი იმიტომ კი არ წამოვიყვანე, ბიძიებო, მარტო მისი ბედი მაწუხებდა, განა მისი მშობლები, თუკი ისინი ცოცხლები არიან, ნაკლებ უბედურად იგრძნობენ თავს? ვაი იმ მშობელს, ვინც შვილს დაკარგავს, საწყალი ჩემი ძმა (ეს მამაჩემზე ამბობდა) ხელში მაკვდებოდა, მაგრამ იმას ნატრულობდა — ნეტავი ერთი ჩემი ბიჭისთვის თვალი შემავლებინაო მოდა, მეც ჩემი ძმის თვალები გამახსენდა, როცა გედიონი ვნახე. რაც გავიგე ყველაფერი ჩავინიშნე, ჩავიწერე და აგერ ახლა, ყოველ წელს შევახსენებ ხოლმე იმ ქალაქის ხელმძღვანელებს ამ ბალანეის ვინაობას, ბავშვის პატრონი ხომ არ გამოჩნდა-მეთქი. თუ არ უნდათ ჩემი გედიონი, ნუ წაიყვანენ, მართალი რომ ვთქვა, ყველაზე უბედური მე ვარ. უცოლოდ დავბერდი, რაც კი შემეძლო, ჩემს გედიას არაფერი დავაკელი, ახლა კი ძნელია ჩემთვის უმისოდ ყოფნა, რა უნდა ვქნა. მაგრამ ისიც მინდა ბავშვმა თავისი სამშობლო არ დაკარგოს. არ ივარგებდა კაცისთვის ძიძა მეშოვნა და სამშობლო წამერთმია.

ჰე, მაინც უბედო კაცია ეს ბიძაჩემი. ოცი წელი გზავნა წერილი წერილზე და მხოლოდ ორი წელია, რაც ამ ამბავის გორგალი გაიხსნა და გაიშალა. წარმოგიდგენიათ, ამხელა კაცი გაზარდო და ერთ დღეს წაგართვან. მე მგონია, ბიძაჩემს სადღაც იმედი ჰქონდა, გედეონს არავინ გამოუჩნდებაო. მოტყუვდა. სწორედ იმ დილით თბილისიდან ჩამოვედით. გედეონი და მე პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტები გახლდით, ფაცურა და ზურიკო კი საექიმოზე სწავლობენ (ზურიკო მაინც სუსტი ბიჭი დადგა). ჩამოვედით და მთელი ქუჩა ავიკელით.

ბიძაჩემმა ახალი ქვევრი გახსნა, მეზობლებს დაუძახა და კარგად შევჭიკჭიკდით.

საღამო იყო, როცა ჩვენ ჭიშკარს მანქანა მოადგა. ბიძაჩემს, როგორც კი შეხედა სტუმრებს, ფერი დაეკარგა. ასეთ დღეში ის ჯერ არც ერთს ჩვენგანს არ ენახა. ახლაც მახსოვს და არც ოდესმე დამავიწყდება, სკამს თითქოს დაახმა კაცი. იმ წუთშივე იგრძნო თავისი უბედურება.

მაღალი, მეტად კარგად ჩაცმული და სანდომიანი კაცი ეზოში შემოვიდა და დამტვრეული რუსულით ბიძია იკითხა. ყველანი ბიძას მივაშტერდით.

— პოლონელი ყოფილა! — ეს სიტყვები ისე ხმადაბლა და მოშვებულად თქვა ბიძიამ, რომ შემეშინდა დამბლა ხომ არ დაეცა-მეთქი.

სანამ უცნობს რასმეს ვეტყოდით, ის დაგვაჩერდა. გედიას კი რატომღაც ყველაზე უფრო დაუკვირდა, თვალებით შეჭამა. მერმე თვითონაც გაფითრდა და პოლონურად რაღაც წაილუღლუღა. მის უკან ჭიშკარი ისევ გაიღო და ასე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალიშვილი შემოვიდა. ქალიშვილი, მაგრამ რა ქალიშვილი?! მარტო პოლონურ ჟურნალებში თუ ნახავ ისეთ სილამაზეს, ისეთ ნახატს. მალე ოცდასამი წლის კაცი გავხდები და მართალი რომ გითხრათ, მე მიმაჩნია, რომ ლამაზი ქალი — ბუნების უმაღლესი განძი და ბედნიერებაა. მთელ ბუნებაში, არსად იმდენი მადლი არ იყრის თავს, რამდენიც ლამაზ ქალში. იდგა მამის უკან ის დალოცვილი და გაოცებული თვალებით შეჩერებოდა მხოლოდ გედიას. მერე რანაირი თვალები ჰქონდა. თითქოს ცის ლაჟვარდის ყველა სინაზე და მოციმციმე ფერები მის თვალებში ჩამდგარიყო.

— მამიკო, ეს არის ჩემი ძმა? — აქცენტით, მაგრამ უფრო სწორი რუსულით თქვა ქალიშვილმა და გედიასკენ წამოვიდა. კი არ წამოვიდა, ნიავივით გამოფრინდა, გამოიქცა და გედიას მოეხვია.

— დედას ჰგავს, დედას, ჩემს დედიკოს ჰგავს. — ჩურჩულებდა და კიდევ უფრო ალერსით ეკვროდა ძმას.

გედო სულ კანკალებდა, ბიძაჩემს გაოგნებული შესცქეროდა. ზურგს უკან სუნთქვა ვიგრძენი. მოვიხედე და დედაჩემი დავინახე. ფერი აღარ ედო, სახე შეცვლოდა.

— რა ჰქენი, ჩემო მაზლო ეს! რა ჩაიდინე ჰა, თავიც მოიკალი და ჩვენც დაგვღუპე. ვის გავატანო ახლა ჩემი გედო, რაღა მეშველება მე უბედურს!

ბიძაჩემს თითქოს ურო მოხვედროდეს გრდემლივით მკერდზე, ისე წამოიწია წინ.

— არაფერია, ჩემო რძალო, ბედნიერია ის კაცი, ვინც ორ კაცს მაინც გაახარებს ამ ქვეყანაზე. მე და შენ ხომ სამ ადამიანს მაინც ვაგრძნობინეთ

ბედნიერება. ეს კმარა, ჩვენ ესეც გვეყოფა კაიკაცობად.

გედოს მამა ალბათ მიხვდა დედაჩემის მწუხარებას. იგი თავდახრით გაჩერდა მის წინაშე.

— თუ თქვენ და თვითონ ჩემი შვილი არ ინებებს, ის თქვენგან არსადაც არ წავა. მე ისიც მეყოფა, რომ ჩემი სიგიზმუნდი (ხედავთ, სიგიზმუნდი რქმევია გედოს) ცოცხალია და ვხედავ, კარგადაც გაგიზრდიათ. ისე კი, ნამდვილად ჩემი შვილია. ილლიაში სამი პატარა ხალი ჰქონდა ჩემს ბიჭს. აიწიე, შვილო სახელო, მაინც ასე სჯობია. ყველაფერს საბუთი სჭირდება ამ ქვეყნად.

გასინჯვა რაღად უნდოდა. მისი ხალების ამბავი ყველამ ვიცოდით.

გედომ პირველად შეხედა მამას თვალებში.

— ამდენხანს რატომ არ მომაკითხეთ?!

— გიამბობ შვილო და მიხვდები, რომ მე მართალი ვარ.

მართლაც იმ ღამით ის საოცრად ნატანჯი კაცი მოგვიყვა თავის თავგადასავალს. ასეთი რამ არაერთ პოლონელ პატრიოტს გადახდა იმ წლებში. გვიამბო როგორ გაიქცნენ საკონცენტრაციო ბანაკიდან ის და მისი ცოლი, ომის მერე ამერიკულ ზონაში მოხვდნენ და უკანასკნელ ხანამდე ამერიკელები არ აძლევდენ მის ოჯახს სამშობლოში დაბრუნების საშუალებას.

— ახლა, შვილო, შენს დასთან ერთად, რომელიც ომის შემდეგ დაიბადა, ვარშავაში ვცხოვრობთ, დედა ავადმყოფობს, შენზე დარდობს. ჩვენ მაშინ ღამით დაგვიჭირეს, შენ დეიდასთან დაგტოვეთ. დეიდა მარტოხელა ქალი იყო... დაბომბის დროს დაღუპულა. ვეძებეთ და მისი ვერაფერი გავიგეთ. როგორც ჩანს, შენ მაშინ შეგხვედრია შენი კეთილისმყოფელი. მე სხვა რა უნდა ვთქვა, შვილო, — დაასრულა მან, — ახლა რასაც შენ და ეს ნათელი ხალხი გადაწყვეტთ, ისე მოვიქცევით. მე უბედნიერესი კაცი ვარ. ამ ბედნიერებას დღეიდან ვერავინ წამართმევს. ჩემი შვილი, ჩემი სიგიზმუნდი ვნახე. შენ ჯანღონით სავსე ვაჟკაცი ხარ. მე მეტი არაფერი მინდა, — ის გაჩერდა და ცრემლი მოიწმინდა. ბიძაჩემი ჩუმად იჯდა, დედა, ფაცურა და გედოს და ტიროდნენ. ზურიკოსაც თვალები სველი ჰქონდა. მარტო მე და გედო ვიყავით გაფითრებული და გაოგნებულნი.

ბიძაჩემმა იმ ღამით თანდათან გუნება გამოიკეთა. დედაჩემს ეფერებოდა და ეუბნებოდა.

— ასეა რძალო, ბავშვები როცა დაიზრდებიან, მაინც თავის გზაზე მიდიან. მშობლებს მხოლოდ ესიყვარულებიან, თორემ ისე შორს მიდიან, ძალიან შორს. ვიცი, რომ ჩვენი გედოც არ დაგვივიწყებს, მთავარი კი მაინც სხვა არის...

— რა დაგემართა კაცო, რომ დაიჯინე, მთავარი მაინც სხვა არისო, რაია ეს სხვა, ვერ იტყვი, ადამიანო!

— ჩემი ძმა რომ კვდებოდა, თავისი ბიჭი ახსოვდა. როცა მე ეს ბიჭი, გედეონი ვნახე ნანგრევებში, ჩემი ძმის თვალები გამახსენდა. ვიფიქრე, ვაითუ ცოცხალი ვერ ვნახო ჩემი ძმისშვილი-მეთქი და ბავშვი ხელში ავიტატე. რომ ავიტატე, შე ქალო, ველარ გავაგდე ხელიდან. ვერ გავიმეტე. მიჭირდა, მშიოდა, მაგრამ მაინც ვერავის გადავაბარე ბავშვი. ქალიც იმიტომ არ შევირთე, ვაითუ ბავშვი დამიჩაგროს მეთქი. ხომ გახსოვს, რამდენს მეჩხუბებოდი — ცოლი მოიყვანეო. არ ვქენი. მე აწი რა მიშავს. ჩემი ძმის შვილიც კარგად მყავს და ჩემი გაზრდილიც. მერე შეხედე იმ კაცს. თუ გინახავს ასე ბედნიერი კაცი; აბა ახლა თქვან ჭროლათვალებიან კაცს ავი თვალი აქვსო.

— ნეტავი შენისთანა თვალი და გული ყველას მისცა! — ვერ მოითმინა დედაჩემმა.

* * *

მე და გედო იმ ღამით ერთ ლოგინზე თავფეხშექცევით ვიწექით. ყველაფერი გვესმოდა.

— ვის უფრო ვგავარ ახლა მე? — მოულოდნელად მკითხა გედომ, — მამაჩემს, თუ ჩემს გამზრდელს.

მე გავვოცდი, დავფიქრდი. — ხასიათით ბიძაჩემს ჰგავხარ, ისე კი იმათ ჰგავხარ...

მართლაც, გედო ისეთი ლამაზი არ იყო, როგორც მამამისი ან მისი და, მაგრამ მაინც სადღაც ჰგავდნენ ერთმანეთს. გედოს მაღალი ტანი და მეტად ფაქიზი მიხვრა-მოხვრა ნამდვილად მის დას და მამას მოგაგონებდათ. წარმოიდგინეთ, სიარულიც კი მამის ჰქონდა.

ბიძაჩემმა დილით მეზობლებს დაუძახა. მშვენიერი ლხინი გაიმართა.

როცა ავდექით, საუზმეზე დედაჩემმა ძროხის ქაფქაფა რძე შემოიტანა. ჩვენი კაბელა აღარ იყო, მაგრამ ახლანდელი ძროხაც იმისი ჩამომავალი იყო და თავის დედის მსგავსად შუბლი მასაც თეთრი ჰქონდა.

— გედო, უთხარი შვილო, რძე მიირთვას შენმა ლამაზმა დაიამ. მოუხდება. ამ რძემ გაგზარდათ შენ და ჩემი ბიჭი. მაგანაც იგემოს, ესიამოვნება.

გედოს დამ სიცილით გამოცალა მიწოდებული ჭიქა.

— მართლაც გემრიელია, ამით დაზრდილი ბიჭები მიტომ არიან ალბათ ასეთი ლამაზები და კარგები. — ეს თქვა და შევატყე ჩემსკენ გადმოიხედა, თან გაწითლდა.

ფაცურას თვალები აუბრიალდა.

რა იცოდა მაშინ ვინმემ, თუ მე და ფაცურას უკვე პირობა გვქონდა მიცემული ერთიმეორესათვის. მართალია ძალიან ლამაზი იყო გედოს და, მაგრამ ფაცურა მე მთელ ქვეყანას მერჩივნა და გაგიჟებით მიყვარდა. ვერავისში ვერ გავცვლიდი.

მთელ კვირას დარჩნენ ჩვენსას სტუმრები.

თითქოს ბავშვები ვიყავით ისე დაგვყავდა ძროხა საბალახოზე. ახლა ქუჩებზე უკვე ასფალტი იყო მოსხმული. მის ნაპირებზე ბალახს ვერ ნახავდით. ჩვენც გეგუთის მინდვრებისკენ გავწევდით ხოლმე. იქ ვიყავით მთელი დღეები, ვსაუბრობდით. ერთიმეორეს ვეცნობოდით და თან ვეთხოვებოდით.

ბიძაჩემიც ხშირად მიგვყვებოდა მინდვრებზე. სევდა არ შემინიშნავს. მხოლოდ ერთ ღამეს უდროო დროს გამომეღვიძა. ეზოში გავედი, ვხედავ ჩვენი ბუთლის ძირში ბიძაჩემი დამჯდარა, ხელში რაღაც უჭირავს და ელაპარაკება.

— ხომ კარგი ვქენი, ბიჭო, ხომ აგისრულე შენი სურვილი...

მე მივეპარე და დავხედე. ტანში გამცრა. მამაჩემის სურათი ეჭირა ხელში.

იმ ღამეს არ დამეძინია. მხოლოდ ერთ რამეზე ვფიქრობდი. რატომ ეძახდნენ ჭროლათვალება ბიძაჩემს მეზობლები — ართვალ კაცს. ასეთი გულის რომ იყოს ყველა, განა ჩვენი ცხოვრება უკეთესი არ იქნებოდა, სიცოცხლე უფრო ტკბილი არ გახდებოდა, ადამიანები უფრო ბედნიერად არ იგრძნობდენ თავს!

რასაკვირველია, ასე იქნებოდა. ნამდვილად ასე იქნებოდა.





# ჩვენი ბინა

ბინა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ლამაზი, მყუდრო და მოხერხებული უნდა იყოს. ადამიანი იქ ისვენებს, მუშაობს, ერთობა, იქ იზრდებიან და პირველ კულტურულ ჩვევებს იძენენ ჩვენი შვილები. ამიტომ ბინის კეთილმოწყობა დაკავშირებულია მრავალ უმნიშვნელოვანეს ამოცანასთან, რომელთა გადაწყვეტაც პირადად ჩვენზეა დამოკიდებული.

ერთი კი უდავოა, რომ იმ ნივთების სილამაზე, რომლებიც ჩვენს ირგვლივაა და რომლებსაც ვხმარობთ, პირველ რიგში განისაზღვრება იმით, თუ რამდენად მოხერხებული და სასარგებლოა ისინი, რამდენად ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას. წესრიგისა და სისუფთავის დაცვა ბინაში ბევრად უფრო გაადვილდება, თუ მას ზედმეტი და უსარგებლო ნივთებისაგან გავანთავისუფლებთ.

თანამედროვე ბინების დამახასიათებელმა ფორმამ მნიშვნელოვნად შეცვალა და სრულყო ყოველგვარი საყოფაცხოვრებო მოწყობილობა, მათ შორის ავეჯიც. თანამედროვე ავეჯის უბრალო, მკაცრი ფორმები, გლუვი ზედაპირი, მცირე ზომა და ზომიერი სიმაღლე მეტად ხელსაყრელია ბინის ფართობის რაციონალურად გამოყენებისა და ლამაზად მოწყობისათვის.

ბინის ავეჯით მოწყობის დროს მთავარ და გადამწყვეტ როლს თამაშობს არა იმდენად ცალკეული ნივთის სილამაზე და ღირებულება, რამდენადაც ამ ნივთების ერთობლიობა, მათი ფორმის, ფერისა და დანიშნულების ერთმანეთთან შეხამება.

თუ ჩვენს განკარგულებაში მხოლოდ ერთი ოთახია, შეიძლება უარი ვთქვათ ოთახში საწოლის დადგმაზე. მიუხედავად იმისა, რომ ძილისათვის საწოლი უდავოდ ყველაზე ჰიგიენური და მოხერხებული ავეჯია, ამ შემთხვევაში მაინც ჯობს ხელი ავიღოთ მასზე, რადგან იგი ყოველთვის როდი გამოდგება დღისით დასვენებისათვის. მისი შეცვლა შეიძლება დივან-საწოლით, ან სავარძელ-საწოლით. ეს ნივთები მცირე ადგილს იკავებენ, მომხიბვლელი გარეგნობა აქვთ და ამასთან თანაბრად გამოდგებიან როგორც დღისით დასვენებისათვის, ისე ღამით დასაძინებლად.

კვადრატულ ოთახში ავეჯს განალაგებენ კედლების გასწვრივ და ათავისუფლებენ ოთახის შუაგულს. ერთ კუთხეში დაიდგმება საწერი მაგიდა, სავარძელი და წიგნების თარო ან კარადა, მეორე კუთხეში— სასადილო მაგიდა და სერვანტი, მესამეში — დივანი, სავარძელი, პატარა მაგიდა ჟურნალებისათვის და ა. შ. (იხ. № 1).

გრძელ ოთახსაც აქვს თავისი უპირატესობანი, უფრო კი მაშინ, როცა ერთ ოჯახში საჭირო ხდება საძინებლის, სასადილოს, სამუშაო ადგილისა და საბავშვო კუთხის შერწყმა. ამისათვის, ავეჯის განლაგების დროს, გრძელ ოთახში ზოგიერთი ნივთი დაიდგმება არა კედლების გასწვრივ, არამედ მათ პერპენდიკულარულად, ისე რომ ოთახი ორ ნაწილად გაიყოს. მაშინ თვითეულ ნაწილში შესაძლებელი იქნება ავეჯის ისე განლაგება, როგორც ცალკე კვადრატულ ოთახში. მიზანშეწონილი არ არის ოთახის გადალობვა მაღალი და მასიური ავეჯით, რადგან ამ შემთხვევაში ფასი ეკარგება ოთახის ჩაბნელებულ ნაწილს. მაგალითად, კარგი იქნება თუ ოთახის შუაში, კედლის პერპენდიკულარულად დავდგამთ დივანს ან მცირე მოცულობის სერვანტს, მათ ზურგზე კი მივადგამთ რაიმე ავეჯს, რომელიც თავისი გარე პირით მიმართული იქნება ოთახის მეორე ნაწილისაკენ (იხ. № 2).

თუ ჩვენს განკარგულებაში რამდენიმე ოთახია, სჯობია საერთო ოთახის გამოყოფა. ამ ოთახში საღამოობით თავს მოიყრის მთელი ოჯახი, აქ მივიღებთ სტუმრებსაც. მასში დაიდგმება ტელევიზორი, რადიომიმღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, მორთულობის ყველაზე ლამაზი საგნები, ოთახის ყვავილები, დივანი, ორიოდე სავარძელი, პატარა მაგიდა



2



4

ჟურნალებისათვის. საერთო ოთახში შეიძლება აგრეთვე საწერი მაგიდისა და წიგნების კარადის დადგმაც (იხ. № 3).

დასაძინებლად საჭიროა უფრო იზოლირებული, „წყნარი“ და ჰიგიენური ოთახის არჩევა. ჩვეულებრივ ეს ყველაზე პატარა ოთახია, ამიტომ აქ მხოლოდ აუცილებელი ნივთები უნდა იდგეს. საძილე ოთახში საწოლის შეცვლა სხვა ავეჯით მიზანშეწონილი არ არის. საწოლები დაიდგმება ერთმანეთის გვერდით, კედლის პერპენდიკულარულად, ან ცალცალკე, შუაში „ტუმბოჩკის“ ჩადგმით. საძილე ოთახში შეიძლება საწერი მაგიდის ან სეკრეტერის დადგმაც, რადგან აქ გაცილებით ადვილია მუშაობისათვის მყუდრო გარემოს შექმნა (იხ. № 4).

უკანასკნელ დროს, განსაკუთრებით ერთ და ოროთახიან ბინებში, სამზარეულოს იყენებენ სასადილო ოთახადაც. სამზარეულოსა და სასადილოს ასეთი შეთავსება იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ გაანთავისუფლოთ სხვა ოთახები ზოგიერთი ავეჯისაგან (ჭურჭლის კარადა, სასადილო მაგიდა, ზედმეტი სკამები და ა. შ.).

სამზარეულოს კედლები 1,6—2 მეტრის სიმაღლეზე უნდა დაიფაროს მოსაპირკეთებელი ფილებით. განსაკუთრებით საჭიროა ასეთი ფილებით იმ კედლის მოპირკეთება, რომელთანაც დადგმულია ქურა და წყალსადენის ნიჟარა. კარგი იქნება, თუ იატაკზე ლინოლეუმს დავაგებთ — იგი ადვილად ირეცხება და არც ისე ცივია, როგორც ფილების იატაკი.

სამზარეულოში მუშაობის გაადვილებისათვის, სამზარეულო მოწყობილობანი და ავეჯი ერთმანეთის ახლოს უნდა დაიდგას, ისე რომ მაგიდის, წყალსადენის ნიჟარისა და ქურის ზედაპირი ერთ მთლიან სიბრტყეს წარმოადგენდეს (იხ. № 5). თუ სამზარეულოს ფართობმა საშუალება მოგვცა, ქურის გვერდით შეიძლება დავდგათ კიდევ ერთი პატარა მაგიდა კერძების სერვირებისა და მომზადებისათვის სასადილო მაგიდაზე მისატანად.

დიდი მნიშვნელობა აქვს სამზარეულოს განათების საკითხს. როგორც წესი, ჭერზე მიმაგრებული ნათურის შუქი თითქმის არასოდეს არ აღწევს დიასახლისის სამუშაო მაგიდამდე. ბევრად მოხერხებულია დამატებით ნათურის გაკეთება ისეთ ადგილას, საიდანაც უკეთ განათდება ქურაც და სამზარეულო მაგიდებიც.

საერთოდ, ჩვენი ბინის მოწყობაში განათებას ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი უნდა მივანიჭოთ. უპირველეს ყოვლისა, უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ოთახებში საკმაო რაოდენობის დღის სინათლე შემოდიოდეს. ოთახის ყვავილები, ფარდები და მსგავსი სამკაულები არ უნდა უშლიდნენ ოთახების ბუნებრივ განათებას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ბინაში ხელოვნური სინათლის სწორად განაწილებასაც. ჭერზე ჩამოკიდებული უაბაჟურო ნათურა ყველაზე მყუდრო ოთახსაც კი „ცივსა“ და დაუმთავრებელს ხდის, რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ მისი შუქი არასასიამოვნოდ მოქმედებს თვალებზე. ლამაზი ჭაღი ან პლაფონი რბილი, თანაბარი შუქით ანათებს მთელს ოთახს, ბევრად სასიამოვნოა მხედველობისათვის და ამასთან მეტად „თბილსა“ და მყუდრო იერს აძლევს მთელ ბინას.

ბინის მორთულობის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს ფარდები და ხალიჩები. ოთახში, რომლის კედლებიც შეღებილია ერთი ფერით, ფარდებად შეიძლება მოჩითული ქსოვილის გამოყენება, ამასთან სასურველია, რომ ამ ქსოვილის ფონი ან ნახატის ფერი შეესაბამებოდეს კედლების ფერს. ისეთ ოთახში კი სადაც კედლები მოხატულია, ჰკიდებენ წვრილად მოჩითულ ან ერთფეროვან ფარდებს.

თუ ჩვენს განკარგულებაშია ისეთი ხალიჩა, რომელიც მთლიანად, ან თითქმის მთლიანად ფარავს ოთახის იატაკს, მაშინ კედლების შესაღებად უნდა გამოვიყენოთ მისი ერთ-ერთი ძირითადი ფერი. დიდი ხალიჩები ალამაზებენ ოთახებს, თითქოს უფრო აფართოებენ მათ. მაგრამ თუ ხელთ არა გვაქვს ასეთი ხალიჩები, მაშინ დივანთან, მაგიდასთან ან სავარძელთან შეიძლება პატარა ზომის ხალიჩების დაფენაც. გრძელ და ვიწრო ოთახში შეიძლება ორი ხალიჩის დაფენა ავეჯის ორ სხვადასხვა ჯგუფთან. ამით ოთახი თითქოსდა ორ ნაწილად გაიყოფა.

ზომიერების, სიმკაცრისა და უბრალოების დაცვა არა მარტო ამშვენებს ბინას, არამედ მისი მფლობელის მაღალ და დახვეწილ გემოვნებაზეც მეტყველებს.

ზ. კახაძე



1



3



5



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ავტომობილი და ავტოავარია














გამდინარე წელს მსოფლიოში ყველაზე გავრცელებულ ტრანსპორტს — ავტომობილს „დაბადებიდან“ სამასი წლისთავი უსრულდება.

— როგორ? — იკითხავს გაოცებული მკითხველი, — ბენზინის ძრავიანი პირველი ავტომობილი ხომ ვენაში შექმნეს გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში?

სრული ჭეშმარიტებაა! ბენზინის ძრავიანი ავტომობილი მართლაც ავსტრიელმა ინჟინერმა ზ. მარკუსმა შექმნა 1875 წელს. მაგრამ ვინ დააკანონა, რომ ავტომობილი ისეთ მანქანას ეწოდება, რომელიც მხოლოდ ბენზინის საშუალებით მოძრაობს?

ლექსიკონში ნათლად არის განმარტებული, რომ სახელწოდება „ავტომობილი“ ორი უცხო სიტყვისაგან შედგება: „აუტო“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს — „თვითონ“, ლათინური სიტყვა „მობილი“ კი მოძრავს აღნიშნავს. მაშასადამე, ავტომობილი მოძრავ მანქანას ეწოდება. ლექსიკონში არაფერია ნათქვამი არც ბენზინზე, არც მაზუთზე და არც სხვა საწვავ ნივთიერებებზე, რომელთა საშუალებით მოძრაობს მანქანა.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, მსოფლიოში პირველი ავტომობილი გამოჩენილმა მეცნიერმა ისაკ ნიუტონმა შექმნა.

ნიუტონის მიერ გამოგონებული მანქანა მარტივი ხერხით მოძრაობდა. ოთხთვალა ჩარჩოზე დამაგრებული იყო წყლით სავსე ქვაბი. ქვაბის ქვეშ მოწყობილი მაყალი სწრაფად ადუღებდა წყალს, რომელიც ორთქლად იქცეოდა. ორთქლი ვეღარ ეტეოდა ქვაბში, სპეციალური მილით გარეთ გამოხეთქავდა და უკუქცევის კანონის ძალით მანქანის თვლებს საწინააღმდეგო მიმართულებით მიაგორებდა (სურ. 1).

საყურადღებოა, რომ რეაქტიული ავტომობილის შექმნის პრინციპი, რომელზეც ასე გულმოდგინედ მუშაობენ თანამედროვე მეცნიერ-გამომგონებლები, ისაკ ნიუტონმა ჯერ კიდევ სამასი წლის წინათ გამოიყენა. მართალია, ნიუტონის მიერ დამზადებული მანქანა მეტად მარტივი და პრიმიტიული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ მსოფლიოში პირველი ავტომობილი რეაქტიულ პრინციპზე მუშაობდა.

ავტომობილის განვითარების ისტორიაში მეორე მნიშვნელოვან თარიღად 1770 წელი უნდა მივიჩნიოთ.

ამ წელს ახალგაზრდა ფრანგმა ინჟინერმა ნ. კიუნიომ მეტად საინტერესო კონსტრუქციის სამთვლიანი ავტომობილი ააგო (სურ. 2).

ნ. კიუნიოს ავტომობილი, რომელსაც მხოლოდ ქვემეხების გადასაზიდად იყენებდნენ, მანქანის წინა ნაწილში მოთავსებულ ოთხცილინდროვან ორთქლის ძრავას დაჰყავდა.

კიუნიოს გამოგონებამ ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, რადგან ძრავა საშინლად ხმაურობდა. გარდა ამისა. მანქანა მეტად მოუხეშავი იყო და საათში მხოლოდ ოთხ კილომეტრს გადიოდა.

თხუთმეტი წლის შემდეგ ინგლისის პატარა ქალაქ რიდრატში თვითნასწავლმა მექანიკოსმა უ. მერდოკმა შექმნა კიდევ ერთი ახალი ტიპის ავტომობილი (სურ. 3).

უ. მერდოკის ავტომობილი სამთვლიანი იყო და კიუნიოს მანქანისაგან განსხვავებით, ძრავა გაცილებით მსუბუქი ჰქონდა.

ზუსტად 160 წლის წინათ ინგლისელმა ინჟინერმა რ. ტრევიტიკმა ააგო დიდი მოცულობის ავტომობილი, რომლის კარეტაში თორმეტი მგზავრი ეტეოდა.

ავტომობილს საჭე კარეტის წინ ჰქონდა მოთავსებული, ორთქლის ქვაბი კი მანქანის უკან იყო მიმაგრებული. ძრავაზე მოწყობილ სპეციალურ საფეხურზე ცეცხლფარეში იდგა და ღუმელში გამუდმებით აღვივებდა ცეცხლს (სურ 4).

1803 წელს ლონდონის ერთ-ერთ გარეუბანში ხალხმა პირველად იმგზავრა ტრევიტიკის ავტომობილით. ქუჩაში შეკრებილი ლონდონელები მოწონების ყიჟინით ეგებებოდნენ „ეშმაკის მანქანას“, რომლის საჭესთან ინჟინერი ტრევიტიკი იჯდა.

ერთ-ერთ მოსახვევთან მანქანას მოულოდნელად შეეფეთა საუკეთესო ჯიშის ცხენზე მჯდარი ლორდი. ლორდმა მედიდურად გახედა ავტომობილს და სწრაფად დაედევნა მას. მანქანის მხარდამხარ მიმავალი ცხენი ძრავას თუხთუხმა დააფრთხო, გახელებული პირუტყვი ავტომობილს დაეჯახა და ლორდი მიწაზე დაანარცხა.

ამ ამბავმა სამი ღირსშესანიშნავი შემთხვევა ჩაწერა ავტომობილის ისტორიაში: აღნიშნულ დღეს რ. ტრევიტიკმა მსოფლიოში პირველი ავტოავარია მოახდინა, უცნობი ლორდი ავტომობილის პირველი მსხვერპლი გახდა. მისმა ცხენმა კი პირველმა დაარღვია ქუჩაში მოძრაობის წესები.

გასული საუკუნის ოციან წლებში გ. ჰარნეიმ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ტრევიტიკის ავტომობილი და ახალი კონსტრუქციის სამგზავრო ომნიბუსი შექმნა. ამ ომნიბუსს მხოლოდ ერთი კაცი მართავდა (სურ. 5).

1833 წელს ვ. გენკუკმა ააგო ორთქლის ძრავიანი ომნიბუსი, რომელიც რეგულარულად დადიოდა ლონდონიდან პედინგტონამდე.

მალე მსგავსი ომნიბუსები ააგეს გერმანიაში, ჰოლანდიასა და ავსტრიაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ავსტრიელმა ზ. მარკუსმა 1875 წელს ავტომობილს ბენზინის ძრავი დაუდგა და მნიშვნელოვნად შეამცირა მანქანის გაბარიტი (სურ. 6).

ავტომობილმშენებლობამ განსაკუთრებით სწრაფი ტემპით დაიწყო განვითარება გერმანიაში. 1886 წელს გერმანელმა ინჟინრებმა ჰ. დაიმლერმა და კ. ბენცმა საავტომობილო ქარხნები ააგეს და საკუთარი მარკის მსუბუქი მანქანების გამოშვება დაიწყეს.

დაიმლერის ფირმამ ქალაქ კელნში მოიკიდა ფეხი. ამ ფირმამ პირველმა დაიწყო თანამედროვე ტიპის მსუბუქი მანქანების გამოშვება. დაიმლერის ფირმამ ყველაზე მეტად „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანებით გაითქვა სახელი.

გაცილებით უფრო გვიან საავტომობილო მრეწველობა სწრაფი ტემპით იწყებს განვითარებას ამერიკის შეერთებულ შტატებში, იტალიაში, საფრანგეთში, ჩეხოსლოვაკიაში...

პირველი ავტომობილები რუსეთში ჩვენი საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს. ეს მანქანები იყო ბენცისა და ფორდის ავტო-ფაეტონები, რომლებითაც მხოლოდ მეფის გვარეულობა და უმდიდრესი არისტოკრატია სარგებლობდა.

საქართველოში პირველი ავტომობილი კავკასიის მეფისნაცვალმა ჩამოიტანა. ფორდის მოძველებული მარკის ავტომობილი დიდ აურზაურსა და გაოცებას იწვევდა თბილისელებში. სოფლად მანქანის გამოჩენა კი შიშსა და ნამდვილ პანიკას ჰგვრიდა ხალხს.

რას იფიქრებდნენ ჩვენი წინაპრები, რომ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ საქართველო საუკეთესო ავტომობილების წარმოების კერა გახდებოდა, რომ ჭრიალა ურმებსა და მინდვრად მომუშავე ხარ-კამეჩებს მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანები, მძლავრი ტრაქტორები და კომბაინები შეცვლიდნენ...

ავტომობილის 300 წლის იუბილეს საბჭოთა კავშირი ეგებება როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მოწინავე ქვეყანა, სადაც ფართოდ არის განვითარებული საავტომობილო მრეწველობა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენს სამშობლოში არნახული სწრაფი ტემპით განვითარდა პირველხარისხოვანი მანქანათმშენებლობა. მთელი ქვეყანა ამაყობს მოსკოვის, გორკის, იაროსლავლის, ლვოვის, ქუთაისისა და სხვა ქალაქების საავტომობილო ქარხნებით, რომლებიც ასი ათასობით მანქანებს უშვებენ.

სად არ შეხვდებით ახლა ჩვენს სატვირთო მანქანებს, კოხტა და კომფორტაბელურ „ვოლგებს“, „მოსკვიჩებს“, „ჩაიკებს“. მსუბუქად დასრიალებენ ისინი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ტრასებზე და სახელსა და დიდებას ჰმატებენ ჩვენს ქვეყანას — საავტომობილო მრეწველობის ერთ-ერთ ყველაზე მოწინავე სახელმწიფოს.

ს. ბებიაშვილი







## „ბოსები“ და „აბო“

ავსტრალიაში სწავლის დაწყების დღეს, კანონის მიხედვით, ექვსი წლის ყველა ბავშვი უნდა მიდიოდეს სკოლაში. მაგრამ ამ ქვეყანაში ბევრია ისეთი ბავშვი, რომელიც სკოლიდან მეტად შორს ცხოვრობს, ან უბრალოდ, ტანსაცმელი არა აქვს. ესენი არიან მცირერიცხოვან ეროვნებათა — ავსტრალიის ადრინდელ მკვიდრთა შვილები.

სკოლაში გაგზავნის წინ დედები გულმოდგინედ აბანავებენ თავიანთ შვილებს, რეცხავენ მათ ტანსაცმელს. და აი, დამფრთხალი პატარა შავკანიანები შეუმჩნევლად იკავებენ ადგილს უკანა მერხებზე. ისინი მოვალე არიან თავიანთ თეთრკანიან თანაკლასელებს „ბოსები“ ანუ ბატონები უწოდონ, „ბოსები“ კი მათ შემოკლებით „აბოს“ — მონას ეძახიან. პატარა „აბოების“ დიდი ნაწილი ცხოვრების მძიმე პირობების გამო მალე ანებებს თავს სწავლას.

## წმინდა სახლი

პოლინეზიის კუნძულებზე მცხოვრებ მაორის ტომისათვის სწავლის დაწყების დღე, უძველესი ჩვეულების თანახმად, არა მარტო საზეიმო, არამედ წმინდა დღეც იყო. წმინდა ადგილად ითვლებოდა სკოლის შენობა — ვარე-კურიც. მისი აშენება მხოლოდ ქურუმებს — ამ სკოლის მასწავლებლებს შეეძლოთ. ტომის სხვა წევრები მხოლოდ სამშენებლო მასალას ეზიდებოდნენ. ქალებს აკრძალული ჰქონდათ ამ სკოლასთან მიახლოვებაც კი. საჭმელი მოსწავლეებისათვის ვარე-კურიდან დაშორებით მზადდებოდა. იგი სპეციალურ მზიდავებს მოჰქონდათ.

რჩეულები, ბელადებისა და „კეთილშობილთა“ შვილები აქ სწავლობდნენ ასტრონომიას, მითოლოგიას, ისტორიას, სასულიერო საგნებსა და სოფლის მეურნეობას. მეცადინეობა ღამ-ღამობით მიმდინარეობდა.

მაორის ტომს ჰქონდათ სხვა სკოლებიც, რომლებშიც სწავლობდნენ ქალებიც. ასეთი სკოლა აგებული იყო სოფლებში. ამ სკოლებში მამაკაცები სწავლობდნენ ბადეებისა და სანადირო ხაფანგების დამზადებას, ქალები კი ეუფლებოდნენ სამეურნეო ჩვევებს.

სწავლის დაწყების პირველ დღეს ამ სკოლებში აღმართავდნენ მოკლე ბოძს — როგორც ცოდნის მფარველი ღმერთის სიმბოლოს. ამ დღიდან მოსწავლეები იკვებობდნენ ერთადერთი საჭმელით: განსაკუთრებული ჯიშის გვიმრის ფესვებით.

XIX საუკუნეში კოლონიზატორებმა, რომელთა შორის წერა-კითხვის მცოდნენი ბევრად უფრო ნაკლებნი იყვნენ, ვიდრე მაორების ტომში, დაუნდობლად მოსპეს ყველა ეროვნული ტრადიცია, მიუხედავად იმისა, კარგი იყო ის თუ ცუდი. მათ დააარსეს მისიონერთა სკოლები, სადაც ბავშვებს მხოლოდ სამ წელიწადს ასწავლიან საღვთო სჯულსა და ლოცვებს.

## ეს მტრის სიძულვილმა გამოიწვია







ეს ფოტოსურათები მრავალმა ბურჟუაზიულმა გაზეთმა გამოაქვეყნა. ფრანგულმა ჟურნალმა „პარი-მატჩმა“ ერთი მათგანი მთელს გვერდზე დაბეჭდა — ნახეთ რა სენსაცია, ადამიანი ნებაყოფლობით იწვავს თავს მრავალათასიანი ბრბოს წინაშე! და არც ერთმა გაზეთმა სიმართლე არ უთხრა თავის მკითხველებს.

ეს ტრაგიკული ეპიზოდი სხვა არა არის რა, თუ არა სამხრეთ ვიეტნამის ხალხის პროტესტისა და ბრძოლის ერთ-ერთი თავისებური ფორმა დიქტატორ ნგო დინ დიემის საძულველი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელიც მხოლოდ ამერიკული ხიშტების შემწეობით ბოგინობს.

მოხუცმა ბუდისტმა ბერმა კუანგ დუკმა თავისი ხელით წაიკიდა ცეცხლი ბენზინგადასხმულ ტანსაცმელზე და თავი დაიწვა ბუდისტების დევნისა და ჩახშობის პოლიტიკისადმი პროტესტის ნიშნად.

ახლა, როცა სამხრეთ ვიეტნამის განმათავისუფლებელ მოძრაობაში კვლავ დაიწყო მძლავრი აღმავლობა, ნგო დინ დიემის მმართველი ხროვა უფრო მეტად ავიწროებს ბუდისტ გლეხებს იმისათვის, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს პატრიოტებს. წელს, მაისში ვიეტნამის უძველეს დედაქალაქ გუეში პოლიციამ დახვრიტა ბუდისტების ოციათასიანი დემონსტრაცია. 3 ივნისს გუეს 1200 სტუდენტმა დემონსტრაცია მოაწყო ბუდისტების მხარდასაჭერად. პოლიციამ კვლავ მორწყო ქუჩები, უდანაშაულო ხალხის სისხლით.

ბუდისტების გამოსვლებით დამფრთხალმა ხელისუფლებამ (ბუდისტები სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის 80 პროცენტს შეადგენს) სასტიკად აკრძალა ქუჩებსა და საზოგადოებრივ ადგილებში თავმოყრა, კრებების ჩატარება და ა. შ.

ამ აკრძალვის მიუხედავად საიგონის პაგოდაში (ტაძარში) შესდგა წირვა გუეში მოკლულთა ხსოვნის საპატივცემლოდ. წირვის შემდეგ ბერები და მონაზონები ქუჩაში გამოვიდნენ და ქალაქის ცენტრისაკენ გაემართნენ. ისინი მიჰყვებოდნენ მანქანას, რომელშიც იმყოფებოდნენ კუანგ დუკი და ოთხი სხვა ბერი. ფართო მოედანზე ბერები მანქანიდან გადმოვიდნენ და თან ბენზინით სავსე კანისტრა გადმოიღეს. კუანგ დუკი ასფალტზე დაჯდა და მანტიის ქვეშ გულხელი დაიკრიფა. ხალხმა თავი მოიყარა. ერთ-ერთმა ბერმა ასფალტზე მჯდომს ბენზინი გადაასხა, და როგორც კი იგი რამდენიმე ნაბიჯით განზე გადგა, კუანგ დუკმა ცეცხლი წაიკიდა.

ამ საზარელმა თვითმკვლელობამ ახალი მღელვარება გამოიწვია სამხრეთ ვიეტნამში. ეს მღელვარება არმიასაც გადაედო. საიგონის ქუჩებში კვლავ გამოვიდა 700 ათასზე მეტი კაცი, რათა გამოეხატა თავისი ზიზღი და სიძულვილი ნგო დინ დიემის დიქტატურისა და მისი ამერიკელი მფარველების მიმართ. პოლიცია ხელკეტებითა და ცრემლსადენი ყუმბარებით დაერია დემონსტრანტებს. ხალხმა მას ქვები, ჯოხები და ხის კოშები დააყარა. შეტაკება მთელს საათს გაგრძელდა. ასობით დემონსტრანტი საპყრობილეში ჩაყარეს.

ნგო დინ დიემი და მისი ამერიკელი მრჩეველები საშინელ რეპრესიებს მიმართავენ, მაგრამ სამხრეთ ვიეტნამის ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა სულ უფრო ძლიერდება.

საძულველი დიქტატორის ფეხქვეშ მიწა იწვის.

## თვითმფრინავი და ფოცხი

ეს უცნაური ამბავი 1942 წლის ივლისში მოხდა. კრაკოვის მახლობლად მდებარე აეროდრომიდან გერმანელ ფაშისტთა სამი სამხედრო თვითმფრინავი აფრინდა. ისინი მეტად დაბლა, მიწიდან დაახლოებით 40 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდნენ.

მდინარე ვისლის სანაპიროსთან გლეხები თივას თიბავდნენ. მოახლოვებული თვითმფრინავების ხმაურმა დააფრთხო ძროხები, რომლებიც ტყესთან ბალახობდნენ. შეშინებული პირუტყვები ბღავილით აწყდებოდნენ ერთმანეთს. გლეხებმა მიატოვეს სამუშაო და ტყისაკენ გაიქცნენ.

ფაშისტი მფრინავები, როგორც ეტყობა, აღტაცებაში მოიყვანა ამ სურათმა. ისინი კიდევ უფრო დაბლა დაეშვნენ და მეორედ ჩაუქროლეს აბლავლებულ ძროხებსა და ტყისაკენ გაქცეულ ადამიანებს.

ცოტა ხნის შემდეგ თვითმფრინავები მესამედ დაიძრნენ მინდვრისაკენ. ამ დროს მოხდა ის მოულოდნელი ამბავი, რომელსაც არავინ არ მოელოდა. მაგრამ აჯობებს, სიტყვა ამ უცნაური შემთხვევის გმირს ბრონისლავ იაროშს დავუთმოთ.

— მინდორზე სირბილის დროს, — წერს ბ. იაროში პოლონეთის ჟურნალ „პშეკრუიში“, — ვიგრძენი, რომ ერთ-ერთმა ფაშისტმა მფრინავმა ყურადღება მომაქცია. იგი მიწიდან ორი-სამი მეტრის სიმაღლეზე დაეშვა. მფრინავი ალბათ ფიქრობდა, რომ შევშინდებოდი და ბალახებში დავიწყებდი შეძრომას. კარგად ვხედავდი ფაშისტის გაღიმებულ სახეს. მფრინავის კაბინის გვერდითი ფანჯარა გამოღებული იყო. ფაშისტი საჭეს მარცხენა ხელით მართავდა, მარჯვენა ხელი კი წინ ჰქონდა გაშვერილი, სწორედ ისე, როგორც ამას ჰიტლერელები აკეთებდნენ ერთმანეთთან მისალმების დროს.

თვითმფრინავი ელვისებური სისწრაფით მიახლოვდებოდა. ჩვენს შორის დარჩა 100 მეტრი... 50 მეტრი... 10 მეტრი... ახლაღა ვიგრძენი, რომ ხელში ფოცხი შემრჩენოდა. სწრაფად გავიმართე წელში, მოვიმარჯვე ფოცხი და მთელი სიმძლავრით ვესროლე თვითმფრინავს. ფოცხი თვითმფრინავის კაბინაში შეიჭრა და სახეში მოხვდა ფაშისტს.

მანქანა თითქოს შეხტა. შემდეგ ტორტმანით მაღლა-მაღლა დაიწყო ასვლა. ორიოდე საათის შემდეგ, ამ შემთხვევის ადგილიდან 600 მეტრის დაშორებით, გლეხებმა იპოვეს ჩემი ფოცხი, რომელსაც კბილანებზე სისხლი ჰქონდა შერჩენილი.

დაჭრილმა მფრინავმა ველარ შეძლო თვითმფრინავის მიყვანა სამხედრო აეროდრომამდე. იგი შეეცადა მინდორზე დაესვა მანქანა, მაგრამ, ალბათ საშინელ ტკივილისაგან გაოგნებულმა ვერც ეს მოახერხა, თვითმფრინავი მიწას დაენარცხა და დაიმსხვრა.

ავიაციის არსებობის ისტორიაში ეს იყო ერთადერთი შემთხვევა, როდესაც თვითმფრინავი ჩამოაგდეს... ფოცხით.



# საუკუნის მატჩი

გურამ ფანჯიკიძე

ფეხბურთის მოყვარულები ინტერესით ელიან ოცდახამ ოქტომბერს. ამ დღეს ფეხბურთის სამშობლო ინგლისი და ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია აღნიშნავენ ფეხბურთის 100 წლისთავს. ლონდონში „უემბლის“ გრანდიოზულ სტადიონზე ამ დღეს ერთმანეთს შეხვდებიან ინგლისის ეროვნული გუნდი და ჩვენი პლანეტის ნაკრები.

შეხვედრა, რომელსაც ჟურნალისტებმა „საუკუნის მატჩი“ უწოდეს, უკვე აჟიოტაჟის საგნად იქცა.

ასეთი მატჩი პირველად როდი ტარდება. ინგლისის ეროვნული გუნდი დღევანდლამდე ორჯერ შეხვდა ფიფას ნაკრებს. პირველად ეს მოხდა ინგლისის ფეხბურთის 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო დღეს. ლონდონში, „არსენალის“ სტადიონზე, ინგლისელებმა წარმატებით ჩაატარეს შეხვედრა და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს (3:0).

მეორე მატჩი ამავე გუნდებს შორის შედგა 1953 წელს ინგლისის ფეხბურთის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო დღეს. შეხვედრა, რომელიც „უემბლის“ სტადიონზე ჩატარდა, ძალზე დაძაბული და მიმზიდველი იყო. მატჩი დამთავრდა ფრედ (4:4).

ახლა ფეხბურთის ყველა მოყვარულს აინტერესებს თუ როგორ გაუმკლავდებიან ინგლისელები დანარჩენი მსოფლიოს იდეალურ ნაკრებს, რომელიც ფეხბურთის საუკეთესო ვარსკვლავებით არის დაკომპლექტებული.

ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ჩვენს მკითხველებს მოკლედ გავაცნოთ, თუ საერთაშორისო ასპარეზზე ბრძოლის რა შედეგებით ხვდება ინგლისის ეროვნული გუნდი ამ შეხვედრის დღეს. დღემდე ინგლისელებმა ჩაატარეს 368 მატჩი. აქედან 213 თამაში მოიგეს, 69-ჯერ ანგარიში საყაიმო იყო, ხოლო 81-ჯერ მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს. ამ მატჩებში ინგლისელებმა 1025-ჯერ შეარხიეს მოწინააღმდეგის კარის ბადე. თვითონ კი 492-ჯერ დაიწყეს თამაში ცენტრიდან.

პირველი საერთაშორისო შეხვედრა ინგლისელებმა 1872 წელს ჩაატარეს შოტლანდიის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა ფრედ —0:0. ამ დღიდან მოყოლებული ისინი 80-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. ინგლისელებმა მოიგეს 28 მატჩი, ხოლო 33-ჯერ დამარცხებულებმა დატოვეს მოედანი. გატანილი და მიღებული ბურთების თანაფარდობა ასეთია — 144:143 შოტლანდიელთა სასარგებლოდ.

ინგლისელებს ყველაზე ცუდი ბალანსი აქვთ უნგრელებთან. ექვსი შეხვედრიდან ხუთჯერ იწვნიეს დამარცხების სიმწარე.

არც იუგოსლავიელებთან სწყალობთ ბედი ფეხბურთის პიონერებს. ექვსი შეხვედრიდან ინგლისელებმა სამჯერ წააგეს და მხოლოდ ერთხელ მოიპოვეს გამარჯვება.

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ურუგვაის ნაკრები ორჯერ შეხვდა ინგლისის ნაკრებს და ორჯერვე გამარჯვება მოიპოვა.

ინგლისელებს უარყოფითი შედეგი აქვთ შვედებთან და ბრაზილიელებთან.

სამაგიეროდ ინგლისელები ხშირად გამოდიოდნენ გამარჯვებულები ჩეხოსლოვაკიის, გერმანიის, იტალიის, უელსისა და ირლანდიის ნაკრებ გუნდებთან ორთაბრძოლაში. ყველაზე მეტად კი ინგლისელებმა მაინც ფრანგები დაჩაგრეს, რომლებსაც 16 შეხვედრიდან 11 თამაში მოუგეს და მხოლოდ სამჯერ მიულოცეს მოწინააღმდეგეს გამარჯვება. მათი შერკინების საერთო ანგარიშია 50:24 ინგლისელთა სასარგებლოდ.

ინგლისისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები დღემდე სულ ოთხჯერ შეხვდნენ ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ ოთხივე მატჩი შედგა 1958 წელს. პირველი მატჩი მოსკოვში შედგა და დამთავრდა ფრედ (1:1). სულ მალე ისინი შვეციაში წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ, ამჯერად მსოფლიო პირველობაზე. დაძაბული და საინტერესო ორთაბრძოლა დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებით შეხვედრაში კი გაიმარჯვეს საბჭოთა ფეხბურთელებმა (1:0) და ინგლისი იძულებული გახდა გამოთიშულიყო მსოფლიო ჩემპიონატიდან. სულ რამდენიმე თვის შემდეგ კი ინგლისელებმა ლონდონში აიღეს რევანში (5:0). ასე რომ საბჭოთა და ინგლისელ ფეხბურთელებს შორის ანგარიში ჯერჯერობით საყაიმოა.

აი ასეთი შედეგებით ხვდება ინგლისის ეროვნული ნაკრები საიუბილეო დღეს.

უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას, არ ჰყავს იმდენი ძლიერი საფეხბურთო კოლექტივი, რამდენიც ინგლისს. მთელს მსოფლიოში უძლიერეს გუნდებად არიან აღიარებულნი „ტოტენჰემ ჰოტსპური“, „ვულვერჰემპტონ უონდერერსი“, „მანჩესტერ იუნაიტედი“, „შეფილდ უენსდეი“, „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი“, „ევერტონი“ და მრავალი სხვა კლუბი.

მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა ვერ იქნა და ვერ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა. უკანასკნელ ორ ჩემპიონატში კი ძალზე მოკრძალებული შედეგებით დაკმაყოფილდნენ.

ინგლისელმა გულშემატკივრებმა მთელი იმედები „საუკუნის მატჩზე“ გადაიტანეს. ინგლისის ფეხბურთის მესვეურნი მთელი მონდომებით ემზადებიან ამ შეხვედრისათვის. ისინი ფიქრობენ, რომ პლანეტის ნაკრებთან გამარჯვება საგრძნობლად ასწევს ინგლისური ფეხბურთის პრესტიჟს და ეს იქნება ერთგვარი რეაბილიტაცია ჩილის მსოფლიო ჩემპიონატში უფერული გამოსვლისა.

ნაკრების ბედი მიანდეს ფეხბურთის საუკეთესო სპეციალისტს რამსეის. მან უკვე შეარჩია 17 ფეხბურთელი, რომლებიც უნდა გაუმკლავდნენ მთელი მსოფლიოს სახელმოხვეჭილი ფეხბურთელებისაგან შედგენილ იდეალურ ნაკრებს.

თუ თვალს გადავავლებთ შერჩეულ ფეხბურთელთა სიას, დავრწმუნდებით, რომ ინგლისის ნაკრებს საკმაო დოზით „გადაუსხეს სისხლი“. რამსეიმ შემადგენლობაში შეიყვანა ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომლებიც უკვე ამართლებენ იმედებს.

კარის დაცვა მინდობილი აქვს თბილისელთათვის კარგად ცნობილ რონალდ სპრინჯეტს („შეფილდ უენსდეი“). იგი ახლა 28 წლისაა და საუკეთესო ფორმაშია. გუნდის კაპიტანია მარჯვენა მცველი ჯიმი არმფილდი („ბლეკპული“). მარცხენა მცველის პოსტზე შერჩეულია პეტერს შელსიტო („ჩელსი“). ნახევარმცველებად შერჩეულნი არიან ბობი მური („ვესტჰამ იუნაიტედი“), მორის ნორმანი („ტოტენჰემ ჰოტსპური“), გორდონ მილნი („ლივერპული“), ანტონ კიე („ევერტონი“), რონალდ ფლაუერსი („ვულვერჰემპტონ უონდერერსი“).

თავდამსხმელთაგან ნაკრების შემადგენლობაში ვხვდებით კიდევ ორ ფეხბურთელს „ტოტენჰემიდან“. ერთი მათგანია თბილისის „დინამოელთათვის“ კარგად ნაცნობი ბობი სმიტი. იგი ერთ-ერთ ყველაზე შედეგიან ფეხბურთელად ითვლება და ინგლისის ჩემპიონატებში გატანილი აქვს 183 გოლი. ყველა ფიქრობს, რომ ინგლისელები მას მიანდობენ ცენტრფორვარდის პოსტს.

მეორე მისი თანაკლუბელი ჯიმლ გრივსი ერთხანს იტალიელებმა იყიდეს, მაგრამ იგი მალე დაბრუნდა სამშობლოში. გრივსიც ინგლისური ფეხბურთის საუკეთესო ბომბარდირად ითვლება. 210 კალენდარულ მატჩში მან გაიტანა 175 გოლი. მარცხენა გარემარბის პოსტს, როგორც მოსალოდნელი იყო, დაიჭერს მთელს მსოფლიოში აღიარებული ფეხბურთელი ბობი ჩარლტონი („მანჩესტერ იუნაიტედი“). მას საერთაშორისო ტურნირების დიდი გამოცდილება აქვს. ეს ბუნებრივიცაა — ჩარლტონმა 45-ჯერ დაიცვა ეროვნული ნაკრების ღირსება.

თავდამსხმელთაგან კიდევ შერჩეულნი არიან ბრაიან დუგლასი („ბლეკბერნი“), ტერი პაინი („საუტჰამპტონი“), ჯონ ბორნი („ვესტჰემ იუნაიტედი“), ჯორჯ ისტემი („არსენალი“), ჯიმი მელია („ლივერპული“), რობერტ ჰანტი („ლივერპული“).

ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი ფეხბურთელები ტიპიური წარმომადგენლები არიან ინგლისური ფეხბურთისა. ისინი თამაშობენ ატლეტურ ფეხბურთს, ახასიათებს გრძელი, ეგრეთწოდებული „ინგლისური გადაცემები“ და უძლიერესნი არიან საჰაერო ბრძოლაში.

ფიფამ პლანეტის ნაკრების წვრთნა დაავალა უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატში ჩილის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს ფერნანდო რიერას. იგი კარგა ხანს ლისაბონის „ბენფიკას“ წვრთნიდა და ითვლება როგორც სამხრეთამერიკული, ასევე ევროპული ფეხბურთის დიდ მცოდნედ.

სპორტულ წრეებში ახლა უკვე ბევრს ლაპარაკობენ ამ შეხვედრაზე. ინგლისელები საერთოდ კარგად თამაშობენ საკუთარ მოედანზე, ახლა კი, როცა ეს მატჩი ეძღვნება ინგლისის ფეხბურთის 100 წლისთავს, ისინი ძალღონეს არ დაიშურებენ გამარჯვებისათვის.

მსოფლიოს ნაკრები ითამაშებს ჩვენი პლანეტის საფეხბურთო სტრატეგიის უკანასკნელი სქემით 1—4—2—4. გუნდის საბოლოო შემადგენლობა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ უკვე გამოაქვეყნა. ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ ის ფეხბურთელები, რომლებსაც გარკვეული დამსახურება აქვთ საერთაშორისო ფეხბურთის განვითარებაში. აი მათი გვარებიც: იაშინი (სსრ კავშირი), ჯალმა სანტოსი (ბრაზილია), შნელინგერი (გფრ), პლუსკალი (ჩეხოსლოვაკია), მალდინი (იტალია), მასოპუსტი (ჩეხოსლოვაკია), გარინჩა (ბრაზილია), ლოუ (შოტლანდია), დი სტეფანო (ესპანეთი), პელე (ბრაზილია), ჰენტო (ესპანეთი).

პლანეტის ნაკრები მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე ჩავა ლონდონში. ბევრი სპორტული კომენტატორი ამ მატჩს უაზროდ თვლის. ფიქრობენ, და ამის საფუძველიც არსებობს, რომ ნაკრების წევრები, დროის სიმცირის გამო, ვერ მოასწრებენ ერთმანეთთან შეთამაშებას. საქმეს ისიც გაართულებს, რომ ისინი წარმომადგენლები არიან სხვადასხვა საფეხბურთო სკოლისა. გარდა ამისა, ნაკრების შემადგენლობაში შეყვანილი ყველა ფეხბურთელი როდი იქნება მატჩის დღისათვის თავის საუკეთესო ფორმაში. ინგლისელებს კი ყველა ამ საკითხებში უპირატესობა აქვთ.

შეიძლება ამიტომაც განაცხადა „ფიფამ“, რომ საიუბილეო მატჩს უფრო სანახაობითი მხარე ექნება, ვიდრე სპორტული.

# იუმორი

მკითხველი: — რომელ ნაწარმოებზე მუშაობთ ახლა?
დრამატურგი: — „ოტელოს“ ახალ ვარიანტზე. გადავწყვიტე ოტელო დეზდემონას დავახრჩობინო.

—.—

ცეკვის დროს ვაჟმა პარტნიორს ჩასჩურჩულა:
— ხედავთ იმ კაცს, დეგენერატს რომ ჰგავს? იგი ჩემი დირექტორია.
— იცით ვინ ვარ მე? — მკაცრად იკითხა ქალმა.
— არა.
— მე თქვენი დირექტორის მეუღლე ვარ!
— მაპატიეთ! — წამოიძახა ვაჟმა და შეშფოთებით იკითხა, — იცით ვინ ვარ მე?
— არა.
— მადლობა ღმერთს! — აღმოხდა კავალერს და გამოღებულ ფანჯარაში გადახტა.

# მოკლედ ყველაფერზე

უნგრელმა სწავლულებმა დაამზადეს ხელოვნური ნივთიერება — ბიოპლასტი, რომელსაც წარმატებით იყენებენ ოპერაციების დროს გაკვეთილი ქსოვილების „დასაწებებლად“.
ქსოვილების შეხორცების შემდეგ ბიოპლასტი იშლება და ორგანიზმში შეიწოვება.

* * *

უნგრეთის სოფელ ტისალეკში ვინმე გაბორნე ეკრემ დაკლა ქათამი, რომელსაც მუცელში აღმოაჩნდა... ცოცხალი წიწილა. წიწილა 18-19 დღისა იყო და მალე მოკვდა.
მეცნიერები აღნიშნავენ, რომ ასეთი შემთხვევა არ ახსოვს ბიოლოგიის ისტორიას. სპეციალისტები გულდასმით სწავლობენ იმ მიზეზებს, რომლებმაც გამოიწვია ასეთი უცნაური შემთხვევა.

* * *

იუგოსლავიაში შექმნეს ორიგინალური აპარატი — ფიზიოლოგიური ვიბრატორი, რომელსაც სამკურნალო დანიშნულებისათვის იყენებენ. ახალი აპარატი სწრაფად სპობს დაღლილობას, აწესრიგებს სისხლის მიმოქცევას, ამაღლებს სხეულის ცხოველმყოფელობას.
როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ფიზიოლოგიური ვიბრატორის მიერ ერთი წუთით სარგებლობა რამდენიმე საათით დასვენებას უდრის.

* * *

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის აღდგენის ლაბორატორიის ხელმძღვანელმა ვ. ნეგოვსკიმ ამას წინათ განაცხადა, რომ მეცნიერებმა შეიმუშავეს ორგანიზმის კლინიკური სიკვდილის მდგომარეობიდან გამოყვანის ახალი ეფექტური მეთოდები.
ამ მეთოდების გამოყენებით უკანასკნელ ხანებში სამი ათასზე მეტ ადამიანს დაუბრუნეს სიცოცხლე.

* * *

ხანგრძლივი ძიების შედეგად იაპონიაში დაამზადეს განსაკუთრებული შემადგენლობის ქაღალდი, რომელიც რადიოაქტიურ ნივთიერებებს შთანთქავს.
ქაღალდმა კარგი შედეგი უჩვენა არა მარტო ლაბორატორიული ექსპერიმენტების ჩატარებისას, არამედ რადიოაქტიური ნივთიერებებით მოწამლული წვიმის გაფილტვრის დროსაც.
ქაღალდის გამოყენების ხერხი მეტად მარტივია: ადამიანმა სხეულზე უნდა დაიფაროს ერთმანეთზე დაწყობილი რამდენიმე ფენა ქაღალდი.

* * *

გასულ საუკუნეში დიდი სენსაცია გამოიწვია ავსტრალიელმა ბიუმონტმა, რომელმაც წყალქვეშ ოთხი წუთი და ოცდათხუთმეტი წამი დაჰყო. ეს რეკორდი მოხსნა ინდონეზიელმა ენოხმა: იგი წყალქვეშ ოთხი წუთი და ორმოცდაექვსი წამი იმყოფებოდა.
ამას წინათ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ფრანგმა პულიკენმა უმოძრაო მდგომარეობაში წყალქვეშ ექვს წუთზე მეტი გაძლო.

* * *

კანადაში შეიმუშავეს კოლოების მოსპობის ორიგინალური მეთოდი. მეცნიერებმა მოახერხეს მაგნიტოფონის ფირზე ჩაეწერათ ძახილი, რომლითაც მამალი კოლო უხმობს დედალს.
ამ ჩანაწერს რთავენ საგანგებოდ მოწყობილ ადგილებში, საითკენაც ყოველი მხრიდან მოეშურებიან კოლოები.

# ახლი და მისი სამწყსო



— მოსწონთ თუ არა მაიმუნებს კინო? — ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა ჩიკაგოს უნივერსიტეტის სწავლულმა-ფსიქოლოგმა, რომელიც ცხოველთა ინსტინქტების პრობლემით არის დაინტერესებული.

მეცნიერმა მაკაკას ჯიშის მაიმუნებს უჩვენა ფერადი სურათები და კინოკადრები. დაკვირვებამ ნათელყო, რომ მაიმუნებს კინოკადრები უფრო მოსწონთ, ვიდრე უმოძრაო სურათები.

მაიმუნები სერიოზულად უყურებდნენ ფილმებს. ისინი სიამოვნებით აცქმუტდნენ, როცა ეკრანზე ლიანებით დაფარული ტყეები გამოჩნდა. მაკაკებს განსაკუთრებით მოსწონდათ ფილმები, რომლებშიც მათ თანამოძმეებს უჩვენებდნენ.

როცა კადრში უზარმაზარი გველი გამოჩნდა, მაიმუნებმა ეკრანს ზურგი შეაქციეს.

მაიმუნების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გერმანელი დოქტორი ვ. ჰოეშე. აი რას წერს იგი:

ვინმე მის ასტონი, რომელიც აფრიკაში ცხოვრობდა, ყოველ დღე კარგავდა თხებს. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა მანამ, ვიდრე ასტონს მხსნელად არ მოევლინა... მაიმუნი.

ერთ დღეს მის ასტონს საჩუქრად მიჰგვარეს პატარა მაიმუნი, რომლის დედა მონადირეებს მოეკლათ ტყეში. მის ასტონმა პატარა ახლი (ასე შეარქვა მან მაიმუნს) თიკნებთან დაამწყვდია.

ახლი მალე შეეჩვია თავის მეზობლებს. რამდენიმე დღის შემდეგ, როდესაც თხები მინდორში გარეკეს, მაიმუნი ხალისიანი ყიჟინით აედევნა მათ.

ამ დღიდან ახლი თხის ჯოგის საიმედო მწყემსი გახდა. გათენების ხანს იგი ზურგზე აჯდებოდა ყველაზე დიდ თხას და საძოვრებისაკენ მიმავალ ჯოგს მიუძღვებოდა წინ.

მაიმუნი მკაცრად იცავდა წესრიგს: იგი ნებას არ აძლევდა თხებს სხვის ბოსტნებში გადასულიყვნენ. მის ასტონი ყოველ დღე გულმოდგინედ თვლიდა საძოვრიდან მობრუნებულ თხებს, მაგრამ ჯოგს არასოდეს არც ერთი თხა არ დაჰკლებია.

როგორც ცნობილია, მაიმუნებს ეჯავრებათ მარილი; გულკეთილი ახლი კი მეგობრების ხათრით ყოველთვის მოთმინებით ლოკავდა მარილს, რომელსაც მას თხებთან ერთად აძლევდნენ. ყველაზე საოცარი ის იყო, რომ მაიმუნი ერთი თვალის დაკვრით ცნობდა ყველა თხას, რომელიც მის ჯოგს ეკუთვნოდა.

ყოველივე ამას ახლიმ გულმოდგინე წვრთნით კი არ მიაღწია, არამედ თვითონვე, ადამიანების დახმარების გარეშე გამოიმუშავა ასეთი საოცარი უნარი და ჩვევები.



გარეკანის პირველ გვერდზე: ჩემი სკოლა.
ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა.
გარეკანის მეოთხე გვერდზე: გაგრის პლაჟზე.
ფოტო გ. თიკანაძისა

რედაქტორი გ. ნატროშვილი.
პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე.
სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.
საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.
რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IX-63 წ. გამომც. № 72, ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 1800, უე 07260
Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.

ფოტო გ. თიკანაძისა



# ისინი ლაშქრობენ მწვერვალებში





ეროვნული
ბიბლიოთეკა